პალიტრა მედია

ლელო 80 წლისაა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 აპრილი **ხუთშაბათი** 2014

**№073 (14 294)** ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბეილის ფორმულა 1

## ასეთი ბარსას რონალდოც არ სჭირდება




გარეთ ბეილი

9

კარლო ანჩელოტიმ კარიერაში მე-900 მატჩში ჟოზე მოურინიოს უნიკალური შედეგი გაიმეორა:

## თასი მესამე ქვეყანაში მოიგო

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. XXVII ტურის წინათქმა

## VII–XII ადგილები

17.04. თბილისი. მ. მესხი (სათადარიგო)
16:00

**სპარტაკი**

ურთიერთშეხვედრები:
19: +4 =5 -9 (12:20)

**ვიტ ჯორჯია**

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| დილა-სპარტაკი | 1:3 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 1:1 (სჩ) |
| მერანი-სპარტაკი | 0:0 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 0:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 1:0 (სჩ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 1:2 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-სპარტაკი | 2:1 (სჩ) |

## VII–XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ვიტ ჯორჯია | 26 | 10 | 6 | 10 | 33 | 33 | 36 |
| 8 | დილა | 26 | 9 | 8 | 9 | 35 | 29 | 35 |
| 9 | ტორპედო | 26 | 9 | 6 | 11 | 26 | 37 | 33 |
| 10 | სპარტაკი | 26 | 8 | 4 | 14 | 25 | 34 | 28 |
| 11 | ზუგდიდი | 26 | 6 | 6 | 14 | 16 | 35 | 24 |
| 12 | მერანი | 26 | 6 | 4 | 16 | 20 | 44 | 22 |

# დღეს, ხვალ, ზეგ...

ამ ტურით მეორე ეტაპის პირველი წრე დამთავრდება და სატურნირო ცხრილშიც, შესაძლოა, გარკვეული გადაადგილებები მოხდეს. ოღონდ, ეს უფრო ქვედა ექვსეულს ეხება, სადაც ტურის მატჩები... სამ დღეზეა გაწერილი: დღეს „სპარტაკი"-"ვიტ ჯორჯიას" მატჩი გაიმართება, ხვალ - „ტორპედო" შეხვდება „მერანს", ზეგ კი „ზუგდიდი"-"დილას" დაპირისპირებაა.

აქვე, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ამ სამიდან ორი შეხვედრა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჩატარდება; ოღონდ, დღევანდელი მატჩი თუ ამ სტადიონის სათადარიგო მოედანზე უნდა გაიმართოს, ხვალინდელ შეხვედრას ძირითადი არენა უმასპინძლებს, თუმცა, უმაყურებლოდ...

...ჯერ არავინ იცის, თუ რამდენი გუნდი იასპარეზებს მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში; ანუ, ჯერჯერობით, კვლავაც „საინტრიგო ტურნირის" შეხვედრები უნდა ვუწოდოთ ქვედა ექვსეულის მატჩებს და სწორედ ამ „ინტრიგის გამოძახილიც" იქნება ის ფაქტი, რომ XXVII ტურმა ქვედა ექვსეულში, შესაძლოა, ბევრი რამ გაარკვიოს.



კახა კაჭარავას სპარტაკი გასავარდნ ზონას 4 ქულით დასცილდა



ზურაბ ბერიძის ვიტ ჯორჯიამ ბოლო სამ მატჩში 7 ქულა მოაგროვა

აი, მაგალითად, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამ ტურში გაირკვეს იმ გუნდ(ებ)ის ვინაობა, დარჩენილი შეხვედრების მიუხედავად, უმაღლეს ლიგაში ადგილს რომ შეინარჩუნებენ. ან, პირიქით: იმის ალბათობაც არის, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, ამა თუ იმ გუნდს, გადარჩენის შანსი, ფაქტობრივად, გადაეწუროს. ოღონდ, ამ ბოლო ერთ თვეში უკვე მერამდენედ გვიხდება ქვემოთ მოყვანილი ფრაზის გამოყენება: „გადარჩენა" თუ „გავარდნა" აქტუალური ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მიმდინარე სეზონი სპორტული პრინციპების დაცვით, ანუ, XXV ჩემპიონატის რეგლამენტის სრული დაცვით ჩამთავრდება...

**სპარტაკი–ვიტ ჯორჯია**

პირველი ეტაპი 3:1, 1:2
დისკვალიფიკაცია: ნიკა მგელაძე (სპარტაკი)

ამ ბოლო დროს „სპარტაკმა" აშკარად მოუმატა. **კახა კაჭარავას** გუნდი უკვე 4 ქულით დასცილდა გასავარდნ ზონას. აღსანიშნავია, რომ რაც მეორე ეტაპი დაიწყო, „სპარტაკს" მატჩი არ წაუგია: 2 შეხვედრა მოიგო და 2 ფრედ ითამაშა. აქვე, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ უკეთესი შედეგი (ორივე ექვსეულში) მხოლოდ ორ გუნდს აქვს „სიონსა" და „ზესტაფონს". მოკლედ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ამ ბოლო მატჩებში სტაბილური შემადგენლობით მოასპარეზე „სპარტაკმა" უპრობლემოდ შეძლოს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

მეორე ეტაპი ურიგოდ არც „ვიტ ჯორჯიას" დაუწყია: **ზურაბ ბერიძის** გუნდმა „ზუგდიდთან" საშინაო წაგების შემდეგ ჩატარებულ სამ მატჩში 7 ქულა მოიპოვა და, ფაქტობრივად, გაინაღდა კიდეც უმაღლეს ლიგაში დარჩენა; ამ ლიგაში, სადაც „ვეტერინართა" არყოფნა, უბრალოდ, წარმოუდგენლადაც მიგვაჩნია და ისიც გვჯერა, რომ არცთუ შორეულ მომავალში კვლავაც ვიხილავთ ისეთ „ვიტ ჯორჯიას", მხოლოდ და მხოლოდ ამბიციური მიზნები რომ ექნება. უმაღლესი ლიგის ყველაზე ახალგაზრდულ გუნდს კი დღესდღეობით ბევრად უფრო მოკრძალებული მიზანი აქვს; უფრო ზუსტად, ჰქონდა...

**გია ტუხაშვილი**

## I ლიგა

**XXII ტური**

**A ზონა**

| | |
|---|---|
| ჩხერიმელა-მეშახტე | 0:2 |
| შუქურა-კახეთი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შუქურა | 20 | 16 | 3 | 1 | 64-16 | 51 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 20 | 15 | 2 | 3 | 45-11 | 47 |
| 3. დინამო 2 (თბ) | 21 | 13 | 3 | 5 | 64-26 | 42 |
| 4. გაგრა | 21 | 10 | 7 | 4 | 41-23 | 37 |
| 5. საპოვნელა | 20 | 11 | 3 | 6 | 35-19 | 36 |
| 6. მეშახტე | 20 | 8 | 5 | 7 | 34-32 | 29 |
| 7. ალგეთი | 20 | 8 | 3 | 9 | 29-32 | 27 |
| 8. ჩხერიმელა | 20 | 6 | 4 | 10 | 24-43 | 22 |
| 9. სქური | 20 | 6 | 2 | 12 | 22-42 | 20 |
| 10. იმერეთი | 21 | 5 | 3 | 13 | 22-47 | 18 |
| 11. ადელი | 21 | 5 | 3 | 13 | 23-57 | 18 |
| 12. მერცხალი | 20 | 4 | 2 | 14 | 17-44 | 14 |
| 13. კახეთი | 20 | 4 | 2 | 14 | 22-50 | 14 |

**B ზონა**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-დინამო (ბთ) | 2:1 |
| სამგურალი-ბეთლემი | 5:2 |
| სტუ-მაჭახელა | 2:5 |
| საბურთალო-ბახმარო | 1:2 |
| კოლხეთი (ხ)-სასკო | 2:2 |
| დილა 2-სამტრედია | 1:3 |
| სულორი-ჭიათურა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 22 | 17 | 2 | 3 | 51-22 | 53 |
| 2. მაჭახელა | 22 | 15 | 5 | 2 | 41-14 | 50 |
| 3. დინამო (ბთ) | 22 | 16 | 1 | 5 | 50-14 | 49 |
| 4. სასკო | 22 | 13 | 3 | 6 | 42-23 | 42 |
| 5. ლოკომოტივი | 22 | 11 | 2 | 9 | 53-34 | 35 |
| 6. ჭიათურა | 21 | 11 | 2 | 8 | 36-30 | 35 |
| 7. სამგურალი | 22 | 9 | 4 | 9 | 39-45 | 31 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 22 | 7 | 5 | 10 | 29-48 | 26 |
| 9. საბურთალო | 22 | 7 | 4 | 11 | 31-31 | 25 |
| 10. ბეთლემი | 22 | 7 | 3 | 12 | 25-36 | 24 |
| 11. სტუ | 22 | 7 | 2 | 13 | 37-51 | 23 |
| 12. დილა 2 | 22 | 5 | 4 | 13 | 25-42 | 19 |
| 13. ბახმარო | 22 | 3 | 7 | 12 | 26-58 | 16 |
| 14. სულორი | 21 | 2 | 2 | 17 | 48-37 | 8 |

*სკანდალის კვალდაკვალ*

# ორი გარიგებული მატჩი მოსულა?!

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ უცნაური შთაბეჭდილება დატოვა. 2010-13 წლებში გარიგებულ თამაშებში მონაწილეობისთვის უმაღლესი და პირველი ლიგების 5 კლუბი ამხილეს და ფინანსური სანქციები დაუწესეს...**

### სიტყვა და წესდება

შეგახსენებთ, რომ მანამდე ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** „პრაიმ ტაიმის" პრესკლუბში განაცხადა: *„საეჭვო თამაშებთან დაკავშირებით, ფედერაცია გამოძიებას ჩაატარებს. თუ ეს რომელიმე გუნდს ან მოთამაშეს დაუმტკიცდება, ადრინდელივით ამნისტია აღარ უნა დავუშვათ. სწორედ ამის გამოძახილია ის, რაც დღეს ხდება. ამნისტია კი არ უნდა ყოფილიყო, სასჯელი უნდა გაგვემკაცრებინა. აუცილებელი იყო დიფერენცირებაც - ზოგი უნდა მოიკვეთოს, ზოგი ციხეში წავიდეს, რომ მომავალში სხვას იმავეს გაკეთება აზრადაც აღარ მოუვიდეს".*

...მაგრამ სულ სხვაგვარად მოხდა. საეჭვო მატჩების კატეგორიაში ბოლნისის „სიონი" 5-ჯერ მოხვდა, გორის „დილა" და მარტვილის „მერანი" - ოთხ-ოთხჯერ, ხოლო ფოთის „კოლხეთი" და რუსთავის „მეტალურგი" - სამსამჯერ. სასჯელი კი მეტად არაადეკვატურია: „სიონი" 25 ათასი ლარით დაჯარიმდა, „მერანი" და „დილა" - 23-23 ათასით, ხოლო „მეტალურგი" და „კოლხეთი" - 20-20 ათასით.

სადისციპლინო კომიტეტის წევრის **ზვიად ქორიძის** თქმით, კოდექსის 126-ე მუხლის შესაბამისად, გარიგებებში შემჩნეული კლუბების მხოლოდ 3 ფორმით დასჯა იყო შესაძლებელი: 1) 3-დან 9 ქულამდე დაკლება; 2) თასის გათამაშებიდან მოხსნა; 3) ფულადი სასჯელის დაწესება.

ამ სამიდან დისციპლინარებმა ყველაზე რბილი ვერდიქტი გამოიყენეს - გარიგებული მატჩების მონაწილეთა გამოვლენის პირველი შემთხვევა იყო და პრევენციული სადისციპლინო სანქციები ვამჯობინეთო.

ყველაზე უცნაური ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში, ლიგიდან გუნდის დაქვეითება გათვალისწინებული არც არის, ანუ ეს ორგანო უფლებებს მოკლებულია. საკითხავია, რატომ? თურმე, ეს უფლება მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციასა და ალმასკომს გააჩნია.

### კალჩოპოლოს მაგალითი

ახლა იტალიური ფეხბურთში დატრიალებული ეგრეთ წოდებული „კალჩოპოლი" გავიხსენოთ. სერია A-ს 2012/13 წლების სეზონის დაწყებამდე, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „პესკარას" 2 ქულა მოაკლო, „რეჯინამ" კი, რომელმაც სერია A დატოვა, სეზონი მინუს 4 ქულით დაიწყო, „პადოვამ" და „ატალანტამ" - მინუს ორით, „ემპოლიმ" - მინუს ერთით. დაბალი დივიზიონების ზოგიერთი კლუბი 15 ქულის ჩამოკლებით დაისაჯა, ელიტაში მოასპარეზე „სამპდორია" და „სიენა" კი 500-500 ათასი ევროთი დაჯარიმდნენ.

ამას დავუმატოთ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მასობრივი დისკვალიფიკაციები, რომელმაც ასევე დიდი დარტყმა მიაყენა კალჩოს იმიჯს. მაგალითად, მომხდარმა გავლენა იქონია „სკუადრა აძურაზეც". იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, როცა სამართალდამცავები ბაზაზე მივიდნენ და **დომენიკო კრიშიტო** დააკავეს. თუმცა შემდეგ კრიშიტოს გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა არ დაუმტკიცდა.

„იუვენტუსის" ყოფილი თავკაცი **ანტონიო კონტე** ნახევარი წლით იყო ჩამოშორებული ფეხბურთს; ანალოგიური სასჯელი ნეაპოლელ **პაოლო კანავაროსაც** გამოუწერეს. და კიდევ: 2005 და 2006 წლებში იტალიის ჩემპიონატი „იუვენტუსმა" მოიგო, მაგრამ „კალჩოპოლის" შედეგად დასჯილ ტურინელებს ორივე ტიტული ჩამოერთვათ.

ჩვენთან კი რა ხდება? ჩემპიონატის პრესტიჟსა და საერთო დონეზე ძალიან ცუდად მოქმედებს, როცა გუნდები არათანაბარ პირობებში არიან. ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენელი კი გაოცებული და აღშფოთებული იყო, რომ არ დასაჯეს ქართული გუნდი, რომელიც წლეულს უეფამ საეჭვო მატჩების სიაში 6-ჯერ (?!) შეიყვანა, ბოლო ჩამონათვალში კი არ ფიგურირებს. თურმე, მიზეზი რა ყოფილა - ჯერ წინა წლების ამბებს ვიძიებთო...

გამაოგნებელი იყო ზვიად ქორიძის ინფორმაცია, რომ შავ სიაში უმაღლესი და პირველი ლიგის ლამის ყველა კლუბი თითო-თითოჯერ მაინც მოხვედრილა.

*„მაგრამ უეფას რეკომენდაციაა, რომ მხოლოდ 3-ჯერ და მეტჯერ შემჩნეული კლუბები დაისაჯონ. ასე რომ, გარიგებულ მატჩებში მხილებული კლუბები უეფას უნდა უმადლოდნენ, ყველა რომ არ დავსაჯეთ"*, - ამბობს ქორიძე.

ეტყობა, იტალიელებისთვის უეფას მსგავსი რეკომენდაციით არ მიუმართავს, ან ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას ანგარიში არ გაუწიეს და ისეთი „გულქვები" აღმოჩნდნენ, რომ კლუბები ერთ შეხვედრის გარიგებისთვისაც კი დასაჯეს.

ასე რომ, ჩვენში უკვე კარგად იციან - სეზონში ორ გარიგებულ მატჩში მონაწილეობა მოსულა, ვერავინ ვერაფერს უზამს. მესამედ კი არ შეიძლება, ან რაიმე ხერხი უნდა მოიფიქრონ.




### სამართლებრივი მექანიზმი

ფიფამ გარიგებულ მატჩებთან რეალური ბრძოლის დაწყება ჯერ კიდევ 2012 წელს განაცხადა. „როიტერთან" ორგანიზაციის უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა **კრის იტონმა** ბრძანა:

*„კარგად ვართ ინფორმირებულნი რუსეთში ჩაწყობილი თამაშების მასშტაბის შესახებ - მასში ფეხბურთელთა თითქმის ნახევარია ჩართული. ეს კარგად ჩანს „ფიფპროს" შედგენილ „შავ წიგნშიც". კორუფციამ ღრმად შეაღწია არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპულ ფეხბურთში. კორუფციასა და გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის სამი ძირითადი მიმართულება არსებობს. პირველი - საჭიროა პოლიტიკური ნება; მეორე - აუცილებელია ცალკე სტრუქტურის შექმნა, რომელიც ასეთ ინფორმაციებს თვალყურს მიადევნებს; მესამე - არსებულ ინფორმაციებს ქმედითი რეაქციაც უნდა მოჰყვეს. რუსეთს გააჩნია ყველა საშუალება, რათა გარიგებულ მატჩებს რეალურად ებრძოლოს".*

2012 წელს ამ პრობლემაზე უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ბელგრადში ევროპის საბჭოს სპორტის მინისტრთა კონფერენციაზე ილაპარაკა:

*„მოგიწოდებთ, გარიგებულ მატჩებს სისხლის სამართლის დანაშაულის სტატუსი მიანიჭოთ და ამ მოვლენასთან საბრძოლველად საერთაშორისო კონვენცია შევქმნათ... ამ ყველაფრის უკან ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები დგანან, რომლებიც ქვეყნების კანონმდებლობაში არსებული „ხვრელებით" სარგებლობენ და მთლიანი ტურნირების პრესტიჟს ჩირქს სცხებენ. მათ მხოლოდ სპორტული ორგანოების უფლებამოსილებებით ვერ მოვერევით. ამიტომ, ევროპის საბჭოში შემავალ ქვეყნებს გთხოვთ დაუყოვნებლივ დახმარებას: გარიგებულ მატჩებს მიანიჭეთ სისხლის სამართლის დანაშაულის სტატუსი და ეს მოვლენა კანონგარეშე გამოაცხადეთ, რადგან ვითარება აუტანელი ხდება".*

### როგორ აპირებთ?

საქართველოში ჯერ არ მოქმედებს ცალკე სტრუქტურა, რომელიც ასეთ ინფორმაციებს თვალყურს მიადევნებს. გამომდინარე აქედან, გვაქვს კი ყველა საშუალება, რათა გარიგებულ მატჩებს რეალურად ვებრძოლოთ? ან ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები არ ისარგებლებენ იმ „ხვრელებით", რომ ჩვენთან ორ გარიგებულ მატჩში მონაწილე არ ისჯება?

2012 წელს ავსტრალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც გარიგებულ მატჩებში ან ქრთამის აღებაში შემჩნეულ პირებს ციხეში ათ წლამდე ვადით ჩასვამენ. ეს წესი ფეხბურთზე, რაგბიზე, კრიკეტზე, ჩოგბურთსა და ავსტრალიურ ფეხბურთზე გავრცელდა.

მხოლოდ მიზერული იმედია, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასასჯელი დაისჯება. ფედერაციიდან გამოსული ხმების მიხედვით, მალე ეს უწყება და პროკურატურა დიდი ამბების „გახეთქვას" აპირებენ.

მაგრამ ბრალდებას უტყუარი მტკიცებულებები სჭირდება, რომ კონსტიტუცია, კანონი, ადამიანი უფლებები და უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დაირღვეს. და თუ ჯერ არ მოქმედებს ცალკე საგამოძიებო სტრუქტურა, ამ ყველაფერს როგორ დაამტკიცებენ?

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი


ბურთით გიორგი ილურიძე

# ჰაიდუკმა ილურიძეს კონტრაქტი გაუწყვიტა

სპლიტის „ჰაიდუკის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ ქართველი ფეხბურთელი **გიორგი ილურიძე** ამ გუნდის წევრი აღარ არის - კლუბმა და ქართველმა ლეგიონერმა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვიტეს.

გორის „დილადან" ხორვატიაში წასულმა 20 წლის ფორვარდმა აშკარად ვერ გაამართლა იმედები კლუბში, სადაც, პრესის ინფორმაციით, ყველაზე მაღალი ხელფასი ჰქონდა - 10 ათასი ევრო. ილურიძემ მხოლოდ 15 ოფიციალურ მატჩში მოირგო „ჰაიდუკის" მაისური. ის 10-ჯერ იყო სასტარტო შემადგენლობაში, თუმცა მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა.

„ჰაიდუკის" ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ კლუბი მადლობას უხდის ილურიძეს თანამშრომლობისთვის და მომავალში წარმატებას უსურვებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ოქრიაშვილი და კიდევ ორი ქართული გოლი


მარცხნივ თორნიკე ოქრიაშვილი

**თორნიკე ოქრიაშვილის** „ჩერნომორეცი" დონეცკის „მეტალურგს" ესტუმრა და 2:3 დამარცხდა. „ჩერნომორეცის" მაისურით ჩემპიონატში მეორე გოლი გაიტანა ქართველმა შემტევმა ნახევარმცველმა, მაგრამ ეს მის გუნდს თუნდაც ქულის მოსაპოვებლად არ ეყო. თორნიკემ შეუცვლელად ითამაშა „მეტალურგთან" და 59-ე წუთზე ერთი გოლი გაქვითა (მაშინ მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ). სტუმართა მეკარემ მუშტებით მოიგერია ბურთი, რომელიც პირდაპირ ქართველ ლეგიონერს მიუვიდა...

სტუმრები პირველი ტაიმის ბოლოდან ათი კაცით თამაშობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ „მეტალურგი" ისევ ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურდა, ოქრიაშვილის თამაშმა „ჩერნომორეცს" კიდევ ერთი შანსი მისცა, ქართველს საჯარიმოში ზურგიდან ჰკრეს ხელი და გაიმ პენალტი გოლად აქცია - 3:2.

„ფუტბოლმა" ოქრიაშვილის გარჯა 6.5 ბალით შეაფასა, ეს საუკეთესო შეფასებაა სტუმართა გუნდში.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ანანიძე ნახევარფინალში ითამაშებს


ჯანო ანანიძე ნახევარფინალისთვის ემზადება

როგორც ვარაუდობდნენ, **ჯანო ანანიძის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ქართველმა ნახევარმცველმა უკვე გუნდთან ერთად განაახლა ვარჯიში. ჯანომ ტრავმის გამო რუსეთის ჩემპიონატში ერთი მატჩი გამოტოვა.

17 აპრილს „როსტოვს" მნიშვნელოვანი თამაში ელის რუსეთის თასის ნახევარფინალში პირველი დივიზიონის „ლუჩ-ენერგიას" წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ „როსტოვის" მთავარი მიზანი ამ სეზონში თასის და ევროპალიგის საგზურის მოპოვებაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# აქეთ გრიგალავა, იქით კვირკველია
## რუსეთში ქართველებიც გამოარჩიეს


მარცხნივ საბა კვირკველია

რუსეთის პრემიერლიგის 25-ე ტურის შემდეგ „სპორტ-ბოქსმა" მკითხველთა გამოკითხვა მოაწყო ტურის სიმბოლური ნაკრების შესარჩევად. მარცხენა მცველის პოზიციაზე „ანჟის" ქართველმა ლეგიონერმა **გია გრიგალავამ** ხმების 22,5% დააგროვა და მეორე ადგილზე გავიდა. სიმბოლურში დინამოელი **ვლადიმირ გრანატი** მოხვდა.

კიდევ ერთი ქართველი გამოირჩა ამ ტურში - **საბა კვირკველიამ** (რუბინი) ყველაზე მეტი ორთაბრძოლა მოიგო - 22.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ქართველები უცხოეთში

# მორიგი რეკორდის მოლოდინი

ერთი კვირის წინ იყო, თითქმის ყველა აზერბაიჯანულმა საინფორმაციო საშუალებამ ერთი და იგივე ინფორმაცია რომ გაავრცელა: უახლოეს დღეებში, ბაქოს „ინტერის" მეპატრონე, აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკის ხელმძღვანელი ჯახანგირ გაჯიევი თავის კლუბის მთავარ მწვრთნელს, ქართველ სპეციალისტს ახალ კონტრაქტს შესთავაზებსო...

### ცუდი სტარტის წარმატებული გაგრძელება

...აზერბაიჯანულ ინტერნეტ-პორტალებზე მოკლედ იყო მიმოხილული ამ სეზონში „ინტერის" მართლაც „უცნაური" ასპარეზობები. შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყნის ერთ-ერთმა წარმატებულმა კლუბმა სეზონი ძალზე ცუდად დაიწყო: საწყისი 6 მატჩიდან ხუთი წაგება და ერთი მოგება ჰქონდა! ამ ყველაფერს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგების აზრით, „ინტერმა" ერთობ არაეფექტური სატრანსფერო კამპანია აწარმოა და **ჟოაო პაოლო, ფლავიო ბეკი** (ორივე-ბრაზილია), **ილჩო ნაუმოსკი** (მაკედონია) პლუს მოგვიანებით დამატებული **ივან ტაბორსკი** (ჩეხეთი) და **დიეგო მადრიგალი** (კოსტა რიკა) გუნდს ვერაფერში დაეხმარნენ.

აი, ის ფაქტი კი რატომღაც „დაავიწყდათ" ჩვენს იქაურ კოლეგებს, რომ სეზონის სტარტზევე ტრავმები მიიღეს „ინტერის" ახალწვეულებმა, **ლაშა სალუქვაძემ** და **მიკელ ალვარომ**, რომლებიც, გამოჯანმრთელების შემდეგ ჩვეულად, „თავის დონეზე" ათამაშდნენ და არცთუ მოკრძალებული წვლილიც შეიტანეს „ინტერის" წარმატებულ ალმასვლაში. ისევე როგორც ამ გუნდის დანარჩენმა ჩვენებურებმაც: **ალექსანდრე იაშვილმა, გიორგი ლომაიამ** და **ბაჩანა ცხადაძემ**.

ჰო, ამას წარმატებულ აღმასვლაზე მეტი ჰქვია: **კახა ცხადაძისა** და **ზაურ სვანაძის** დამოძღვრილმა „ინტერმა" იმ მართლაც კოშმარული სტარტის (ათგუნდიან ჩემპიონატში... IX ადგილზე იმყოფებოდა - გ.გ.) მერე 24 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 15 მოიგო, 6 ფრედ ითამაშა და მხოლოდ 3 წააგო. აქედან, ორჯერ „ყარაბაღთან" დამარცხდა, ამ სეზონის უძლიერეს გუნდთან, რომელიც სავსებით დამსახურებულად ხდება ქვეყნის ჩემპიონი და იმასაც შეგახსენებთ, რომ ამ გუნდის ღირსებას ახლო წარსულში ქართული საკლუბო ფეხბურთის ორი გამორჩეული ფორვარდი, **ნიკა გელაშვილი** და **ჯაბა დვალი** იცავენ.

### დასამყარებელი რეკორდები

თუმცა, ისევ „ინტერს" დავუბრუნდეთ, უფრო ზუსტად, მის ქართველ თავკაცს, რომელსაც, აზერბაიჯანული მედიის ცნობით წინა კვირაში კლუბთან კონტრაქტი უნდა გაეგრძელებინა და გუნდიც ევროტურნირებისათვის და თავის... მეექვსე (!) აზერბაიჯანული სეზონისათვის უნდა მოემზადებინა. თუმცა, ამის მერე მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა: ორშაბათს, 14 აპრილს „ლელომ" ექსკლუზიური ინფორმაცია მოიპოვა იმის შესახებ, რომ კახა ცხადაძე ახალი სეზონიდან... თბილისის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი უნდა ყოფილიყო.

ეს ინფორმაცია რომ რეალობასთან ძალიან ახლოს იყო, მეორე დღეს თბილისის „დინამოს" პრესსამსახურის ოფიციალური განცხადებითაც დადასტურდა: ზაფხულიდან გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება და ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი ცხადაძე გახლავთო!..


კახა ცხადაძე

ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, მანამდე კი აზერბაიჯანის ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მწვრთნელს კიდევ „დარჩა" რამდენიმე იქაური რეკორდი დასამყარებელი და ამის დასტურად კვლავაც აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებებიდან ამოკრეფილი ინფორმაციები უნდა მოვიყვანოთ. როგორც გაირკვა, ბოლო ტურში, უშუალო კონკურენტ „ნეფთჩისთან" მოგება თვითონ „ინტერისათვისაც" საიუბილეო ყოფილა (არსებობის დღიდან აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში გუნდმა მეორასე მატჩი მოიგო) და პირადად, ქართველი მწვრთნელისათვისაც, რომელმაც „ინტერის" თავკაცის რანგში მეასედ გაიმარჯვა!

### საინტერესო სტატისტიკა

ვფიქრობთ, არ არის პატარა ამბავი, როცა ამა თუ იმ გუნდს თავისი ქვეყნის ჩემპიონატში 200 მოგება აქვს და აქედან ზუსტად ნახევარი, კონკრეტული (თანაც, ქართველი) მწვრთნელის ხელმძღვანელობით...

...აზერბაიჯანული ინტერნეტ-პორტალ „აპასპორტზე" საინტერესო სტატისტიკას წავაწყდით: 2009 წლიდან დღემდე კახა ცხადაძეს ხელმძღვანელობით „ინტერმა" 199 მატჩი ჩაატარა და ასე რომ, მოახლოებულ უქმეებზე „ბაქისთან" შეხვედრა ქართველი მწვრთნელისათვის, საიუბილეო, მეორასე იქნება.

მე-4 გვერდზე »

# მორიგი რეკორდის მოლოდინი

მე-3 გვერდიდან

ახლა კი, ეს სტატისტიკური მაჩვენებლებიც:

**აზერბაიჯანის ჩემპიონატი:** 158 მატჩი, 78 მოგება, 43 ფრე, 37 წაგება, ბურთების სხვაობა 190:126; **აზერბაიჯანის თასი:** 23 მატ, 12 მოგ, 9 ფრე, 2 წაგ, ბურთები 39:16; **თანამეგობრობის თასი:** 6 მატ, 5 მოგ, 1 ფრე, 0 წაგ, ბურთები 16:0; **ევროტურნირები:** 12 მატჩ, 5 მოგ, 3 ფრე, 4 წაგ, ბურთები 16:11; **ჯამში:** 199 მატ, 100 მოგ, 56 ფრე, 43 წაგ, ბურთები 261:153.

შეგახსენებთ, რომ კახა ცხადაძის ხელმძღვანელობით „ინტერი" 2010 წელს აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა, 2012 და 2013 წლებში - ბრინჯაოს პრიზიორი, 2011 წელს თასის ფინალში გავიდა, სადაც პენალტების სერიაში დამარცხდა „ხაზართან". ამას გარდა, აუცილებლად აღსანიშნავია 2011 წლის იანვრის ტრიუმფი, როცა აზერბაიჯანის ყველაზე ქართულმა კლუბმა სანკტ-პეტერბურგში „თანამეგობრობის თასი" ისე მოიგო, საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია (**გიორგი ლომაიას** ჩინებული თამაშიც არ დაგვავიწყებს - გ.გ.).

ანუ, ცხადაძის ხელმძღვანელობით „ინტერი" მხოლოდ ერთხელ ვერ მოხვდა სამეულში (2010-11 წლების სეზონში IV ადგილი დაიკავა), ახლა კი, წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, მეორე ადგილზეა და უშუალო კონკურენტს „ნეფთჩის" ურთიერთშეხვედრებში უპირატესობით უსწრებს.

...ლეგიონერ მწვრთნელთა შორის ყველაზე მეტი მატჩი აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში, ყველაზე მეტი მოგება, ერთადერთი მწვრთნელი საერთოდ, იქაური პრემიერლიგის ისტორიაში, რომლის ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ზედიზედ ხუთჯერ რომ გააღწია თასის მეოთხედფინალში; ერთადერთი უცხოელი მწვრთნელი, ხუთი სეზონი „გადაბმულად" რომ მუშაობს ერთსა და იმავე გუნდში და აი, ამ უქმეებზე, ახალი სარეკორდო ნიშნულიც: მეორასე მატჩი „ინტერის" მთავარი მწვრთნელის რანგში!

## ეს უკვე ჩვენი საფიქრალი აღარ არის

...ადრეც არაერთხელ გვითქვამს, რომ არცთუ იშვიათი ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთი აზერბაიჯანული ინტერნეტ-პორტალი ტენდენციურობას (ხშირად, მიზანმიმართულადაც) იჩენდა როგორც კახა ცხადაძის, ასევე იქ მომუშავე კიდევ ერთი წარმატებული ქართველი მწვრთნელის, **გიორგი ჩიხრაძის** („სიმურგი") მიმართ.

თუმცა, იმავე „აზერიფუტბოლის" ამასწინანდელ პუბლიკაციაში (რომელიც ცხადაძის „ინტერთან" კონტრაქტის გაგრძელებას ეხებოდა) ხაზგასმით იყო მითითებული ის გარემოება, რომ „ინტერი" ფინანსური რესურსებით მკვეთრად ჩამოუვარდებოდა ქვეყნის ხუთ უმდიდრეს კლუბს („ყარაბაღს", „ნეფთჩის", „ბაქოს", „ხაზარს", „გაბალას"), თუმცა ამის მიუხედავად, ქართველი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მუდამ ახერხებდა ევროტურნირებზე ასპარეზობას, რაც, მაგალითად, კლუბის არსებობის განმავლობაში... ვერც ერთხელ შესძლო ერთ-ერთმა (თუ ყველაზე არა) უმდიდრესმა კლუბმა „გაბალამ".

ამ უკანასკნელს, ჯერჯერობით, არც იმ ფაქტმა უშველა, რომ ამ სეზონის დაწყების წინ მთავარ მწვრთნელად ცნობილი რუსი სპეციალისტი **იური სიომინი** მიიწვიეს, სეზონის მსვლელობისას კი „პორტუდან" **მარატ იზმაილოვი** დაიმატეს.

მაგრამ „გაბალას" მაინც დარჩა ევროთასებზე გასვლის შანსი: თასის ნახევარფინალშია გასული, სადაც მეტოქედ კიდევ ერთი ცნობილი სპეციალისტის, თურქეთის ნაკრების ყოფილი თავკაცის, **მუსტაფა დენიზლის** „ხაზარი" ჰყავს. თუმცა, ეს უკვე ჩვენი საფიქრალი ნამდვილად აღარ არის...

**გია გაგოშიძე**

● ინფრასტრუქტურა



ლანჩხუთის სტადიონს ახალი ტრიბუნა დაემატება

# განახლებული სტადიონი 200 ათასად?!

მალე ლანჩხუთში ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონის მეორე ტრიბუნის აშენებას აპირებენ. ეს კლუბის გენერალურმა დირექტორმა **კობა მირზაშვილმა** გვითხრა.

*„წინათ, ერთ-ერთი ბელგიური სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელი დაგვიკავშირდა, რომელსაც ჩვენი „ფეისბუქის" გვერდზე უნახავს, რომ „ევგრაფი შევარდნაძეზე" მხოლოდ დასავლეთ ტრიბუნაა აშენებული და საინტერესო პროექტი შემოგვთავაზა: მისი კომპანია მზადაა, ექვს თვეში, ყოველგვარი ბეტონის კონსტრუქციების გარეშე, ძალიან იაფად ააშენოს არა მხოლოდ აღმოსავლეთი ტრიბუნა, არამედ საპატიო სტუმრებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პრესლოჟა, კომენტატორების ჯიხურები და ოპერატორების ადგილები, დაამონტაჟოს ინდივიდუალური სკამები და ასე შემდეგ. ბელგიელმა გამოგვიგზავნა პროექტი და დავფიქრდით, რადგან 5 ათას მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნის სულ რაღაც 200 ათას ლარად აშენებას გვპირდება და ამაში ყველანაირი ხარჯი შედის. ასე იაფად მთელი ტრიბუნის წამოჭიმვას ვერ წარმოვიდგენდით. გასაგებია, რომ ბეტონის კონსტრუქციებით სულ სხვა დონის სტადიონი აშენდება, მაგრამ ეს ძვირი დაჯდება".*

მირზაშვილს მაგალითად მოჰყავს კრაკოვის „ვისლას" სტადიონი, რომელიც ევროპის ლიგის შეხვედრებს მასპინძლობს:

*„კრაკოვის სტადიონი, სადაც „ვისლა" ევროპის ლიგის შეხვედრებს მასპინძლობდა, სწორედ რკინის კონსტრუქციებითაა აშენებული. ეს პრაქტიკა მხოლოდ პოლონეთში არაა დანერგილი. ამ თემაზე ჩვენს გამგებელთან ვილაპარაკეთ და იდეა მასაც მოეწონა. „გურია" მდიდარი კლუბი არ არის და თითოეული თეთრის ეკონომიას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს. თუ ეს პროექტი განხორციელდება, „ევგრაფი შევარდნაძის" ტევადობა 10 ათასამდე გაიზრდება და ბელგიელი ამბობს, რომ ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ჩვენი სტადიონი უეფას სტანდარტებს მაქსიმალურად მიუახლოვდება"*, - ამბობს მირზაშვილი.

„გურიას" გენერალური დირექტორი კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზეც გველაპარაკა:

*„ამჟამად კლუბის ბიუჯეტი 380 ათასი ლარია. ბანკების დავალიანებების გადავადება გამგეობისა და საკრებულოს დახმარებით მოხერხდა. ცხადია, 380 ათასი ლარი წლის ბოლომდე საკმარისი არ არის. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ დამატებით სახსრებს მოვიძიებთ. ცალკე თანხას ფეხბურთის ფედერაცია დაგვირიცხავს და არის იმედი, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, გუნდებს მეტ ყურადღებას მიაქცევენ. შესაძლოა, ცვლილებები ლანჩხუთის ბიუჯეტშიც შეიტანონ და დაფინანსება გაგვიზარდონ".*

**მერაბ მამულაშვილი**

● U 19. ოთხთა ტურნირი



# მხოლოდ საპრესტიჟო

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირი წაგებით დაიწყო. **ვასილ მაისურაძის** გუნდი მასპინძელთა ნაკრებს შეხვდა. 33-ე წუთზე ანგარიში პორტუგალიელებმა გახსნეს. ეს „სპორტინგის" თავდამსხმელმა **ჟელსონ მარტინშმა** გააკეთა.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრების კარის ბადე კიდევ სამჯერ შეირხა და სამივე შემთხვევაში თავი „პორტუს" ფეხბურთელებმა გამოიჩინეს. **ფრანსიშკუ რამოშმა** სხვაობა ორამდე გაზარდა, შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე კი **ივო როდრიგესმა** ანგარიში კიდევ უფრო სოლიდური გახადა - 3:0.

მეორე ნახევარში, მასპინძლებმა საქართველოს ნაკრების დაცვა მხოლოდ ერთხელ გატეხეს. 70-ე წუთზე გოლი **ანდრე სილვამ** მიითვალა. მაისურაძის ბიჭები მხოლოდ პრესტიჟის გოლს (**ლუკა კიკაბიძე**) დასჯერდნენ - 4:1.

საქართველო: **გოშაძე, კაკაბაძე (45. თევზაძე), გურეშიძე, ტაბიძე (79. დვალი), აბურჯანია, ზარანდია (73. ბერიძე), შენგელია (22. ხარაიშვილი), კიკაბიძე (79. ქებურია), გოროზია (65. მესხი), სამხარაძე (45. გაბაძე) ჯიქია (65. კერძევაძე).**

მეორე მატჩში ჩეხეთმა და რუსეთმა 1:1 ითამაშეს. 18 აპრილს საქართველოს პრინციპული შეხვედრა ელის - მაისურაძის გუნდს რუსეთს დაუპირისპირდება, 20 აპრილს კი დასკვნით ტურში ჩეხეთს შეხვდება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონი

# ოქრიაშვილი და კიდევ ორი ქართული გოლი

მესამე გვერდიდან

...უკრაინის ჩემპიონატში ერთი ქართული დუელი შედგა - ლვოვში **ბუბა დაუშვილის** „კარპატიმ" **დავით თარგამაძის** „ილიჩივეცს" უმასპინძლა და 0:1 წააგო. ჩვენებურები სასტარტო შემადგენლობებში იყვნენ. თარგამაძემ 69-ე წუთზე დატოვა მოედანი.

„შახტარის" გამარჯვების (ტურის ცენტრალურ მატჩში სტუმრად მოუგო კიევის „დინამოს" - 2:0) შემდეგ, ქართველთა „დნიპრო" პირველ ადგილზე აღარ არის, თუმცა **ჯაბა კანკავასა** და კომპანიასაც, „შახტარის დარად, 50 ქულა აქვს.

ფინეთის თასზე ტურკუს „ინტერმა" 3:0 გაანადგურა „მიუპა" და შემდგომ ეტაპზე გავიდა. 65-ე წუთზე მასპინძელთა მეორე გოლი **ირაკლი სირბილაძის** ანგარიშზეა.

ლატვიაში **თორნიკე თარხნიშვილის** „ვენტსპილსმა" 3:1 მოუგო „იურმალას". ჩვენებური ბოლოსწინა წუთზე შეცვალეს, მანამდე კი გააფრთხილეს. „ვენტსპილსს" 4 თამაშიდან ქულათა მაქსიმუმი აქვს და პირველ ადგილზეა.

**გიორგი დიაკვნიშვილის** „იელგავამ" სტუმრად 3:2 მოუგო „ლიეპაიას". ქართველი 82-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და 6 წუთში გოლიც გაიტანა. „იელგავა" 10 ქულით მეორე ადგილზეა.

**თამაზ პერტიას** „სკონტომ" 3:1 მოუგო „მეტას". **ირაკლი კლიმიაშვილი** „სკონტოს" სასტარტოში კი იყო, მაგრამ 25-ე წუთზე შეცვალეს. „სკონტო" 9 ქულით მესამე პოზიციაზეა.

სამხრეთ აფრიკის პრემიერლიგაში წააგო (1:2) **გიორგი ნერგაძის** „მოროკამ", რომელიც სტუმრად „ბიდვესტს" ხვდებოდა. ნერგაძე 81-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● გამოხმაურება

# ალექსანდრე იაშვილი გარიგებულ თამაშებში მონაწილეობაზე ფულადი სასჯელი სასაცილოა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებამ მორიგი აურზაური გამოიწვია. უეფას ინფორმაციაზე დაყრდნობით, სფფ-მ საკითხის განხილვა სადისციპლინო კომიტეტს დაავალა, რომელმაც, თავის მხრივ, 5 კლუბი დასაჯა. ამათ შორის, ლიდერია ბოლნისის „სიონი", რომელიც 5 მატჩის გარიგებაშია მხილებული და ამისთვის 25 ათასი ლარით დაჯარიმდა. 4-4 შეხვედრის ჩაწყობა ბრალდებათ მარტვილის „მერანსა" და გორის „დილას" (ორივეს 23-23 ათასი ლარის ჯარიმა), სამ-სამჯერ კი რუსთავის „მეტალურგი" და ფოთის „კოლხეთი" (ორივეს 20-20 ათასი ლარის ჯარიმა).



ალექსანდრე იაშვილი

ახლა ისეთი პროცესები დაიწყო, თუ ამას ფეხბურთის ფედერაცია არ მიხედავს და ძველებურად მოკრძალებული სასჯელებით შეეცდება საქმის გამოსწორებას, გულშემატკივრებთან დიდი პრობლემები შეექმნება.

ამ ამბებსა და სადისციპლინო კომიტეტის წევრის, ცნობილი ჟურნალისტის **ზვიად ქორიძის** ინტერვიუს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გთავაზობთ რამდენიმე კომენტარს:

*- ყომარბაზები არიან, ფეხბურთის თამაში არ იციან და ფული ხომ უნდათ.*

*- გამოვლენ მერე და იტყვიან, სტადიონზე რატომ არ დადიხართო, ან - სტადიონზე ესპანეთის სანახავად იყო ხალხი და არა საქართველოს ნაკრებისთვისო... წინადადება შემომაქვს, საქართველოში ეს სპორტი ავკრძალოთ და მის ნაცვლად რაგბი ავაღორძინოთ!*

*- ამათ ნაგვობას შეეწირა ფეხბურთის კლუბი „ამერი", ერთადერთი, რომელთანაც ამ ყველაფრით ფულს ვერ აკეთებდნენ. ამის გამო ებრძოდნენ.*

*- გარიგებისთვის ლიგიდან „იუვენტუსი" გააგდეს, გააგდეთ სუყველა...*

გარიგებულ მატჩებზე კომენტარი გააკეთეს საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელებმაც. აი, მაგალითად, რას ამბობს ბაქოს „ინტერის" თავდამსხმელი **ალექსანდრე იაშვილი:**

*„მომხდარმა ბევრი კითხვა გააჩინა. თუ დამტკიცებულია, რომ ეს გუნდები გარიგებულ მატჩებში მონაწილეობდნენ, მაშინ ფულადი სასჯელი, უბრალოდ, სასაცილოა. გარიგებულ შეხვედრებში მონაწილეობისთვის ისეთი ცნობილი კლუბები დაუსჯიათ, რომლებსაც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში დიდი როლი უთამაშიათ".*

**მერაბ მამულაშვილი**

## პრემიერლიგას წარმოგიდგენთ europe-bet.com

არსენალი

# ხასიათის ტესტი გავლილია



ოლივიე ჟირუმ გოლი „ჰილსბოროს“ ტრაგედიისას დაღუპულებს მიუძღვნა

„არსენალმა“ „ევერტონს“ ცხადი შეტყობინება გაუგზავნა: მარათონის ბოლომდე ის დანებებას არ აპირებს. პირველ ტაიმში სტუმართა გუნდს მეტნაკლებად კიდევ ჰქონდა შანსები, თუმცა **ვოიცეხ შჩესნის** კარი მხოლოდ ერთხელ დაეცა და ისიც დაცვის შეცდომის გამო. მარჯვენა ფლანგზე **ანტონიო ნოჩერინოს** აქტიურობის შემდეგ ანგარიში **მეტ ჯარვისმა** გახსნა. გოლის ავტორმა გვარიანად გარისკა, რადგან ბურთის მოსაგერიებლად **ლორან კოშელნის** გაშლილ ფეხს სახე სულ ოდნავ ააცილა. „მეთოფეებმა“ მალევე აღადგინეს წონასწორობა. თავდასხმაში გამწესებულმა **ლუკას პოდოლსკიმ** ბურთი ერთი ფეხით დაამუშავა და მეორით ზარბაზანივით დაარტყა. გერმანელმა საბოლოო ანგარიშიც უძლიერესი დარტყმით დააფიქსირა, ოღონდ იქამდე **ოლივიე ჟირუს** ულამაზესი გოლი იყო, რომელიც თავისი სინატიფით „არსენალის“ გულშემატკივარს უთუოდ გაახსენებდა **დენის ბერგკამპს**. ფრანგმა **ტომას ვერმალენის** გრძელი პასი ფეხის მსუბუქი მოძრაობით ჩამოილო და დასცხო. პრესკონფერენციაზე **არსენ ვენგერი** კარგ ხასიათზე გამოცხადდა და თამაშის შესახებ ენაწყლიანად ისაუბრა.

არსენ ვენგერი: „*ჩვენთვის ეს გამოცდა იყო, რომელშიც დავამტკიცეთ, რომ საკმაოდ ძლიერები, ერთიანები და დისციპლინირებულები ვართ. ანგარიშის გახსნის შემდეგ ჩვენი რეაქცია მყისიერი იყო. გამარჯვება ლოგიკურად დავიმსახურეთ. წარუმატებელი სერიების შემდეგ ყველაზე მეტად ფსიქოლოგიურად თავდამსხმელები ზარალდებიან, ბალანსის აღსადგენად მათ თუნდაც ერთი წარმატებული თამაში სჭირდებათ. ასე მოიქცა ჟირუ, ვინც ფიზიკური ძალის ხარჯზე ხშირად ახერხებს თავისუფალი სივრცის მოპოვებას. გოლის მომენტში მან ფანტასტიკურად დაამუშავა ბურთი და ზუსტადაც დაარტყა. ოლივიე ძალიან მგრძნობიარე კაცია, პირველ ტაიმში გაფუჭებულმა მომენტმა მასზე უარყოფითად იმოქმედა, თუმცა ხასიათის ხარჯზე თავის გამოჩენა მაინც მოახერხა. დღეს ორი თავდამსხმელით ვითამაშეთ, რამაც გაამართლა კიდეც. პოდოლსკი შეტევის ცენტრში რამდენჯერმე დავაყენე, თუმცა ყოველ ჯერზე მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მისი მანერა უფრო უკანდახეული ფორვარდისას ჰგავს. თუმცა არც იმას უარვყოფ, რომ შეტევების დაგვირგვინებაც ეხერხება. პოდოლსკის ხშირად ვცვლით, რასაც ყოველთვის აქვს კონკრეტული მიზეზი, მაგალითად, დაცვის გაძლიერება, ტაქტიკის გადაწყობა და ასე შემდეგ. ფეხბურთელის შეცვლის ტრადიცია აქ არაფერ შუაშია. სეზონის დარჩენილი ნაწილიც არანაკლებ რთული იქნება. ვიცით, რომ ყველა თამაში უნდა მოვიგოთ, რაზეც ვაპირებთ კიდეც ყურადღების გადატანას, თუმცა „ევერტონის“ შეცდომაც გვჭირდება*“.

### ინგლისი.

### პრემიერლიგა

XXVI ტურის გამოტოვებული თამაშები

**ევერტონი–პალასი 2:3**

**გოლები:** 0:1 პანჩეონი (23), 0:2 დანი (49), 1:2 ნეისმიტი (61), 1:3 ჯერომი (73), 2:3 მირალიაში (86)

**ევერტონი** (4-2-3-1): ჰოვარდი - კოულმენი, დისტენი, სტოუნსი, ბეინსი - ბერი (59. ოსმანი), ბერკლი - მირალიაში, მაკგიდი (59. მაკარტი), დელოფეუ (46. ნეისმიტი) - ლუკაკუ

**პალასი** (4-4-2): სპერონი - მარიაპა (68. პარი), დანი, დელეინი, ვორდი - ლედლი, ჟედინაკი, პანჩეონი, ბოლასი - შამახი (80. მარი), ჯერომი (76. ოკიფი)

**გაფრთხილება:** ბეინსი - დელეინი, პანჩეონი

**კარში დარტყმა:** 17-7 (5-4) **კუთხური:** 13-3 **თამაშგარე:** 0-3 **ჯარიმა:** 6-10 **ბურთის ფლობა:** 69%-31%

**მაყურებელი:** 37 000

**სიტი–სანდერლენდი 2:2**

**გოლები:** 1:0 ფერნანდინიო (2), 1:1 უიკჰემი (73), 1:2 უიკჰემი (83), 2:2 ნასრი (89)

**სიტი** (4-4-2): ჰარტი - საბალეტა, დემიკელისი, კომპანი, კოლაროვი - ხ. გარსია, ფერნანდინიო (87. როდუელი), ნასრი, მილნერი - აგუერო (56. იოვეტიჩი), ნეგრედო (68. ჯეკო)

**სანდერლენდი** (4-1-4-1): მანონე - ვერხინი, ოში, ბრაუნი, ალონსო - კატერმოული - ლარსონი (68. ჯაკერინი), კოლბეკი, ა. ჯონსონი, ბორინი (69. სკოკო) - უიკჰემი

**გაფრთხილება:** საბალეტა - ბორინი, ალონსო

**კარში დარტყმა:** 16-11 (4-3) **კუთხური:** 3-6 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 14-10 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 47 046

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 34 | 24 | 5 | 5 | 93-42 | 77 |
| 2. ჩელსი | 34 | 23 | 6 | 5 | 66-24 | 75 |
| 3. სიტი | 33 | 22 | 5 | 6 | 88-34 | 71 |
| 4. არსენალი | 34 | 20 | 7 | 7 | 59-41 | 67 |
| 5. ევერტონი | 34 | 19 | 9 | 6 | 55-34 | 66 |
| 6. ტოტენჰემი | 34 | 18 | 6 | 10 | 48-48 | 60 |
| 7. იუნაიტედი | 33 | 17 | 6 | 10 | 56-38 | 57 |
| 8. საუთჰემპტონი | 34 | 13 | 9 | 12 | 50-45 | 48 |
| 9. ნიუკასლი | 34 | 14 | 4 | 16 | 38-52 | 46 |
| 10. სტოკი | 34 | 11 | 10 | 13 | 38-48 | 43 |
| 11. პალასი | 34 | 12 | 4 | 18 | 27-41 | 40 |
| 12. ვესტ ჰემი | 34 | 10 | 7 | 17 | 38-47 | 37 |
| 13. ჰალი | 33 | 10 | 6 | 17 | 34-40 | 36 |
| 14. ასტონ ვილა | 33 | 9 | 7 | 17 | 35-49 | 34 |
| 15. სუონსი | 34 | 8 | 9 | 17 | 45-50 | 33 |
| 16. ბრომვიჩი | 33 | 6 | 15 | 12 | 40-51 | 33 |
| 17. ნორვიჩი | 34 | 8 | 8 | 18 | 26-53 | 32 |
| 18. ფულჰემი | 34 | 9 | 3 | 22 | 34-74 | 30 |
| 19. კარდიფი | 34 | 7 | 8 | 19 | 30-64 | 29 |
| 20. სანდერლენდი | 33 | 6 | 8 | 19 | 31-56 | 26 |

**ბომბარდირები:** 29 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 18 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

სავარაუდო ტრანსფერი

# ჩელსი კოშტას უახლოვდება

„ტელეგრაფის“ მტკიცებით, მადრიდის „ატლეტიკოს“ 25 წლის თავდამსხმელის, **დიეგო კოშტას** ტრანსფერი „ჩელსიში“ სულ უფრო რეალური ხდება. ლონდონელები დარწმუნებულები არიან, რომ კოლეგებს ტრანსფერზე სეზონის დასრულებამდე შეუთანხმდებიან. გამოცემის ინფორმაციით, „როხიბლანკო“ ესპანეთის ნაკრების წევრის სანაცვლოდ 39 მილიონ ევროს მიიღებს, თავად კოშტა კი კვირაში 225 ათას ევროს გამოიმუშავებს. ასეთი ანაზღაურება „სტემფორდ ბრიჯზე“ მხოლოდ **ედენ აზარს** აქვს. გამოდის, რომ „ჩელსის“ თავდამსხმელის ჯერ ყიდვა და მერე შენახვა, 5-წლიანი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, 97 მილიონი ევრო დაუჯდება. „ატლეტიკოს“ მთავარი მწვრთნელი **დიეგო სიმეონე** ნების საწინააღმდეგოდ ფეხბურთელის შენარჩუნებას არ აპირებს: „*საბოლოო გადაწყვეტილება ფეხბურთელის მისაღებია. დიახ, ეს მან უნდა განსაზღვროს, რა იქნება მისი კარიერისთვის უმჯობესი. პირადად, ჩემი შეგირდის ნებისმიერ გადაწყვეტილებას მორჩილად მივიღებ. კოშტათი ლონდონელთა დაინტერესება ბუნებრივია. მე და ჩემს ასისტენტებს ეს გვახარებს კიდეც, რადგან იმას ადასტურებს, რომ ჩვენს მუშაობას შედეგი მოაქვს და ფეხბურთელები პროგრესს განიცდიან. „ჩელსი“ იმდენად ძლიერია ფინანსურად, რომ იქ თამაში კოშტას ცხოვრების ბოლომდე უზრუნველყოფს. შესაბამისად, ამის საწინააღმდეგო არაფერი მექნება. ისევე როგორც ფალკაოს შემთხვევაში იყო. როგორც შემეძლო რადამელი „მონაკოში“ არ გამეშვა? მოურინიოს ჰყავს ეტოო, რომელმაც გუნდი აშკარად გააძლიერა, თუმცა კამერუნელი ასაკში შედის, დიეგოს კი ჯერ კიდევ დიდხანს შეუძლია მომატება. ის არასოდეს ნებდება, რაც ყველაზე მეტად მომწონს მასში. კოშტას „ოქროს ბურთის“ ფავორიტთა შორის დავასახელებდი, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ მისი პროგრესი ჩვენგან წასვლის შემთხვევაშიც არ შეჩერდება*“.

ცხადია, რომ თუკი „ჩელსი“ და „ატლეტიკო“ მოლაპარაკებათა მაგიდას მიუსხდებიან, დიეგო კოშტა ნამდვილად არ იქნება ერთადერთი თემა. მადრიდელებს ძალიან უნდათ **ტიბო კურტუას** ტრანსფერის საბოლოოდ გამოსყიდვა, ვინც „ვისენტე კალდერონზე“ უკვე მესამე სეზონს ამთავრებს იჯარით. ამას გარდა შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს „ატლეტიკოში“ **ფერნანდო ტორესის** დაბრუნების საკითხიც, ვინც **ჟოზე მოურინიოს** გუნდში უკვე ზედმეტია.



დიეგო კოშტასა და „ჩელსიზე“ სულ უფრო ბევრს წერენ

ამბები



ალექს ფერგიუსონის კოლექცია

## ფერგიუსონი კოლექციას ჰყიდის

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ღვინის საკუთარი კოლექციის გაყიდვას „კრისტის“ აუქციონზე აპირებს. კოლექციაში 5 ათასამდე ბოთლია. მისი საერთო ღირებულება მინიმუმ 5 მილიონი დოლარია. ლოტის სასტარტო ფასიც ზუსტად 5 მილიონია. ცნობილია, რომ საჯარო ვაჭრობა მაისში ჰონკონგში გაიმართება. „კრისტის“ ექსპერტის განცხადებით, კოლექციის დიდი ნაწილი ბურგუნდიული ვენახებიდან არის, რაც განსაკუთრებით პოპულარულია ძვირადღირებული ღვინოების მოყვარულთა შორის. შესაბამისად, აუქციონმა მარტო ფეხბურთის გულშემატკივართა ინტერესი არ უნდა მიიპყროს.

## რასიზმი დასჯადია



ენდი კოული

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ენდი კოული** გასული წლის 29 დეკემბერს დუბლინი-ლონდონის ავიარეისით სამშობლოში ბრუნდებოდა, როცა ნასვამმა მგზავრებმა 28 წლის **ლი ბირნმა** და 26 წლის **გრეგორი ჰორანმა** რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყვეს, უწოდეს რა „მისტერ ბლექმენი“ (მისტერ შავი კაცი) და „მოჩვენება“. კოულის გარდა ისინი დანარჩენ მგზავრებსაც გადასწვდნენ. თვითმფრინავის დაჯდომის შემდეგ მათ ადგილზე აეროპორტის პოლიცია დახვდა და დააკავა. სასამართლოს გადაწყვეტილება ახლაღა გახდა ცნობილი. ბირნი ციხეში 20 კვირას გაატარებს, ჰორანი - 10-ს. „*ვშიშობ, რომ თუკი საზოგადოებაში არაფერი შეიცვალა, ჩემი შვილის თაობასაც კი დისკრიმინაციის პირობებში მოუწევს არსებობა, რაც, ცხადია, მიუღებელია,*“ - განაცხადა განაჩენის გამოცხადების შემდეგ ენდი კოულმა.

## რეალი-იუნაიტედი ანშლაგის ფონზე

მიმდინარე წლის ზაფხულზე, 24 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით აშშ-ში კომერციული საფეხბურთო ტურნირი „ინტერნეშენალ ქაფ ჩემპიონშიპი“ ჩატარდება, რომელშიც „რეალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მანჩესტერ სიტი“, „ლივერპული“, „მილანი“, „ინტერი“, „რომა“ და „ოლიმპიაკოსი“ ითამაშებენ. პირველი ორი ერთმანეთს მიჩიგანის შტატის ქალაქ ენ-არბორში „მიჩიგან სტედიუმზე“ შეხვდება, რომელიც 109 900 ადამიანს იტევს. ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე ბილეთების გაყიდვა დაწყებიდან რამდენიმე საათშივე დასრულდა.



ედინ ჯეკო

## ჯეკო დარჩება

GOAL.COM-ის ინფორმაციით, „მანჩესტერ სიტი“ **ედინ ჯეკოსთან** თანამშრომლობის გაგრძელებას გეგმავს. თავდამსხმელს მოქმედ კონტრაქტში ერთი წელიღა რჩება, რის გამოც 28 წლის ბოსნიელს „დორტმუნდში“ **რობერტ ლევანდოვსკის** ადგილზე მისვლას უწინასწარმეტყველებდნენ. კლუბში მოვლენათა ამგვარი განვითარება არ აწყობთ და ჯეკოსთან მოლაპარაკებების დასრულებას ჯერ კიდევ სეზონის დასრულებამდე აპირებენ. როგორც ჩანს, ფეხბურთელი ამჟამინდელ ანაზღაურებას, კვირაში 150 ათას ფუნტს შეინარჩუნებს.

## დაფი ფულჰემს ემშვიდობება

„აირიშ ტაიმსის“ ცნობით, 35 წლის **დემიენ დაფი** და „ფულჰემი“ შეთანხმდნენ, რომ ივნისის ბოლოს, კონტრაქტის დასრულების შემდეგ ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდებიან. ირლანდიელი ვეტერანი თებერვლის შემდეგ ნატკენ მუხლს მკურნალობს. მისი აგენტი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ამერიკულ და ავსტრალიურ კლუბებთან.

## მანჩესტერ სიტი პირველზეა

„მანჩესტერ სიტი“ პროფესიულ სპორტულ კლუბებში მსოფლიოში პირველ ადგილზეა არამარტო სახელფასო ბიუჯეტით, არამედ ანაზღაურების საშუალო სიდიდითაც. „ქალაქელთა“ საშუალო ხელფასი წელიწადში 5.3 მილიონი ფუნტი სტერლინგია. აღსანიშნავია, რომ „სიტიმ“ ეს თავისებური შეჯიბრება ზედიზედ მეორედ მოიგო. ახლა კი რეიტინგის საუკეთესო ათეულს გაეცანით, სადაც უფრო იოლად აღსაქმელად ამჯერად ხელფასები უკვე ევროებშია გადაყვანილი.

| | |
|---|---|
| 1. „მანჩესტერ სიტი“ (ფეხბურთი) | 6.43 მლნ. |
| 2. „ნიუ იორკ იანკისი“ (ბეისბოლი) | 6.31 |
| 3. „ლოს ანჯელეს დოდჯერსი“ (ბეისბოლი) | 6.19 |
| 4. „რეალი“ (ფეხბურთი) | 5.95 |
| 5. „ბარსელონა“ (ფეხბურთი) | 5.95 |
| 6. „ბრუკლინ ნეტსი“ (კალათბურთი) | 5.34 |
| 7. „ბაიერნი“ (ფეხბურთი) | 5.34 |
| 8. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ფეხბურთი) | 5.22 |
| 9. „ჩიკაგო ბულსი“ (კალათბურთი) | 4.73 |
| 10. „ჩელსი“ (ფეხბურთი) | 4.73 |

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## კვირა ციფრებში

# როგორ დაეცა როჟე მილას რეკორდი


მარკო როისი სუპერფორმაშია

**დღევანდელ მიმოხილვაში არაერთ საინტერესო საკითხზე ვისაუბრებთ, მათ შორის „ბარსელონას" წარუმატებლობაზე და პირიქით, მარკო როისის, „კრისტალ პალასის" და კლინტ დემპსის წარმატებულ ასპარეზობაზე...**

43 - წლის და 354 დღის ასაკში, მავრიკის ნაკრების ფეხბურთელმა **კერსლი აპუმ როჟე მილას** რეკორდი მოხსნა და აფრიკის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ნაკრებში ითამაშა. მილამ კამერუნის ნაკრებში უკანასკნელად 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რუსეთთან შეხვედრაში ითამაშა, რომელიც მისმა გუნდმა 1:6 წააგო და ვეტერანმა იმ შეხვედრაში გოლი გაიტანა. 42 წლის და 39 დღის ასაკში მილა მუნდიალების ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული ფეხბურთელი და ყველაზე ხანდაზმული გოლის ავტორი გახდა. ლეგენდარული კამერუნელის კონტინენტური რეკორდი აპუმ შაბათს, მავრიკის და მავრიტანიის შეხვედრაში მოხსნა. 43 წლის ფეხბურთელი მინდორზე მეორე ტაიმში გავიდა. იმ დროს, „ბასტიას" 20 წლის ლეგიონერის, **ადამა ბას** გოლით, მავრიტანია 1:0-ს იგებდა. საბოლოოდ, აფრიკის ერთა თასის შესარჩევი ეტაპის ეს შეხვედრა ამ ანგარიშით დასრულდა, რაც ნიშნავს იმას, რომ მავრიკის უკვე 27 მატჩია, არ მოუგია. ამ ქვეყნის ნაკრებმა ბოლო გამარჯვება 2003 წელს, მადაგასკართან მოიპოვა, როდესაც აპუმ 11-მეტრიანი გამოიყენა და საკუთარ გუნდს 2:0 მოაგებინა.

*„კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ"*, - განაცხადა აპუმ, რომელსაც მსოფლიოს რეკორდამდე ჯერ კიდევ ბევრი აშორებს. საერთაშორისო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი **მაკდონალდ ტეილორ უფროსია**, რომელმაც ვირჯინიის კუნძულების რიგებში 46 წლის და 217 დღის ასაკში ითამაშა.

**42** - წლიანი პაუზის შემდეგ, „გრანადამ" ლა ლიგაში „ბარსელონას" დამარცხება შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ **ხერარდო მარტინოს** გუნდს ბურთის ფლობა 80%-ზე მეტი ჰქონდა, რაც წლევანდელი ლა ლიგის რეკორდია და მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელებმა მეტოქის კარისკენ 29-ჯერ დაარტყეს, **იასინ ბრაჰიმის** მიერ მატჩის მე-16 წუთზე გატანილი გოლი ერთადერთი გამოდგა და მასპინძლებმა 1:0 მოიგეს.

ამ მატჩამდე სამი დღით ადრე, „ბარსამ" იმავე ანგარიშით ჩემპიონთა ლიგაში, „ატლეტიკოსთან" წააგო და ტურნირს გამოეთიშა. აქამდე, ბოლო შემთხვევა, როდესაც „ბარსელონამ" ზედიზედ ორ შეხვედრაში ვერ შეძლო მეტოქეთა კარის აღება, 2008 წლის აგვისტოში დაფიქსირდა, როცა კატალონიელებმა ასევე 0:1 ჯერ „ვისლასთან", შემდეგ კი „ნუმანსიასთან" წააგეს.

**12** - გოლი დორტმუნდის „ბორუსიას" მიერ გატანილი ბოლო 13 გოლიდან **მარკო როისის** უშუალო მონაწილეობით გავიდა. 24 წლის გერმანელმა თავი 8-ჯერ გამოიჩინა, 4-ჯერ კი მან ხელი პარტნიორებს გაუმართა.

შაბათს, სწორედ როისმა გაატანინა **ჰენრიხ მხითარიანს**, რომელმაც მიუნხენის „ბაიერნთან" შეხვედრაში ანგარიში გახსნა. **პეპ გვარდიოლას** გუნდმა ზედიზედ მეხუთე შეხვედრაში გაუშვა პირველი გოლი. ამის მერე, ტაბლოზე უკვე როისის გვარიც გამოჩნდა, „ბორუსიამ" კი მეტოქეს 3:0 მოუგო და ზედიზედ მეოთხე საგარეო გამარჯვება მოიპოვა. **იურგენ კლოპის** გუნდმა გერმანიის ჩემპიონატში „ალიანს არენაზე" გამართული ბოლო 4 მატჩიდან 3 მოიგო და ერთი დაასრულა ფრედ. უკანასკნელად, ბუნდესლიგის ეგიდით, საშინაო მოედანზე „ბაიერნმა" BVB-ს დამარცხება 2010 წელს შეძლო.

სამშაბათს როისმა თავი უკვე ორი საგოლე გადაცემით გამოიჩინა, „დორტმუნდმა" კი გერმანიის თასის 1/2 ფინალში „ვოლფსბურგს" 2:0 მოუგო და ფინალში გავიდა. ამ შეხვედრის მეორე გოლი **რობერტ ლევანდოვსკიმ** გაიტანა, ვისთვისაც ეს ბურთი მე-100 იყო „ბორუსიას" შემადგენლობაში.

**3** - გამარჯვება მოიპოვა ზედიზედ „კრისტალ პალასმა" პრემიერლიგაში, რაც ამ გუნდს 1994 წლის ნოემბრის შემდეგ არ ჰქონდა გაკეთებული, როდესაც **ნაიჯელ მარტინის, გარეთ საუთგეიტის, ჯონ სალაკოს** და **კრის არმსტრონგის** კარგი თამაშის წყალობით, „არწივებმა" მიჯრით ოთხი თამაში მოიგეს.

„პალასმა" ამ სეზონის პირველ 10 ტურში მხოლოდ სამი ქულა მოაგროვა და როდესაც ნოემბერში, მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ტონი პულისი** დაინიშნა, ბევრმა იფიქრა, რომ 56 წლის სპეციალისტის საამაყო სერია, რომლის მიხედვითაც მისი გუნდები არასდროს გავარდნილან, სწორედ ამ სეზონში დასრულდებოდა, მაგრამ უელსელის ხელმძღვანელობით ლონდონელებმა 21 შეხვედრაში 30 ქულა მოაგროვეს, რის გამოც მათ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება არ უნდა გაუჭირდეთ. იმ 14 მატჩიდან, რომელშიც „კრისტალ პალასი" არ დამარცხდა, გუნდმა კარი მშრალად 11 შეხვედრაში შეინახა.

**0** - გოლი ჰქონდა გატანილი MLS-ში გატარებული 6 სეზონის განმავლობაში **კევინ ელსტონს**, რომელსაც დაახლოებით ერთი წლის წინ ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ 25 წლის ფეხბურთელმა იმკურნალა და სპორტს რამდენიმე თვეში დაუბრუნდა. „ნიუ ინგლენდ რევოლუშენის" მცველმა, ვინც 2005 წელს აშშ-ის ნაკრები 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის 1/4 ფინალში გაიყვანა, თავისი პირველი გოლი შაბათს, „ჰიუსტონ დინამოსთან" შეხვედრაში გაიტანა. ეს მატჩი მისთვის 123-ე იყო MLS-ში, „ნიუ ინგლენდმა" კი 2:0 მოიგო. ელსტონი ბედნიერი იყო იმით, რომ თავისი სადებიუტო გოლი შეაგდო: *„საოცარი შეგრძნებაა. როგორც იქნა გოლი გავიტანე. უბრალოდ მიხარია, რომ ექვსწლიანი ლოდინი დასრულდა და ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ კარიერის განმავლობაში თუნდაც ერთი გოლი მაინც მაქვს გატანილი"*, - განაცხადა ელსტონმა.

მე-6 ტურში თავი „რევოლუშენის" ყოფილმა ფეხბურთელმა, **კლინტ დემპსიმაც** გამოიჩინა, ვინც ჯერ ულამაზესი საჯარიმო დარტყმით გაიტანა, შემდეგ კი გამარჯვების მომტანი გოლიც შეაგდო და „სიეტლ საუნდერსს" „დალასთან" 3:2 მოაგებინა. 31 წლის ფეხბურთელმა ბოლო ორ შეხვედრაში ხუთი გოლი გაიტანა, სულ კი „ფულჰემის" და „ტოტენჰემის" ყოფილი ნახევარმცველის ანგარიშზე 6 ბურთია და ის ბომბარდირთა დავის ერთპიროვნული ლიდერია.

**ტატო ბაციკაძე**

### გერმანიის თასი

**1/2 ფინალი**

**ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი 5:1**

**გოლები:** 1:0 შვაინშტაიგერი (23), 2:0 კროოსი (32), 3:0 მიულერი (50-პენ), 3:1 ცოლერი (60), 4:1 მანჯუკიჩი (78), 5:1 გიოტცე (91)

**ბაიერნი (4-2-3-1):** რედერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა (81. რაფინია) - შვაინშტაიგერი (75. ხ. მარტინესი), კროოსი - რობენი (61. გიოტცე), მიულერი, რიბერი - მანჯუკიჩი

**კაიზერსლაუტერნი (4-1-4-1):** ზიპელი - დიკი, ტორეხონი, ჰაინცი, ლიოვე (68. ფორტუნისი) - ორბანი - მატმური, რინგი, იენსენი (77. იდრისუ), ციმერი - ცოლერი (80. ლაკიჩი)

**ფინალი**

**დორტმუნდი-ბაიერნი**

## ამბები


მარტინ პალერმო

### პალერმო არსენალში დაინიშნა

არგენტინის ჩემპიონატის ბოლო ტურში განცდილი მორიგი მარცხის შემდეგ, სარანდის „არსენალის" ხელმძღვანელობამ დაკავებული თანამდებობიდან კლუბის ლეგენდარული დამრიგებელი **გუსტავო ალფარო** გაათავისუფლა. სწორედ ალფაროს მუშაობის პერიოდში მოახერხა მოკრძალებულმა კლუბმა კოპა სუდამერიკანას (2007), არგენტინის თასის (2013) და არგენტინის ჩემპიონატის (2012 წლის კლაუსურა) მოგება, მაგრამ 51 წლის სპეციალისტს „ხიმნასიასთან" წაგება (0:2) და გუნდის ბოლო ადგილზე დაშვება არ აპატიეს.

სარანდელთა ახალი დამრიგებელი **მარტინ პალერმო** იქნება, რომელიც „გოდოი კრუსიდან" წასვლის შემდეგ უმუშევარი იყო. „ბოკა ხუნიორსის" ლეგენდარული ფორვარდისთვის „არსენალი" სამწვრთნელო კარიერაში მეორე გუნდი იქნება.

### ატლეტიკოს ლაზარეთი იცლება

კარგი ამბებია მადრიდის „ატლეტიკოს" ბანაკში, რომელსაც ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩი პარასკევს, „ელჩესთან" ელის, სამშაბათს კი „როხიბლანკო" ჩემპიონთა ლიგის 1/2 ფინალში „ჩელსის" შეხვდება. მადრიდული კლუბის სამედიცინო შტაბის ცნობით, ბოლომდე გამოჯანმრთელდა **არდა თურანი**, ვინც ჩემპიონთა ლიგაში ნამდვილად ითამაშებს, მეტიც, **დიეგო სიმეონეს** თურქი ნახევარმცველის გამოყენება „ელჩესთანაც" შეეძლება. ასევე გუნდთან ერთად ივარჯიშა **დიეგო კოშტამ**, რომლის დაზიანებაც სერიოზული არ გამოდგა.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც „ატლეტიკოს" ლაზარეთში რჩება, ახალგაზრდა **ხავი მანკილიო** გახლავთ, ვინც კისრის ტრავმა 12 თებერვალს, „რეალთან" სათასო შეხვედრაში მიიღო.

**ტატო ბაციკაძე**

### ნობოა მარსელში?

მოსკოვის „დინამოს" ნახევარმცველ **კრისტიან ნობოათი** „დორტმუნდის" მერე, „მარსელიც" დაინტერესდა. 29 წლის ეკვადორელს რუსულ კლუბთან მოქმედი შეთანხმება 2014 წლის დეკემბერში უმთავრდება და მისი ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა.

*„ვადასტურებ, რომ „მარსელის" წარმომადგენლები დამიკავშირდნენ. მათ აინტერესებდათ. როგორი სიტუაცია აქვს კრისტიანს გუნდში, რამდენია მისი ხელფასი, დაინტერესებულია თუ არა საფრანგეთში გადასვლით. ნობოას პოზიცია ვიცი, იგი „დინამოში" კმაყოფილია, მაგრამ გასარკვევია ისიც, რა გეგმები აქვს გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელს სტანისლავ ჩერჩესოვს. ასევე ვაპირებ გადავამოწმო, ძალაშია თუ არა „დორტმუნდის" ინტერესი,"* - განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა **ლეონიდ ისტრატიმ**.

### ნაპოლიმ კულიბალი და გონალონი დაიბევა?

დიდი შანსია, ბელგიური „გენკის" მცველმა **კალიდუ კულიბალიმ** კარიერა „ნაპოლიში" გააგრძელოს. როგორც ამბობენ, **რაფაელ ბენიტესის** გუნდმა უკვე შეათანხმა პირადი კონტრაქტის დეტალები 22 წლის სენეგალური ფესვების მქონე ფრანგთან და ახლა „გენკთან" შეთანხმების მიღწევალა რჩება. მიმდინარე სეზონში კულიბალი კარგად გამოიყურება და 2 გოლის გატანაც მოახერხა.

პარალელურად გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ზაფხულში იტალიური გუნდის პირველი ახალწვეული **მაქსიმ გონალონი** გახდება. „ლიონის" კაპიტნის ხელში ჩაგდება „ნაპოლის" იანვარშიც სურდა, მაგრამ ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა. ახლა კი კლუბის პრეზიდენტს **აურელიო დე ლაურენტის** რამდენიმე მეგობრისთვის უთქვამს, რომ მხარეებს შორის შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეულია. საიდან მივიდა ეს ამბავი პრესის ყურამდე ჯერჯერობით უცნობია.

### ბლანი ხელშეუხებელია

ფრანგული „პარი სენ-ჟერმენის" პრეზიდენტი **ნასერ ალ-ხელაიფი** სრულ მხარდაჭერას უცხადებს **ლორან ბლანს**. ყატარელმა ბიზნესმენმა თავისი სიტყვებით ის ჭორები უარყო, რომელთა თანახმადაც, იგი პსჟ-ს ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნით იმდენად უკმაყოფილიყო გახლდათ, რომ ბლანს გაშვებას უპირებდა.

*„გაკვირვებით ვაგრძელებ სხვადასხვა სახის ინფორმაციებისა და კომენტარების კითხვას ჩვენი მთავარი მწვრთნელის შესახებ. ყველაფერი ძალიან მარტივადაა - ლორან ბლანი გუნდის მთავარი მწვრთნელია და მინდა, რომ ის ამ პოსტზე იყოს. ასე ვფიქრობდი „ჩელსისთან" მარცხამდეც და ასე ვფიქრობ მას მერეც,"* - აღნიშნა ალ-ხელაიფიმ.

**გიორგი პაპაბაძე**



პსჟ-ს პრეზიდენტი და მწვრთნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრად... სამშობლოში

# რვა გზააბნეული ბრაზილიელი



დღეს პეპე ალბათ ბრაზილიის ნაკრებშიც შეუცვლელი იქნებოდა

**„ლელოს" დღევანდელ ნომერში იმ ბრაზილიელების შესახებ მოგითხრობთ, რომლებიც დიდი ალბათობით, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე სამშობლოში სტუმრის რანგში ჩავლენ. დიახ, თქვენ წინაშეა 8 ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომლებიც სხვადასხვა ნაკრებების ღირსებას იცავს...**

## ტიაგო ალკანტარა (ესპანეთი)

**ტიაგო ალკანტარა** ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის **მაზინიოს** შვილია, თუმცა მამისგან განსხვავებით, ესპანეთის ღირსებას იცავს. ტიაგო იტალიაში დაიბადა, თუმცა ცხოვრების დიდი ნაწილი ბრაზილიასა და ესპანეთში გაატარა. როდესაც საქმე ნაკრების არჩევაზე მიდგა, ბრაზილიას ესპანეთი ამჯობინა... ალკანტარამ ესპანეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში ითამაშა და უკვე ეროვნული გუნდის ფეხბურთელად ითვლება. 22 წლის ნახევარმცველის ბრაზილიურ მუნდიალზე გამგზავრება მხოლოდ **ვისენტე დელ ბოსკეს** გადასაწყვეტია და ვნახოთ, ჩავა თუ არა ტიაგო ისტორიულ სამშობლოში სტუმრის სტატუსით.

## დიეგო კოშტა (ესპანეთი)

**დიეგო და სილვა კოშტა**, კიდევ ერთი ბრაზილიელი, რომელმაც არჩევანი ესპანეთის ნაკრების სასარგებლოდ გააკეთა და თუ ალებული ტემპი არ დააგდო, გაემგზავრება კიდეც მუნდიალზე „ფურია როხასთან" ერთად. არადა, დიეგო კოშტას ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში ორი ამხანაგური მატჩი აქვს ჩატარებული და ამ პერიოდში, ერთი ოფიციალური პაექრობაც რომ გაემართა, ესპანეთის ნაკრებისკენ ყველა გზა მოეჭრებოდა. ლა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში დიეგოს 26 გოლი აქვს გატანილი და სწორედ მისი ასეთი შედეგიანობა გახდა ესპანელთა დაინტერესების საფუძველი - პირენეელებმა სასურველ შედეგს მიაღწიეს: კოშტა უკვე გახდა „ფურია როხას" ფეხბურთელი.

## ტიაგო მოტა (იტალია)

31 წლის **ტიაგო მოტა** ბრაზილიაში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა აპენინელი წინაპრებიდან გამომდინარე, იტალიის პასპორტი უპრობლემოდ მიიღო. შესაბამისად, „სკუადრა აძურაში" თამაშის შანსი გაუჩნდა და ფედერკალჩოს წინადადებას სიამოვნებით დათანხმდა. 2011 წლიდან, მოტა „სკუადრა აძურას" ღირსებას იცავს და როგორც აცხადებს, თავს 100%-იან იტალიელად თვლის. არადა, დიეგო კოშტას მსგავსად, ტიაგო მოტასაც ორი ამხანაგური მატჩი აქვს ბრაზილიის ნაკრებში გამართული და ვინ იცის, სადაურად ჩათვლიდა თავს, ერთ ოფიციალურ პაექრობაშიც რომ მიენვიათ სამხრეთამერიკელებს. მოტას **ჩეზარე პრანდელის** „აძურაში" მყარი პოზიცია აქვს და წესით, უნდა ჩავიდეს კიდეც სამშობლოში სტუმრის რანგში.

## ედუარდო და სილვა (ხორვატია)

**ედუარდო და სილვას** გარეშე ხორვატიის ნაკრები უკვე რთული წარმოსადგენია, არადა, 30 წლის ბრაზილიელი სრულიად შემთხვევით მოხვდა ბალკანეთში. 1999 წელს, მისი პორტუგალიაში გამგზავრება პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო, როდესაც გარიგება ბოლო მომენტში ჩაიშალა - საბოლოოდ, ახალგაზრდა ტალანტი ნაკლებად სასურველ წინადადებას დათანხმდა და ზაგრების „დინამოში" აღმოჩნდა. აქედან დაიწყო ედუარდო და სილვას ხორვატული კარიერა, რომელიც 61 სანაკრებო პაექრობას ითვლის. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელმა ხორვატთა ახალგაზრდულ გუნდში 12 მატჩი გამართა. ედუარდო 30 წლისაა, მისი პოზიციები ეროვნულ გუნდში ძველებურად მყარი ველარ არის, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ისტორიულ სამშობლოში მუნდიალზე სასპარეზოდ გაემგზავრება - თუნდაც **მარიო მანჯუკიჩის** დუბლიორად.

## ზინია (მექსიკა)

**ანტონიო ნაელსონ მატიასი**, იგივე **ზინია**, რომელიც 22 წლის ასაკში გადაბარგდა მექსიკაში და მას შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში ასპარეზობს. ზინია უკვე 37 წლისაა, მექსიკის კლუბ „ტოლუკაში" 500-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული და ამავე ქვეყნის ღირსებას იცავს სანაკრებო დონეზეც. მექსიკელთა უმთავრეს გუნდში 56 მატჩი გამართა და 6 გოლი გაიტანა. შემტევ ნახევარმცველს კარიერის დასრულება ჰქონდა განზრახული, მაგრამ 2013 წლის ზაფხულს კლუბთან კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება - მიზეზი მუნდიალია, ზინიას სამშობლოში დაბრუნება და მექსიკის ნაკრებთან ერთად, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა სურს.

## ჯოვანი დოს სანტოსი (მექსიკა)

კიდევ ერთი ბრაზილიელი, რომელიც მექსიკის ეროვნულ გუნდში ასპარეზობს და ზინიასგან განსხვავებით, კიდევ დიდხანს იასპარეზებს. **ჯოვანი დოს სანტოსი** ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის **ჟერარდო დოს სანტოსის** შვილია, რომელმაც კარიერა სწორედ მექსიკის ჩემპიონატში დაასრულა. შესაბამისად, მექსიკაში დაიბადა და ადრეული წლები გაატარა ჯოვანიმაც, რომელიც შემდეგ ესპანეთში გადაბარგდა და დიდ ფეხბურთში „ბარსელონას" აკადემიიდან შეაბიჯა. ერთი ხანობა ინგლისურ „ტოტენჰემშიც" მოსინჯა ძალები, თუმცა ლა ლიგას დაუბრუნდა და დღემდე პირენეებზე ასპარეზობს. დოს სანტოსის მიმართ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებიც იჩენდნენ ინტერესს, მაგრამ ჯოვანის პოზიცია ცალსახა იყო: მას მხოლოდ მექსიკის ნაკრებში სურდა თამაში. 24 წლის ასაკში, მის ანგარიშზე უკვე 73 სანაკრებო მატჩია და თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, ყველაფერი წინ აქვს...

## ჟუნიორ ფერნანდესი (ჩილე)

ბრაზილიელი თავდამსხმელი, რომლის მშობლებიც ჩილეში გადავიდნენ საცხოვრებლად და **ჟუნიორ ფერნანდესიც** სწორედ ამ ქვეყანაში მოევლინა სამყაროს. ბუნებრივია, საფეხბურთო კარიერაც ჩილეში დაიწყო, არაერთ გუნდში იასპარეზა და 2012 წელს, ლევერკუზენის „ბაიერში" გადაბარგდა. გერმანულმა კლუბმა ჟუნიორი მალევე გაანათხოვრა ზაგრების „დინამოში" და დღემდე ამ გუნდის ღირსებას იცავს. ფერნანდესი არც ისე ხშირად ხვდება ჩილეს ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ გუნდში კი მყარად აქვს ფეხი მოკიდებული - შესაბამისად, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მუნდიალზეც გაემგზავრება.

## პეპე (პორტუგალია)

ალბათ ერთადერთი ფეხბურთელი ჩამოთვლილთაგან, რომელიც დღეს ბრაზილიის ნაკრებშიც შეუცვლელი იქნებოდა, მაგრამ დიდი ხნის წინ, პორტუგალიის ნაკრებში ასპარეზობა გადაწყვიტა. 2001 წელს, „კორინთიანსიდან" „მარიტიმოში" გადაბარგდა და იქიდან დაიწყო **პეპეს** პორტუგალიური კარიერა. შემდეგ იყო „პორტუ", ბრწყინვალე გამარჯვებები და მადრიდის „რეალი", სადაც დღემდე ასპარეზობს. პეპე პორტუგალიის ეროვნულ გუნდში 2007 წლიდან ასპარეზობს, 57 მატჩი აქვს გამართული და 3 გოლი გატანილი, თუმცა გატანა მას არც მოეთხოვება. პეპე იმდენად კარგად მოერგო პორტუგალიურ ფეხბურთს და ამ ქვეყნის უპირველეს გუნდს, რომ ბევრს აღარც ახსოვს მისი წარმომავლობა - დიახ, ის ბრაზილიამ აჩუქა პორტუგალიას, ისევე როგორც თავის დროზე **დეკუ**...

**ლაშა ნიკლაური**



ედუარდო და სილვას გარეშე ხორვატიის ნაკრები წარმოუდგენელია

საფრანგეთის თასი. 1/2 ფინალი

# წარმატების მომტანი მონტანიე



ანჟერი-რენი

**საფრანგეთის თასის პირველი ფინალისტი ბრეტონული „რენი" გახდა, რომელსაც „რეალ სოსიედადიდან" გადაბარგებული ფილიპ მონტანიე წვრთნის - ნახევარფინალში „რენმა" რანგით დაბალ ლიგაში მოთამაშე „ანჟერს" აჯობა - 3:2.**

ამჟამად ლიგა 2-ში მყოფი და ელიტაში დასაბრუნებლად მებრძოლი „ანჟერი" „სტად დე ლა რუტ დე ლორიანზე" დებიუტშივე დაწინაურდა და 28 ათასზე მეტი მაყურებელი შოკში ჩააგდო. ყველაზე მალე გონს თავად „რენის" ფეხბურთელები მოეგნენ: იანვარში შეძენილი ფეხბურთელების წყალობით, ბრეტონელები 36-ე წუთისთვის უკვე იგებდნენ - ჯერ **ოლა ტოივონენმა** გაათანაბრა, ხოლო მერე **კამილ გროსიცკიმ** წინ გაიყვანა **ფილიპ მონტანიეს** გუნდი. ყველაფერი მეორე ტაიმის დებიუტში გადაწყდა, როდესაც **ჟან მაკუნმა** მესამე გოლი შეაგდო და ანგარიში 3:1 გახადა. სხვათა შორის, მეორე და მესამე გოლებისას გადამცემები **აბდულაი დუკურესი** იყო. სიტუაცია ოდნავ დაიძაბა 89-ე წუთზე, როდესაც „ლიონის" საკუთრებაში მყოფმა **მოჰამად იატარამ** პენალტი გაიტანა, დუბლი გაიფორმა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ 20 წლის გვინეელის გარჯა სტუმრებისთვის საკმარისი არ გამოდგა.

„რენი" მიმდინარე ლიგა 1-ში ძალიან ცუდად გამოდის, მაგრამ სეზონი წარმატებულად ჩაითვლება და მონტანიე თავის პრესტიჟს არ დააგდებს, თუ გუნდს 43-წლიანი პაუზის მერე პირველ ტიტულს მოაპოვებინებს. ამ პაუზის შეწყვეტასთან ყველაზე ახლოს „რენი" 2009 წელს იყო, როდესაც თასის ფინალში ბრეტონულ დერბის უგებდა კიდეც „გენგამს", მაგრამ მატჩის მიწურულს გაშვებული გოლებით საბოლოოდ მაინც დამარცხდა - 1:2.

**ფილიპ მონტანიე:** *„მეტოქემ დიდი ბრძოლა გაგვიმართა და ალბათ, დაინახეთ, თუ რატომ არის ასე ახლოს „ანჟერი" ლიგა 1-ში გადმოსვლასთან. საბედნიეროდ, მიზანს მივაღწიეთ და ფინალში გავედით, მაგრამ სირთულეების თანხლებით. ვისურვებდი, რომ მეორე გოლი აღარ გაგვეშვა და მატჩი მშვიდად ჩაგვემთავრებინა, მაგრამ ყოველთვის რაღაც ცოტა გვაკლდება. ეს წარმატება და გამოცდილება მომავალი სეზონისთვის გამოგვადგება, ახლა კი ფინალისთვის უნდა მოვემზადოთ. ეს ფინალი ჩვენთვის და მთლიანად ბრეტონიისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს".*

*„სწორედ ასეთი მომენტებისთვის ვთამაშობთ ფეხბურთს. „სტად დე ფრანსის" საგ ზური მოვიპოვეთ, მაგრამ ახლა ფინალის მოგებას შევეცდებით. არ გვაღელვებს ზეწოლა, გავალთ მინდორზე და ვისიამოვნებთ საკუთარი თამაშით,"* - აღნიშნა „რენის" შემტევმა **რომენ ალესანდრინიმ**, რომელსაც ბევრი მსურველი ჰყავს.

**გიორგი პაპაბაძე**

ამბები



არსენ ვენგერი

## ყველაფერი ვენგერის ხელშია

საფეხბურთო აგენტის, **შანდრო ვარგას** თქმით, **არსენ ვენგერის** „არსენალში" დარჩენა-არდარჩენის ამბავი თავად ფრანგ სპეციალისტზე უფრო დამოკიდებული, ვიდრე „მეთოფეების" ხელმძღვანელობაზე. შეგახსენებთ, რომ 64 წლის სპეციალისტს ლონდონურ გუნდთან მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ახალი შეთანხმების გაფორმებაზე ჯერჯერობით არაფერი ისმის.

*„ვენგერი სპეციფიკურ სიტუაციაშია. ერთი მხრივ, გუნდი განუწყვეტლივ ახალ კონტრაქტს სთავაზობს და ხელმძღვანელობა მისი მუშაობით კმაყოფილია. მეორე მხრივ, თავად არსენს მობეზრდა ის, რომ ვერაფერს იგებს. მას მუდამ აქვს შემოთავაზებები პსჟ-სგან, „რეალისგან", „ბარსელონასგან", საფრანგეთის ნაკრებისგან... მოთხოვნა დიდია და ყველაფერი თავად ვენგერის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული,"* - თქვა ვარგამ.

## რანიერი განაწყენდა

„მონაკოს" მთავარმა მწვრთნელმა **კლაუდიო რანიერიმ** სინანულით აღნიშნა, რომ როდესაც კლუბი ქვედა ლიგაში იყო, იქ მუშაობა არავის უნდოდა და ეს პოსტი მე ჩავიბარე, ახლა კი „მონაკოში" მოსვლა ყველას მოუნდაო. იტალიელი სპეციალისტის ეს სიტყვები მოჰყვა „ლუი მეორის" ბინადრების გარშემო ატეხილ ბოლოდროინდელ აჟიოტაჟს - „მონაკოს" ხელმძღვანელობის ამბიციებს რანიერიზე მაღალი დონის და უფრო პერსპექტიული მწვრთნელი შეესაბამებაო. აქტიურად ახსენებენ **დიეგო სიმეონეს** და ისიც ითქვა, არგენტინელის გადაბირებისთვის მონტეკარლოელები მზად არიან, „ატლეტიკოს" **დიეგო კოშტას** გამოსასყიდი თანხა 38 მილიონი ევრო გადაუხადონ და „ჩოლოსთან" ერთად გუნდში ისიც მიიყვანონო.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტი კარიერიდან

# როგორ ვერ გახდა პირლო მადრიდისტა

**პრესაში ანდრეა პირლოს ავტობიოგრაფიის „მე ვფიქრობ, შესაბამისად ვთამაშობ" ნაწყვეტი ვრცელდება, სადაც ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფანტაზისტა იმის შესახებ გვიყვება, თუ როგორ აღმოჩნდა კინაღამ მადრიდის „რეალში", რა ვითარებაში და რატომ ჩაიშალა მისი ფაქტობრივად შემდგარი ტრანსფერი „სამეფო გუნდში". ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება, თუ ავტობიოგრაფიიდან ამ ამონარიდს შემოგთავაზებთ**

2006 წლის ზაფხული იყო. მსოფლიოს ჩემპიონატი ახალი მოგებული გვქონდა და ცხოვრებით მთვრალი ვიყავი. ჩემი მოტოციკლით წყნარი, მშვიდი ფორტე დეი მარმის ქუჩებში გავედი და სანაპიროს წინ ჩავიარე. ხალხი მაჩერებდა, მეგებებოდა და ზურგზე ხელებს მიტყაპუნება. ისინი ფიქრობდნენ, რომ გონება მთლიანად საფრანგეთის დამარცხებით მქონდა დაკავებული, მაგრამ მათ ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი გამორჩათ. მაშინ მე გულითა და გონებით უკვე მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი ვიყავი და არა „მილანის". ხუთწლიანი კონტრაქტი მელოდებოდა არაამქვეყნიური ხელფასით.

ჩანდა, რომ „მილანში" რამდენიმე ადამიანმა ზედმეტი აიღო თავის თავზე. კალჩოპოლი მაშინ მეორე სალაპარაკო თემა იყო, და თითქმის არ ჩამოუვარდებოდა მუნდიალის ბატალიებს. ერთ დღეს ვკითხულობდი, რომ სერია B- ში გვაქვეითებდნენ, მეორე დღეს გავიგე, რომ სეზონს - 15 ქულით დავიწყებდით. მერე იყო საუბარი ტიტულების ჩამორთმევაზე და ასე შემდეგ... უკვე ეჭვი მეპარებოდა იმაში, რომ **ჯონ ლენონი მარკ დევიდ ჩეპმენმა** მოკლა, ვფიქრობდი, რომ ეს „მილანის" ერთ-ერთმა დირექტორმა გააკეთა.

სრული ქაოსი და არეულობა იყო, არავინ იცოდა, რა ხდებოდა და რა ბედი გვეწეოდა. ერთი რამ ზუსტად ვიცოდი - სერიაB- ში არასდროს ვითამაშებდი და თუ წასვლა მომიხდებოდა, თავს მოღალატედ არ ჩავთვლიდი. სხვა ადამიანების ცოდვებისთვის მე პასუხს არ ვაგებდი.

„რეალის" მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** ტრანსფერზე დამირეკა, მერე კი სპორტული დირექტორი **ფრანკო ბალდინიც** მესაუბრა. ყველას სურდა ჩემთან ლაპარაკი. ჩემს აგენტს, **ტულიო ტინტის** შევეხმიანე და ვთხოვე, გაეგო რას ფიქრობდა ამ საკითხზე „მილანი".

ყველაფერი ასე მოხდა - „მილანელოზე" დაბრუნება მიწევდა, „ცრვენა ზვეზდასთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის უნდა დაგვეწყო მზადება, მაგრამ ტულიომ მითხრა: *„თუ მართლა წასვლას აპირებ, ბაზაზე დაბრუნება არ იჩქარო, ბრეშაში სახლში იჯექი და მობილური ჩართული გქონდეს, ზარს დაელოდე, მაცადე „რეალს" დაველაპარაკო"*. ნოსტრადამუსი ტულიოსთან შედარებით მოყვარული იყო, რადგან სულ მალე ტელეფონმა მართლაც დარეკა...

- გამარჯობა ანდრეა, ფაბიო კაპელო ვარ, - მეუბნება მსოფლიოს ისტორიაში ერთ ერთი საუკეთესო მწვრთნელი.


ანდრეა პირლო „რეალის" მაისურით. ის, რაც არ მომხდარა

- გამარჯობა, ბოს, როგორ ხართ?
- მშვენივრად და დარწმუნებული ვარ, შენ კიდევ უფრო უკეთ იქნები. გადმოდი ჩვენთან, ახლახან ემერსონი დავიმატეთ „იუვენტუსიდან", ნახევარდაცვაში ერთად ითამაშებთ.
- კარგი მაშინ.

მას ჩემს დასარწმუნებლად დიდი დრო არ დასჭირვებია, წუთზე ნაკლები. თან კონტრაქტის შესახებ უკვე ვიცოდი, მშვენიერი შემოთავაზება იყო, და ტულიოს ვუთხარი, რომ კმაყოფილი ვიყავი.

საკუთარ თავს თეთრ, სუფთა და ამვდროულად აგრესიულ მაისურაში ჩაცმულს ვხედავდი. „სანტიაგო ბერნაბეუს" წარმოვიდგენდი, ტაძარს, რომელიც მეტოქეებს შიშის ზარს სცემდა. მეფის წვეულებაზე მომუშავე მონებს....

- ახლა რა ვქნათ, ტულიო?
- ლანჩზე ვისაუბროთ, რამდენიმე დღეში.
- სად? პლასა დე ანხელ კარბახოში?
- არა ანდრეა, მადრიდში არა, „მილანელოზე".
- რას გულისხმობ? გაგიჟდი?
- არა, სწორად გაიგე, „მილანელოზე". ჩვენ ჯერ კიდევ გვჭირდება გალიანის თანხმობა.

მენიუ ზეპირად ვიცოდი. ერთმანეთს იმ ოთახში შევხვდით, სადაც გუნდი სადილობდა ხოლმე, რომელიც სამზარეულოსა და იმ ოთახთანაა ახლოს, რომელშიც ბერლუსკონი პიანინოზე უკრავდა, ხუმრობდა და სხვადასხვა სახალისო ისტორიას ყვებოდა.

ლაპარაკი ტულიომ დაიწყო - ანდრე „რეალში" გადასვლას აპირებს. „დიახ" - ვთქვი მე. შემდეგ კი გალიანი მომაშტერდა და მითხრა - ანდრეა, ჩემო მეგობარო, შენ არსად არ მიდიხარ.

მან მაგიდის ქვემოდან პატარა კეისი ამოიღო, ამაზე გამეღიმა და წარმოვიდგინე, რომ ზუსტად ასე იყო მონიკა ლევინსკი დამალული ბილ კლინტონის მაგიდის ქვეშ ოვალურ კაბინეტში.

კეისიდან მისტერ ბირომ (გალიანი) კონტრაქტი ამოიღო და თქვა: *„შენ არ მიდიხარ, რადგან ამაზე ხელის მოწერას აპირებ. საუბარი 4- 5 წლიან კონტრაქტზეა და ხელფასის გრაფა ცარიელი დავტოვეთ, ჩაწერე რამდენიც გინდა"*.

ტულიომ კონტრაქტი ფაქტობრივად გამოგლიჯა და მითხრა რომ მას ექნებოდა, იგი ნახავდა. სახლში წაილო, კითხულობდა და კითხულობდა. მე კი ეროვნული ნაკრების ბაზაზე წავედი კოვერჩანოში. რამდენიმე დღე იქ გავატარე, არაფერი ისმოდა და ვთვლიდი, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო - ესპანურად ვფიქრობდი, ესპანურად ვოცნებობდი. წარმოვიდგენდი როგორ ჩავფრინდებოდი მადრიდში და სადმე „პლასა მეიორსა" და „პუერტა დელ სოლს" შორის გავჩერდებოდი. ამ დროს კი აგენტმა დამირეკა...

- "მილანის" კონტრაქტს მოაწერე ხელი, ახლავე, ისინი არსად გაგიშვებენ.
- არა
- კი
- ოკ, კარგი.

გაუთავებელი საუბარი პრესასთან, სულელური შეკითხვები. ნახევრად მართალი და ტყუილით გაბუქებული ისტორიები. კრეატივის არმქონე და უნიჭო ჟურნალისტების მიერ შეთხზული უშინაარსო, უაზრო სტატიები... არა, წადით თქვენიც! ეს ყველაფერი არ მინდა, თავს „მილანშიც" ბედნიერად ვგრძნობ.

სამწუხაროა, რომ ყველაფერი ასე მოხდა, რადგან გულით „რეალში" გადავედი. ეს უფრო გლამურული გუნდია, ვიდრე „მილანი", უფრო ქარიზმატული, უფრო პერსპექტიული. ეს არის გუნდი, რომელისაც მეტოქეს ყოველთვის ეშინია, ვინც არ უნდა იყოს ეს მეტოქე.

ამ ამბების მერე, სეზონის ბოლოს დამამშვიდებელ ჯილდოდ ჩემპიონთა ლიგა მოვიგე, არადა, შეიძლებოდა ყველაფერი ბევრად უარესად ყოფილიყო.

GOAL.COM- ის მიხედვით
მოამზადა **გიორგი კაკაბაძემ**





ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა დელ რეი. ფინალი




# სამეფო თასი სამეფო გუნდს

**ბარსელონა-რეალი 1:2**

**გოლები:** 0:1 დი მარია (11), 1:1 ბარტრა (68), 1:2 ბეილი (85)

**ბარსელონა** (4-3-3): პინტო - დანი ალვეში, ბარტრა (86. ა. სანჩესი), მასკერანო, ალბა (46. ადრიანო) - ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა - ნეიმარი, მესი, ფაბრეგასი (60. პედრო)

**რეალი** (4-3-3): კასილიასი - დანიელ კარვახალი, პეპე, სერხიო რამოსი, ფ. კოენტრაო - ჩაბი ალონსო, მოდრიჩი, ისკო (89. კაზემირო) - დი მარია (86. ილიარამენდი), ბენზემა (90. ვარანი), ბეილი

**გაფრთხილება:** ნეიმარი, მასკერანო - ისკო, პეპე, ჩაბი ალონსო

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 5-8; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 12-18 (4-7); **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 52 000

„ბარსელონა" და „რეალი" „სამეფო თასის" ფინალში ერთმანეთს მეშვიდედ შეხვდნენ და მადრიდულმა კლუბმა გამარჯვება მეოთხედ მოიპოვა. 2011 წლის მსგავსად, „მესტალიაზე" ამჯერადაც დედაქალაქელებმა იმარჯვეს. **კარლო ანჩელოტიმ** სეზონში პირველი ტიტული მოიპოვა, **ხერარდო მარტინოსთვის** კი „ბარსელონაში" გატარებული პირველივე სეზონი შესაძლოა უკანასკნელი აღმოჩნდეს.

ორივე გუნდს სერიოზული დანაკლის ჰქონდა - „ბარსას" **ვიქტორ ვალდესი** და **ჟერარდ პიკე** არ ჰყავდა, „რეალს" კი **კრიშტიანო რონალდო**. პორტუგალიელის არყოფნა „სამეფო კლუბს" **ანხელ დი მარიამ** და **გარეთ ბეილმა** არ აგრძნობინეს - ორივემ თითო გოლი გაიტანა და „ლოს მერენგესს" თასი ისტორიაში მეცხრამეტედ მოაგებინა.

ანგარიში დი მარიამ შეხვედრის მე-11 წუთზე გახსნა. **ისკომ დანი ალვეშის** გადაცემა ჩაჭრა და საკუთარი გუნდის იერიში ბეილის მიმართულებით გაკეთებული შესანიშნავი პასით წამოიწყო. უელსელმა **ბენზემას** გადააწოდა, ვინც ერთი შეხებით დი მარია მოძებნა, რომელიც **პინტოსთან** პირისპირ დარჩა. მიუხედავად **ალბას** პრესინგისა, არგენტინელმა მაინც დაარტყა და შორეულ კუთხეში გაიტანა.

პირველ ტაიმში ხერარდო მარტინოს შეგირდებს შეტევაში ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. აქტიურობდა ალბა, მაგრამ მისი და დანი ალვეშის ჩაწოდებები მიზანს ვერ აღწევდა.

მეორე ნახევრიდან თამაშში **ადრიანო** ჩაერთო, მაგრამ „ბარსას" შეტევებს ამით სიმწვავე არ მომატებია. პირიქით, პირველი 15-20 წუთის განმავლობაში უპირატესობას „რეალი" ფლობდა, თუმცა პინტოს შეწუხებას ვერც მადრიდელები ახერხებდნენ. ანგარიში მოულოდნელად გათანაბრდა - „ბარსელონამ" კუთხურიდან გაიტანა, თანაც გოლის ავტორი **მარკ ბარტრა** გახდა. **იკერ კასილიასმა** 2013/14 წლების სეზონის თასის გათამაშებაში პირველი გოლი გაუშვა.

ამის მერე თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა - ბურთს „ბარსელონა" ფლობდა, „რეალი" კი კონტრშეტევებზე თამაშობდა, რომელთაგან ერთ-ერთი შედეგიანი გამოდგა. 85-ე წუთზე, **კოენტრაოს** პასის შემდეგ ბურთი ბეილმა საკუთარ ნახევარზე მიიღო, რის შემდეგაც უელსელმა ფლანგზე ბარტრას აჯობა და მეტოქის კარამდე ირბინა, პინტოსთან მიახლოებულმა კი ჭკუა იხმარა და „ბარსას" მეკარეს ბურთი ფეხებს შორის გაუძვრინა - 1:2.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი და ანჩელოტი ტემპის დაგდებას ბოლოსთვის შემონახული ცვლილებებით ცდილობდა, კატალონიელებმა ერთი რეალური მომენტი მაინც შექმნეს - კასილიასთან პირისპირ დარჩენილმა **ნეიმარმა** ბურთი მეკარეს კი ააცილა, მაგრამ ძელს გაარტყა.

**ტატო ბაციკაძე**



ამბები

## კრუიფი: დააბრუნეთ გვარდიოლა!

ლეგენდარულ **იოჰან კრუიფს** მიაჩნია, რომ „ბარსელონას" პრობლემების დასასრული მაშინ იქნება, თუ გუნდში **პეპ გვარდიოლა** დაბრუნდება. კატალონიელებს ბოლო დროს ბევრი აკრიტიკებს და ჰოლანდიელი გამოსავალს სწორედ გვარდიოლას დაბრუნებაში ხედავს.

*„ეს საუკეთესოა, რაც შეიძლება მოხდეს. თუ ჟოან ლაპორტა „ბარსაში" პრეზიდენტად დაბრუნდება, მაშინ იდეალური პეპის უკან მოყვანა იქნება. იგი ისეთი ჭკვიანი ადამიანია, რომ დარწმუნებული ვარ, იზამს კიდეც ამას. როდესაც გუნდს მართავენ და გადაწყვეტილების მიმღებები ისეთი ადამიანები არიან, რომლებმაც იციან თავისი საქმე, ეს სპორტული კუთხითაც უკეთესია და ბიზნესის მხრივაც. ლაპორტას დროს ასეთი ხალხი მუშაობდა - ჩიკი ბეგირისტაინი, ფრანკ რაიკარდი... შეიძლება იყო შეცდომები, უშეცდომო არავინაა, მაგრამ მათ თავისი საქმე ნამდვილად იცოდნენ,"* - განაცხადა კრუიფმა და ამ განცხადებით „ბარსელონას" ლაპორტასშემდგომ ხელმძღვანელობას გაჰკრა კბილი.

## დეშამმა თავი დაიზღვია?

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დიდიე დეშამი** მიიჩნევს, რომ „მამლები" მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტები არ არიან. ზოგის აზრით, ეს მისი მხრიდან თავის დაზღვევაა, მაგრამ „დიდი" შესაძლოა მართლაც ასე ფიქრობს, მაგრამ უცნაური ის არის, რომ მან ფრანგები არც 6-7 საუკეთესო ნაკრებში მოახვედრა. გარდა ამისა, იგი არ დაეთანხმა არც იმ მოსაზრებას, რომ ფრანგი **ჟოზე მოურინიოა**.

*„6-7 გუნდია, რომლებსაც შეუძლიათ ტურნირის მოგება და ფავორიტებად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მათ შორის საფრანგეთი არ არის. ჩვენი პირველი მიზანი 16 ივნისს ჰონდურასთან გახსნითი მატჩის მოგებაა. საფრანგეთს მუნდიალის პირველი მატჩი 2006 წლის მერე არ მოუგია, როდესაც ტოგოს ვძლიეთ. ასე რომ, ევროპისა და მსოფლიოს ელიტაში აღარ ვართ. მე უბრალოდ რეალისტი ვარ და მიყვარს, როდესაც მიწაზე მყარად ვდგავარ და სიტუაციას ობიექტურად ვაფასებ. როგორ სიტუაციაშია საფრანგეთი? უკრაინასთან პლეი ოფის პირველი მატჩის მსგავს ფორმაში თუ მეორე შეხვედრაში ნაჩვენები თამაში უფრო შეეფერება რეალობას? უნდა ვცადოთ, ყველა მატჩში ისეთი შემართებით და ხარისხით ვითამაშოთ, როგორც ეს უკრაინელებთან საპასუხო მატჩში გავაკეთეთ. ვარ თუ არა ფრანგი მოურინიო? არა, არა,"* - თქვა დეშამმა.

## ლევანდოვსკი ჯერ ბოლომდე დორტმუნდელია

**რობერტ ლევანდოვსკი** ამბობს, რომ „დორტმუნდიდან" წასვლამდე გუნდთან ერთად კიდევ ერთი ტიტულის მოგება უნდა და გერმანიის თასის ფინალში ცდას არ დააკლებს... მიუხედავად იმისა, რომ ფინალში პოლონელ ფორვარდს სწორედ იმ კლუბთან მოუწევს დაპირისპირება, სადაც გადადის კიდეც - მიუნხენის „ბაიერნთან". „დორტმუნდმა" „ვოლფსბურგს" 2:0 მოუგო ნახევარფინალში, ხოლო „ბაიერნმა" „კაიზერი" გაანადგურა - 5:1. „მგლებთან" ლევანდოვსკიმ ბორუსიელთა რიგებში მე-100 გოლი გაიტანა და მაისურა გადაიძრო, რომლის ქვეშაც მეორე მაისურა ჰქონდა მომზადებული, რომელზეც სიმბოლურად „100" ეწერა.

*„აქ კიდევ ერთი ტიტულს მოგება მინდა, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სანამ „დორტმუნდში" ვარ, ამ გუნდის სასიკეთოდ ბოლო წუთამდე ვიბრძოლებ და ვითამაშებ. სათადარიგო მაისურა ჩემი იდეა იყო, რაღაცნაირი შეგრძნება მქონდა რომ გატანას შევძლებდი და მიხარია, რომ ჩემთვის ძვირფასი გუნდის რიგებში 100 ბურთი მაქვს გატანილი, მაგრამ რამდენიმე კიდევ წინ არის. ბუნდესლიგაში 4 მატჩი დაგვრჩა და პლუს თასის ფინალი ბერლინში,"* - თქვა 25 წლის ფორვარდმა.



რობერტ ლევანდოვსკი

**გიორგი კაკაბაძე**



● მშვილდოსნობა



ხათუნა ნარიმანიძე და ციალა ფუტკარაძე

# ახალგაზრდული სამიზნეები

გუშინ თბილისში, ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე მშვილდოსანთა საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო სამივე ასაკობრივ ჯგუფში – უფროსებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში. ამასთან ორივე სქესის წარმომადგენელთა შორის ტარდება და სწორედ ამიტომ ბოლო წლებისთვის უჩვეულო რაოდენობამ – 52 მონაწილემ მოიყარა თავი.

ეს ტურნირი ერთ-ერთი შესარჩევი შეჯიბრებაა ეროვნული გუნდების დასაკომპლექტებლად და ამიტომ მასში ქვეყნის უკლებლივ ყველა უძლიერესი მშვილდოსანი გამოდის. სამწუხაროდ, გეოგრაფია არაა დიდი – ისევ თბილისი, აჭარა (რომელშიც ამჯერად ბათუმისა და ხელვაჩაურის გუნდები გაერთიანდნენ), ქუთაისი და ასპინძა მონაწილეობს. თუმცა მისასალმებელია, რომ ბევრი პრობლემის მიუხედავად, ქუთაისი და ასპინძა უკვე სტაბილურად გამოდიან უკლებლივ ყველა შეჯიბრებაში.

ასპარეზობა ახალი წესებით, ოლიმპიური კვალიფიკაციის შესაბამისად გაიმართა - უფროსებსა და ახალგაზრდებში 70-მეტრიან დისტანციაზე ორ ეტაპად ჩატარდა, ჭაბუკებში – 60-ზე ასევე ორ ეტაპად. გუშინ გაიმართა საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები და რამდენიმე საყურადღებო შედეგიც ვიხილეთ, თუმცა მთავარი ბრძოლები დღეს გაიმართება, რადგან პლეი ოფები ტარდება.

ქალთა ტურნირი აჭარელთა უპირატესობით წარიმართა – მოწინავე სამეულში მხოლოდ ისინი შევიდნენ, ლიდერობა კი არავის დაუთმო იქაურთა ლიდერმა **ხათუნა ნარიმანიძემ**, რომელმაც შესარჩევი 618 ქულით მოიგო. მეორეზე **ასმათ დიასამიძე** გავიდა 615-ით, მესამეზე – უკრაინიდან დაბრუნებული **იულია ლობჟანიძე** 613-ით, ვინც საბოლოოდ ბათუმში დასახლდა და იქაურთა სახელით ისვრის. საკუთარ შესაძლებლობებზე შედარებით სუსტად გამოვიდა ჩვენი ეროვნული ნაკრების ლიდერი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა** – 606 ქულით მეოთხეზე გავიდა.

ვაჟთა შორისაც აჭარლებმა იყოჩაღეს და პირველი ორი ადგილი არავის დაუთმეს – შესარჩევი **ტარიელ ქადიძემ** მოიგო 595 ქულით, მეორეზე კი **გიგა კაკაბაძე** გავიდა 546-ით. მესამე თბილისელი **გიორგი პოპიაშვილია** 540-ით.

მოლოდინისამებრ, 20-წლამდელ ბიჭებს შორის კვლავაც თბილისელმა **ლაშა ფხაკაძემ** გაიმარჯვა, თუმცა ის ამჯერადაც ქუთაისის სახელით გამოვიდა. მან შესარჩევის 72 გასროლაზე 632 ქულა მოინადავლა. ბათუმელ **მამუკა შუშაძეს** 615 აღმოაჩნდა, ნამდვილ ქუთაისელ **ჯაბა მოსეშვილს** – 610. თუ ამათ შედეგებს ვაჟებისას შევადარებთ, დავინახავთ, რომ ახალგაზრდებმა გვარიანად აჯობეს უფროსებს, მაგრამ ფედერაცია სავსებით სამართლიანად მათ კვლავაც თანატოლთა შეჯიბრებებში წვრთნის და არა უფროსებში.

ახალგაზრდა გოგოებში თბილისელმა **თეონა კუტალაძემ** იმარჯვა 559 ქულით. ბათუმელი **ციალა ფუტკარაძე** მეორეა 539-ით, კიდევ ერთი თბილისელი – **თეონა არჯევანიძე** კი მესამე 530-ით.

საინტერესოდ წარიმართა პაექრობები 17-წლამდელ გოგოებში, სადაც ლიდერის იმიჯი სრულად გაამართლა აჭარელმა **ანა დუმბაძემ** – 14 წლის გოგომ 588 ქულით მოიგო შესარჩევი და საგრძნობლად ჩამოიტოვა მდევრები – მისივე თანატოლი თბილისელი **ნინო ჯვარშეიშვილი** 477-ით გავიდა მეორეზე, კიდევ ერთი დედაქალაქელი და ამათზე ოდნავ უმცროსი **ვერიკო მაკიევი**, მწვრთნელ **გია მაკიევის** შვილი 456-ით – მესამეზე. დუმბაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიადის მონაწილედ მოიაზრება და მისი ასეთი გამოსვლა ამიტომაცაა საყურადღებო, თუმცა როგორც მწვრთნელები ამბობენ, ვარჯიშებზე ბევრად უკეთაც ისვრის.

ამავე ასაკის ბიჭებში თბილისელებმა იყოჩაღეს – **დავით მიხელიძე** პირველია 599 ქულით, **ვლადიმერ დოლიძე** – მეორე 593-ით, **ლაშა სალუქვაძე** კი - მესამე 513-ით.

ჩვენი ფედერაციისთვის ახლა სწორედ ჭაბუკთა და ახალგაზრდული გუნდებია უმნიშვნელოვანესი, ვინაიდან უახლოესი შეჯიბრება მათ ელოდებათ - 19-24 მაისს სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანაში ევროპის ჩემპიონატი ტარდება უმცროსთა ორივე ასაკში. თავისი სტატუსიდან გამომდინარე, ეს ხომ ისედაც მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, მაგრამ ამჯერად მის ფაქტორს ერთიორად ამაღლებს ის გარემოება, რომ ამ ტურნირზე ზაფხულში ჩინურ ნანჯინგში გასამართი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების საგზურებიც გაიცემა, რაც ზემოთ უკვე ვახსენეთ დუმბაძესთან მიმართებაში. ჩვენი გუნდის უმთავრესი მიზანიც ამ შეჯიბრებაში წარმატებით მონაწილეობაა.

რაც შეეხება ეროვნულ გუნდებს, ისინი ჯერჯერობით საშინაო შეჯიბრებებით შემოიფარგლებიან, უცხოეთში კი 10-15 ივნისს მოჭიმავენ მშვილდს - ანტალიაში, მსოფლიოს თასის რიგით მესამე ეტაპზე. მართალია, მანამ ამავე რანგის კიდევ ორი შეჯიბრებაა - სულ რამდენიმე დღეში, 22-27 აპრილს შანხაიში, 13-18 მაისს კი კოლუმბიურ მედელინში, მაგრამ უსახსრობის გამო ჩვენები იმ შეჯიბრებებში არ გამოდიან.

დასასრულს, ისევ შეგახსენებთ, რომ უცხოურ შეჯიბრებებში მონაწილეობა შეზღუდულია - ვინც ფედერაციის მიერ დაწესებულ კვოტას ვერ შეასრულებს, ვერც ტურნირზე წავა.

**ირაკლი თავაძე**

● საქართველოს ფალავნები

# შალვა რჩეულიშვილი პირველი იყო

ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ეპოქაში ბრწყინავდნენ გამოჩენილი ფალავნები: **დათა ხიზამბარელი, ნესტორ ესებუა, იაკობ ეგნატაშვილი, კულა გლდანელი, სანდრო კანდელაკი, თედო ლილოელი, კოლია ქვარიანი, კოსტა მაისურაძე, მიხა ქურხული...**

ფალავნის სახელის მოპოვება სახალხო გმირობის ტოლფასი იყო. ხალხი თავად აღიარებდა რჩეულ ფალავანს.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბოლოს კი შემოიღეს საფალავნო შეჯიბრება - აბსოლუტური გამარჯვებულის გამოსავლენად.

1928 წლის ივნისში, საქართველოს რიგით პირველ ფალავნობაზე ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა 20 წლის თბილისელი **შალვა რჩეულიშვილი.**

ამ შეჯიბრებას თბილისში „ელბაქიძის დაღმართზე“ მდებარე ესიკოვუსკის ცირკმა უმასპინძლა. ფალავნის გამოვლენამდე მაშინ 5 წონით კატეგორიაში გაიმართა პირველობა.

პირველი ფალავნობის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ცნობილი მოჭიდავე და საზოგადო მოღვაწე ვანო წამალაშვილი - პატარა გლდანელი (1900-1967), რომელიც იყო აგრეთვე პირველი ფალავნის მწვრთნელიც.

1928 წლიდან მიზნად დაისახეს საქართველოს ფალავნობა ყოველწლიური, ტრადიციული შეჯიბრება გამხდარიყო. შალვამ თავის პირად მწვრთნელთან ვანო წამალაშვილთან სავარჯიშოდ მიიყვანა თავისი მეგობარი ჩუმლაყელი მიხეილ შაოშვილი, რომელიც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საუკეთესო ქართულის მოჭიდავე გახდა. არჩილ დურგლიშვილმა და მიხეილ შაოშვილმა კი ერთობლივად დაწერეს და გამოსცეს წიგნი - „ქართული ჭიდაობის 100 ფანდი“.

სხვათა შორის, ქართულ ჭიდაობაში რჩეულიშვილების საგვარეულოს ისე, როგორც დავითაშვილებს და ბერუაშვილებს საქართველოს ორი ფალავანი ჰყავთ შალვა (კახეთის შტო სოფელი ვაზისუბანი) და გიორგი (ჟორა) (ქართლის შტო სოფელი დიცი). ჩვენი ეროვნული ჭიდაობაც ხომ ქართლ-კახურია.

1928 წლის აბსოლუტურ ფალავნობამდე ახალგაზრდა შალვა რჩეულიშვილმა ანუ შალიკომ იმით დაიგდო სახელი, რომ განთქმული მოჭიდავე „მოდიმნახეს“ ფსევდონიმით ცნობილი ნახალოვკელი ფალავანი მისავე უბანში - „ხუდადოვის საჭიდაოზე“ დაამარცხა.

მაინც ვინ იყო შალვა რჩეულიშვილი? ყოფილ აზნაურს ივანე რჩეულიშვილს და ეკატერინე ჯორჯაძეს 5 შვილი ჰყავდათ: ელენე, ნიკო, შალვა, ელიზბარი და ოთარი. შალვას გარდა ელიზბარიც მისდევდა ჭიდაობას.

შალვა ჭიდაობაშიც ისეთი იყო, როგორც ცხოვრებაში პირდაპირი და ალალი.

მან ძალიან ახალგაზრდამ მოიპოვა სახელი და პოპულარობა. შალვას დიდი გულშემატკივარი და მფარველი იყო შეძლებული იყალთოელი გაბრიელ მაყაშვილი.

ერთხელ შალვას და მის მეგობარს მსახიობ სპარტაკ ბაღაშვილს ერთმა ნაცნობმა ბიჭმა ზურგიდან მიპარვით წაქცევა მოუნდომა. შალვამ მყისიერად იგრძნო მოახლოებული საფრთხე, აბეზარი ყმაწვილი უმალ კისრულზე წამოიკიდა და ძირს გაშხლართა...

თბილისში ცირკის ახლოს ქართული კინოს მშვენებას, ულამაზეს ნატო ვაჩნაძეს შეჯგუფული ხალხი რომ დაუნახავს უკითხავს: აქ რა ხდებაო - ჭიდაობა იწყება, შალვა ჭიდაობს რჩეულიშვილიო - მაშ, უნდა შევიდეთ ცირკშიო, - უთქვამს სილამაზის დედოფალს - ნატო ვაჩნაძეს.

ერთი ხელოვანი სახელად „კაშევოი“ ხშირად დაიარებოდა რუსთაველის გამზირზე. მთავარ ქუჩაზე ბევრს არ მოსწონდა კაშევოის საქციელი. ერთ მშვენიერ დღეს შალვა რჩევლიშვილი სულ ახლოს მივიდა იმ კაშევოისთან და მხოლოდ თვალებში ჩახედა მკაცრად. ამის შემდეგ რჩეულიშვილის დანახვაზე კაშევოი რუსთაველიდან უბრალოდ იპარებოდა...



პირველი ფალავანი შალვა რჩეულიშვილი

შალვას და-ძმებიდან ყველაზე უმცროსს ინფექციურ დაავადებათა ცნობილ ექიმს ოთარ რჩეულიშვილს არაერთხელ უთქვამს - ბევრი ადამიანი მეუბნება შენ, შალვას ძმა ხომ არა ხარ რჩეულიშვილისო, არადა საქართველოს პირველმა ფალავანმა სულ რაღაც 21 წელიწადი იცოცხლა ამ ქვეყანაზე... სხვათა შორის, ოთარს ხელზე ქონდა ამოტვიფრული თავისი ძმის სახელი.

შალვას მამა ივანე მდიდარი კაცი იყო. ის კომუნისტებმა გააკულაკეს. ივანე და მისი ძმა დიმიტრი (ტიტო) კახეთში პირველი რკინიგზის გამყვანი ინჟინრები იყვნენ.

„მარად 26 წლის ჭაბუკის“ მწერალ გურამ რჩეულიშვილის პაპა იყო სწორედ შალვას ბიძა დიმიტრი (ტიტო) რჩეულიშვილი.

თანამოგვარეებსა და ნათესავებს შალვას და გურამს ერთმანეთის არასდროს უნახავთ (შალვა რომ მოკლეს, 5 წლის შემდეგ დაიბადა გურამი), მაგრამ ისინი ერთმანეთს გვანდნენ.

თავის თაობაში ორივე გამორჩეული ახალგაზრდები იყვნენ. ორივე მუდამ განსაცდელს ეჭიდებოდა, ყველაფერში ვაჟკაცური ინსტიქტებით ხელმძღვანელობდნენ. მათთვის გამოგონილს ფასი არ ქონდა. უფერულად ჩრდილში დგომა არცერთს არ შეეძლო.

შალვა დიდი ჭიდაობისთვის იყო დაბადებული, მოზღვავებული ენერგია გააჩნდა, საშუალო წონის ათლეტი ზოგჯერ მძიმე წონოსნებსაც ამარცხებდა.

შალვა რჩეულიშვილს განსაკუთრებით უყვარდა „ვეფხისტყაოსანი“. მას დარჩა ამ უნიკალური ნაწარმოების კონსპექტი. მის ხელნაწერს შემდეგ ბევრი მოსწავლე და სტუდენტი იყენებდა...

1929 წლის თებერვალში მტკვრის სანაპიროზე შალვას ვინმე „ბიწომ“ ზურგიდან მიპარვით ფინური დანა დაარტყა და გულამდე უწია. პლეხანოვზე პირველ საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვი) სამი დღე იცოცხლა კიდევ ფალავანმა. ექიმი გრიგოლ მუხაძე გაოცებული ყოფილა შალვას უნიკალური ფიზიკური სიძლიერით.

მთელი ტფილისი შეძრა ამ ტრაგიკულმა ხვედრმა. 13 თებერვალს შალვას დაკრძალვაზე დიდი ივანე ჯავახიშვილიც იმყოფებოდა (ივანეს და იყო შალვას ბიძის დიმიტრის (ტიტოს) მეუღლე ალექსანდრა (საშა) ჯავახიშვილი), რომელსაც უთქვამს: დაკრძალვაზე არასდროს ამოდენა ხალხი არ მინახავსო... მაინც რისთვის მოკლეს ფალავანი შალვა რჩეულიშვილი? შალვა ზედმიწევნით სამართლიანი ახალგაზრდა იყო. სავარაუდოდ მან იცოდა „ოსი ბიწოს“ და მისი დამქაშების მიერ ჩადენილი რაღაც შავბნელი საქმეები და ამიტომ მოიცილეს ის. თანაც სამმა კაცმა დაჭრილს მტკვარში გადაგდება მოუნდომა კვალის წაშლის მიზნით, მაგრამ ვერ მოერივნენ.

„ბიწოს,“ რა თქმა უნდა, საკადრისი მიეზღო. შალვა კი ჯერ ვერის ახალ სასაფლაოზე დაკრძალეს, შემდეგ კი მისმა ძმამ, ოთარმა ვაკის სასაფლაოზე მშობლების გვერდით გადაასვენა. იქვე განისვენებს ოთარიც მეუღლესთან ერთად. შალვას საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა: „ვერაგულად მოკლული შალიკო რჩეულიშვილი 1908-1929“.

ასეთია ადრე წასული პირველი ფალავნის ტრაგიკული, მაგრამ ვფიქრობთ საინტერესო ისტორია.

**გაბრიელ ბარჯაძე**

● ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# ფინალი ახმეტაში

რეგიონულ შეჯიბრებებში გამორჩეული 170- მდე ჭაბუკი მონაწილეობდა ქ. ახმეტაში გამართულ საქართველოს პირადი პირველობის ფინალური ეტაპზე ქართულ ჭიდაობაში 1998-1999 წლებში დაბადებულთა შორის (მთავარი მსაჯი - ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, გენერალი - **თამაზ თამაზაშვილი**).

ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა ადგილობრივმა გამგეობამ და სასპორტო დაწესებულებების ხელმძღვანელობამ.

**ვარცხლბეკი**

**46კგ**

1. გიორგი თუთარაშვილი (იმერეთი)
2. ვაჟა ბუბუნაური (კახეთი)
3. დავით ფილფანი (ქვემო ქართლი)

**50კგ**

1. ნიკა კობაიძე (კახეთი)
2. ვახო ვიბლიანი (ქვემო ქართლი)
3. პაატა მალაციძე (ქვემო ქართლი)

**55კგ**

1. უშანგი ქიტესაშვილი (კახეთი),
2. გიორგი გაბინაშვილი (შიდა ქართლი),
3. ირაკლი კუხალაშვილი (იმერეთი)

**60კგ**

1. ზვიად ბერუაშვილი (თბილისი)
2. გიგა მუმლაძე (კახეთი)
3. თორნიკე გრიგალაშვილი (ქვემო ქართლი)

**66კგ.**

1. შათირ შერაზადიშვილი (შიდა ქართლი)
2. გაგი ლიჩელი (ქვემო ქართლი)
3. გიორგი ბრეგვაძე (იმერეთი)

**73კგ**

1. ნიკა ლაბაძე (თბილისი)
2. ნოდარ წამალაიძე (თბილისი)
3. იმედა გოგალაძე (კახეთი)

**81კგ**

1. ზაურ კენჭაძე (თბილისი)
2. ოთარ გოგიძე (შიდა ქართლი)
3. გიორგი გუგენიშვილი (კახეთი)

**+81კგ**

1. ნიკა სიდამონიძე (ქარელი)
2. გაგა წიქორიძე (იმერეთი)
3. საბა გაბრიჭიძე (ახმეტა)

**ლელა ხეჩოშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ეგვიპტეს მშრალად მოუგეს


სოფიო შაფათავა

ლიტვურ შიაულიაიში გუშინ დაიწყო ფედერაციის თასის გათამაშება ევროაფრიკული მეორე ზონის გუნდებს შორის. წარმატებით აილეს სტარტი ქართველმა გოგონებმა. პირველ ტურში მათ მშრალი ანგარიშით სძლიეს ეგვიპტის ნაკრებს. კორტზე ჯერ **ეკატერინე გორგოძე** გავიდა, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში სანდრა სამირსს მოუგო 7:5, 6:3, **სოფიო შაფათავამ** კი იოლად აჯობა მეიერ შერიფს - 6:1, 6:1. ასეც უნდა ყოფილიყო. რადგან აზიელები მსოფლიოს ქალთა კლასიფიკაციაში საგრძნობლად ჩამორჩებიან ჩვენებს, თუმცა, არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ ზოგჯერ წარმატების მისაღწევად რეიტინგს დიდი როლი არც უთამაშია. რაც მთავარია, საქართველოს ქალთა ნაკრების წევრებმა შემართებით ითამაშეს და გაიმარჯვეს, მათ შორის წყვილებშიც - შაფათავამ და **ოქსანა კალაშნიკოვამ** ოლა ებოუ ზეკრისა და მეიერ შერიფის დუეტს დააყრევინეს ფარ-ხმალი - 6:2, 6:4. გუშინვე სამხრეთ აფრიკა ბოსნია-ჰერცეგოვინასთან დამარცხდა 1:2 (მედრი ლე როუქსი-ანიტა ჰუსარიჩი 6:2, 6:4, ჩანელ საიმონდსი-ჟასმინა ტინჯიჩი 4:6, 4:6, ნატალი გრანდინი, ჩანელ საიმონდსი - დეა ჰერდზელასი, ჟასმინა ტინჯიჩი 6:3, 6:7, 4:6).

**A ჯგუფში:** ფინეთი-ლიტვა 2:1, ლიხტენშტეინი-ჩერნოგორია 3:0.

**ვაჟა დანელია**

# მეტრეველი მეოთხედფინალში

წინა კვირას ჩიმკენტის ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იან ტურნირში გამარჯვების შემდეგ **ალექსანდრე მეტრეველი** იქვე დარჩა და ახალ შეჯიბრებაში ჩაება. პირველ წრეში, როგორც გაუწყეთ, ჩვენებურმა მასპინძელი კუატბეკ აბიევი დაამარცხა (6:1, 6:2), გუშინ კი მის თანამემამულე რომან ხასანოვს აჯობა სამ სეტში - 4:6, 6:1, 6:4. ქართველი ჩოგბურთელი მეოთხედფინალში სლოვაკ ფილიპ ჰორანსკის დაუპირისპირდება. წინა ტურნირზე მეტრეველმა სლოვაკს 6:4, 6:3 აჯობა. მე-5 ნომრად განთესილმა ჰორანსკიმ გუშინ რუსი რონალდ სლობოდჩიკოვი ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:4.

დანარჩენ მეოთხედფინალურ წყვილებში ერთმანეთს შეხვდებიან: ალექსანდრ ლობკოვი (რუსეთი)-ანდრეი პლოტნი (რუსეთი), ანდრეი ვასილევსკი (ბელარუსი)-ვლადიმირ ივანოვი (ესტონეთი), კირილ დმიტრიევი (რუსეთი)-ივან ნედელკო (რუსეთი). წყვილებში მეტრეველი და ყაზახი დენის ევსეევი მესამე ნომრად განთესილ ივანოვ-ნედელკოს ტანდემთან სტარტზევე დამარცხდნენ.

**ვაჟა დანელია**

წიგნის თარო




## სახელმძღვანელო „ლელოს“ შენიშვნების შემდეგ ხელახლა გამოიცა

ამ წიგნის გარეკანს მკითხველი მეორედ ხედავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. მეორედ იმიტომ, რომ ხელახლა დაისტამბა პირველ გამოცემაზე „ლელოს“ ობიექტური შენიშვნების შემდეგ. არა, ავტორებთან სადავო არაფერი გვქონდა და არც ახლა გვაქვს. იყო პოლიგრაფიული, საგამომცემლო-ტექნიკური ხარვეზები, სარედაქციო ლაფსუსები, რაც მეორე გამოცემაში გამოსწორდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ეს წიგნი სახელმძღვანელოა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მომავალი სპეციალისტებისთვის.

წიგნის ერთ-ერთმა ავტორმა, პროფესორმა **ალექსანდრე იაშვილმა** ახალი გამოცემით რედაქციაში სტუმრობისას გვითხრა, რომ პირველი გამოცემის ყველა ეგზემპლარი განადგურებას ექვემდებარება.

**თენგიზ თომაშვილი**

ნიჩბოსნობა

# მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა

იტალიაში დამთავრდა ნიჩბოსანთა საერთაშორისო რეგატა, რომელშიც 15 ქვეყნის წარმომადგენლები ცდიდნენ ძალებს. 18-წლამდელებში სამი ქართველი სპორტსმენი გამოდიოდა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მცხეთელმა **არჩილ ბაიაშვილმა** ერთადგილიანი ნავით 2000 მეტრზე ფინალში მე-5 ადგილი დაიკავა.

ორადგილიანი ნყვილმოსასმელიანი ნავით ასპარეზობდნენ 16 წლის **ნოდარ მარტილეკი** და **ფარნაოზ კაპანაძე** (ორივე-მცხეთა). ორი წლით უფროსებთან პაექრობაში მათ ფინალში მოსახვედრად მცირედი დააკლდათ. ამის მიუხედავად, სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს. სამივე სპორტსმენი 18-წლამდელ ნიჩბოსანთა მსოფლიოს პირველობისთვის ემზადება. ამ შეჯიბრებას 2-6 აგვისტოს გერმანული ჰამბურგი უმასპინძლებს. მანამდე ბაიაშვილი, მარტილეკი და კაპანაძე 17-20 აპრილს აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელობის მინგეჩაურის საერთაშორისო რეგატაში მოსინჯავენ ძალებს, 2-5 ივნისს კი მოსკოვის დიდ რეგატაში ჩაებმებიან.

**ვაჟა დანელია**


არჩილ ბაიაშვილი

ფარიკაობა

# მატება არბიტრთა ამქარში

ახალი არა არის, რომ ფედერაციები სპორტსმენებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საერთაშორისო არბიტრების მომზადებას. ამ მხრივ ბოლო დროს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია აქტიურობს, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჰყავდა - ფედერაციის გენერალური მდივანი **დავით სახვაძე**, რომელიც შარშან ფარიკაობის ევროპის კონფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრად აირჩიეს. მას სამივე სახეობაში შეუძლია მნიშვნელოვან შეჯიბრებებში მიიღოს მონაწილეობა.

შარშან ბრატისლავასა და წლეულს იერუსალიმში ახალგაზრდა მსაჯების მოსამზადებლად მოფარიკავეთა საერთაშორისო სემინარები ჩატარდა, რომლებიც წარმატებით გაიარეს და გამოცდებიც მაღალ დონეზე ჩააბარეს სახელოვანი ქართველი მოფარიკავის, ოლიმპიური ჩემპიონის - **ვლადიმერ აფციაურის** ქალიშვილმა **თათია აფციაურმა** (ხმალი და დაშნა), **კახა მახარაძემ** (ხმალი), **ხათუნა ჭუმბურიძემ** (რაპირა) და **ირინე ფეიქრიშვილმა** (რაპირა), რომლებსაც საერთაშორისო B კატეგორიის არბიტრის წოდება მიენიჭათ. პირველ დიდ პრაქტიკულ გამოცდას ისინი 24-28 ივნისს თბილისში - 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჩააბარებენ. იმედია, აქაც ისახელებენ თავს.

■ ■ ■

24-28 აპრილს ათენი მოხმალავეთა მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპს („აკროპოლისის თასი“) უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების ღირსებას იმ შეჯიბრებაში ძმები - **სანდრო** და **ბექა ბაზაძეები** და **ლუკა ობოლაძე** დაიცავენ. **მიხეილ მარდალეიშვილმა** და **საბა სულამანიძემ** ამას წინათ ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე ტრავმა მიიღეს, ამიტომ ელადურ ბატალიებს გამოტოვებენ.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ზავი უბრძოლველად

ხანტ-მანსიისკში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრიზე გუშინ მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. **ნანა ძაგნიძე** თეთრი ფიგურებით ფაქტობრივად, უბრძოლველად - მე-16 სვლაზე უკრაინელ ეკატერინა ლაგნოს დაუზავდა (სამჯერ პოზიციის გამეორებით). ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი). დანარჩენი პარტიები შედეგიანი გამოდგა: ოლგა გირია (რუსეთი)-ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 1:0, ანა მუზიჩუკი (სლოვენია)-ჟაო სიუე (ჩინეთი) 1:0, ჰოუ იფანი (ჩინეთი)-ანა უშენინა (უკრაინა) 1:0, ტუვშინთუგს ბატჩიმეგი (მონგოლეთი)-ნაფისა მუმინოვა (უზბკეთი) 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ: ჰოუ იფანი-6, მუზიჩუკი-5, გირია- 4,5, კოსტენიუკი, ლაგნო, მუმინოვა, სტეფანოვა - 3,5-3,5, ძაგნიძე, უშენინა, ჟაო სიუე- 3, კოსინცევა - 2,5, ბატჩიმეგი - 1 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: კოსტენიუკი-ლაგნო, მუმინოვა-ძაგნიძე, სტეფანოვა-ბატჩიმეგი, უშენინა-კოსინცევა, ჟაო სიუე-ჰოუ იფანი, გირია-მუზიჩუკი.

**ვაჟა დანელია**

მკლავჭიდი

# ჯანსაღი კონკურენცია იმედიანი განწყობის საბაბს იძლევა

ქართველმა მკლავჭიდელებმა შარშან ევროპის ჩემპიონატიდან სამ ასაკში (19-, 21-წლამდელ და უფროსებში) 22 სხვადასხვა სინჯის მედალი ჩამოიტანეს. წლეულს მსგავს შეჯიბრებას 18-24 მაისს აზერბაიჯანის დედაქალაქი უმასპინძლებს.



- ბაქოში 35-კაციანი დელეგაციით გავემგზავრებით და ვეცდებით, შარშანდელი მაჩვენებლები რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც გავაუმჯობესოთ, - გვითხრა საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტმა **ერეკლე გურჩიანმა**. - იმედიანი განწყობის საბაბს ეროვნული ჩემპიონატის შედეგები გვაძლევს. უპირველესად ჯანგულ ვიბლიანი მინდა გამოვყო. იგი უწინ რუსეთში ცხოვრობდა და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების სახელით არაერთხელ მოუპოვებია მსოფლიოს ჩემპიონობა. შარშან გადმოვიდა სამშობლოში საცხოვრებლად და საქართველოს ჩემპიონატშიც პირველად იასპარეზა, ორივე მკლავით ოქროს მედლები მოიპოვა. კარგ ფორმაშია და, ვიმედოვნებ, ბაქოშიც გვასახელებს. ახალგაზრდებიდან უფროსებში გადმოინაცვლეს ნიკოლოზ წერეთელმა და ვახტანგ ბერიძემ და ადაპტაცია არ გასჭირვებიათ. მძიმე წონაში ლიდერად მოგვევლინა ლევან საგინაშვილი. შარშან იგი მხედრულ ვალს იხდიდა, ამიტომ ევროპაზე ვერ წამოვიდა, სამაგიეროდ, მსოფლიოზე იყოჩაღა - მარცხენა მკლავით ბრინჯაო დაიმსახურა. ამჯერად ეროვნულ ჩემპიონატში კი ორი ოქრო ერგო. 100 კილოსა და აბსოლუტურში რაჩო გახარიამ გამოიჩინა თავი. ცხადია, ყველა სპორტსმენის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს - უბრალოდ ვიტყვი, რომ ყველა წონაში გვყავს ორი-სამი კარგი მკლავჭიდელი, რომლებიც ჯანსაღ კონკურენციას ქმნიან, ჩვენ კი წარმატებების მისაღწევად მეტი შანსი გვეძლევა.

**მარჯვენა ხელით**

**60 კგ**

1. გელა არაბული (ახმეტა)
2. გიორგი ფურცელაძე (თბილისი)
3. ზაურ ხუბაშვილი (მცხეთა).

**65 კგ**

1. ჯანგულ ვიბლიანი (თბილისი)
2. რეზო გოგიაშვილი (ყვარელი)
3. ვილენ გაბრავა (ხობი).

**70 კგ**

1. ალეკო აბუთიძე (ქუთაისი)
2. ნიკოლოზ წერეთელი (თბილისი)
3. გოგიტა ხიმშიაშვილი (აჭარა).

**75 კგ**

1. ოთარ თავართქილაძე (აჭარა)
2. ომარ კვარაცხელია
3. კობა მამამთავრიშვილი (ორივე-თბილისი).

**80 კგ**

1. ალექსი ხოდელი (თბილისი)
2. დავით სამუშია (ზუგდიდი)
3. მალხაზ ხვედელიძე (საჩხერე)

**90 კგ**

1. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისი)
2. გიორგი თვალიაშვილი
3. ვანო კბილაშვილი (ორივე-თბილისი)

**100 კგ**

1. რაჩო გახარია (თბილისი)
2. ვასო დაუთაშვილი (თიანეთი)
3. თენგიზ ედელაშვილი (გორი)

**+100 კგ**

1. ლევან საგინაშვილი (თბილისი)
2. რატი ლალეთაიშვილი (თეთრი წყარო)
3. ლევან მოწონელიძე (ქუთაისი).

**მარცხენა მკლავით**

**60 კგ**

1. გელა არაბული (ახმეტა)
2. ლევან პოლოსიანი (აჭარა)
3. კობა მიშელაძე (თბილისი)

**65 კგ**

1. ჯანგულ ვიბლიანი
2. ლაშა კახელაშვილი
3. შალვა გაბესიანი (სამივე-თბილისი).

**70 კგ**

1. ნიკოლოზ წერეთელი (თბილისი)
2. გოგიტა ხიმშიაშვილი
3. ბაჩუკი შარაშიძე (ორივე-აჭარა).

**75 კგ**

1. კობა მამამთავრიშვილი (თბილისი)
2. ოთარ თავართქილაძე (აჭარა)
3. ვეფხვია სამხარაძე (საჩხერე).

**80 კგ**

1. გიორგი ალბუთაშვილი
2. გიორგი უბილავა
3. ალექსი ხოდელი (სამივე-თბილისი).

**90 კგ**

1. ვახტანგ ბერიძე (თბილისი)
2. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისი)
3. ზაზა კობაიძე (დედოფლის წყარო).

**100 კგ**

1. გურამ ფაშურიშვილი (თიანეთი)
2. რაჩო გახარია
3. ვასო დაუთაშვილი (ორივე-თბილისი).

**+100 კგ**

1. ლევან საგინაშვილი
2. ლაშა ჩანადირი (ორივე-თბილისი)
3. ადამურ არქანია (ზუგდიდი).

**აბსოლუტური**

1. რაჩო გახარია
2. ლევან საგინაშვილი (ორივე-თბილისი)
3. არსენ შოშიაშვილი (მარტყოფი)

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# კოკოშკოვის დარჩენა გუნდისთვის სასარგებლოა

**ბოლო წლებში დავით უსტიაშვილს საქმე არ მოჰკლებია, „ქუთაისთან“ ერთად სუპერლიგას რომ დაამთავრებდა ახალგაზრდულ ნაკრებს შეკრებაზე უძახდა, 20-წლამდელების ოფიციალური მატჩების დასრულებისთანავე საქართველოს ეროვნული ნაკრების საწვრთნელ პროცესს უერთდებოდა. იგი 2008 წლიდან იგორ კოკოშკოვის ასისტენტია. 2013 წელი დავით უსტიაშვილისთვის ჩვეულებრივად დაიწყო, მაგრამ ასევე არ გაგრძელდა - „ქუთაისის“ ხელმძღვანელობამ კონტრაქტი არ გაუგრძელა და სანაკრებო ბატალიების შემდეგ იგი საკლუბო საქმიანობისგან თავისუფალი დარჩა.**

- ამჟამადაც უკლუბოდ ვარ. შარშან ზაფხულში „ქუთაისში“ შემადგენლობა შევკრიბეთ, ვიცოდი, რომ გუნდს 2013-14 წლების სეზონშიც უნდა გავძღოლოდი, მაგრამ საქართველოს ნაკრებთან ერთად უცხოეთში რომ ვიყავი, დამირეკეს და მითხრეს, „ქუთაისში“ კონტრაქტს აღარ გაგიგრძელებთო. ჩემ გარდა კლუში დასაქმებული ნაკრების ყველა მწვრთნელის გათავისუფლება სცადეს: გია კაზანჯიანი „ოლიმპიდან“ გაუშვეს, მიხეილ ბერუაშვილი - „რუსთავიდან“, ხოლო კოტე ტულუში „არმიადან“ ფაქტობრივად დათხოვნილი იყო, თუმცა ბოლო მომენტში კლუბის ხელმძღვანელობამ თანამდებობაზე დატოვა. კონკრეტულად რა და როგორ მოხდა, ძნელი სათქმელია, თუმცა ერთი რამ ცხადია, ამ საქმეში „კალათბურთელთა კავშირი“ იყო გარეული.

**- მას მერე შემოთავაზება არ გქონიათ?**

- არა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვარ და გუნდთან ერთად ივლისში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე (B დივიზიონი) სათამაშოდ ვემზადები.

**- გუნდის გაფართოებული შემადგენლობა მოხაზული გაქვთ?**

- კვირაში ერთხელ ვიკრიბებით და ვვარჯიშობთ. ვცდილობთ, ყველა ის კალათბურთელი გავსინჯოთ, ვისაც 20-წლამდელთა ნაკრებისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია. ჯერჯერობით 22 კანდიდატი შევარჩიეთ, შეკრების დრო რომ მოახლოვდება მოთამაშეთა რაოდენობა 15-16 კალათბურთელამდე შემცირდება.

**- B დივიზიონის მატჩები 10 ივლისს დაიწყება. გუნდს როდის შეკრებთ?**

- დაახლოებით 40 დღით ადრე, ივნისის დასაწისში. თავიდან სპორტის სამინისტროს დარბაზში მოვემზადებით, შეკრებისთვის სავარუდოდ „დინამოს“ ბაზაზე გადავალთ. 23 ივნისისთვის კი რუმინეთში გავემგზარებით, სადაც ადგილობრივ ნაკრებთან 2 საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ. რუმინეთიდან ლუქსემბურგში გავემურებით და იქაურ თანატოლებთან 3-ჯერ ამხანაგურად ვითამაშებთ. თბილისში 3 ივლისს დავბრუნდებით და შესარჩევ მატჩებამდე გვექნება საკმარისი დრო ამხანაგურებში დანახული შეცდომების გამოსასწორებლად.



დავით უსტიაშვილი

**-ესპანურ „კახასოლში“ მოასპარეზე ბექა ბურჯანაძე ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშსაც ასწრებს და ეროვნულშიც?**

- 20-წლამდელთა ოფიციალური მატჩები ეროვნულის შეკრებას ემთხვევა და, ორივეგან ვერ მოესწრება... თუ იგორ კოკოშკოვი გადაწყვეტს, რომ ბექა ბურჯანაძე ეროვნული ნაკრებს სჭირდება, ახალგაზრდულს ველარ დაეხმარება. ჩვენი ამოცანა ხომ სწორედ პირველი გუნდისთის კანდიდატების მომზადებაა.

**- საქართველო, ბელარუსი, უკრაინა, შვეიცარია, ავსტრია, ჰოლანდია, ფინეთი. რთული ჯგუფია, მით უმეტეს, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ბრძოლას მხოლოდ ორი განაგრძობს.**

- ახალგაზრდულ ნაკრებებში შემადგენლობები ყოველწლიურად იცვლება. ამიტომ, ვიდრე თამაშებს არ ვნახავთ, ძნელი სათქმელია, რომელი ნაკრები რა ძალისაა. წინასწარ ის ვიცი, რომ ჰოლანდიელებსა და უკრაინელებს კარგი ტანმაღალი კალათბურთელები ჰყავთ, ფინელები კი ყოველ წელს B დივიზიონის ფავორიტთა შორის არიან.

**- ეროვნულ ნაკრებში მთავარ მწვრთნელად იგორ კოკოშკოვი დარჩა. როგორ შეხვდით ამ ამბავს?**

- მან საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი შეხვედრა ლუქსემბურგის წინააღმდეგ ჩაატარა, ბოლო მატჩი - ევროპის ჩემპიონატზე, ესპანეთთან. 2008 წლიდან დღემდე გუნდმა დიდი პროგრესი განიცადა, რაშიც დიდი წვლილი სწორედ იგორ კოკოშკოვს მიუძღვის. ამ სპეციალისტს არ უჭირს კალათბურთელებთან საერთო ენის მონახვა, დისციპლინის მხრივაც არ აქვს პრობლემები და სწორედ ამიტომ იყო, ტრავმების მიუხედავად, საქართველოს ნაკრები ევრობასკეტებზე საინტერესო თამაშს რომ უჩვენებდა. 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ზაზა ფაჩულია და გიორგი ცინცაძე გამოგვაკლდნენ (ტრავმების გამო), ხოლო 2013 წელს სლოვენიაში გუნდს ვერ ჩაჰყვნენ ფაჩულია და შენგელია... არ უნდა დავივიწყოთ მოსამზადებელ ეტაპზე სერბეთის ძლევა. ეს ქართული კალათბურთისთის ისტორიული შედეგი იყო, ხოლო ლიტვაში, 15 ათასი ქომაგის წინაშე ოვერტაიმი ვითამაშეთ. ასე რომ, მიმაჩნია, იგორ კოკოშკოვის საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დარჩენა ჩვენი გუნდისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებაა. იგი ევროპულ კალათბურთს კარგად უხამებს ამერიკულ გამოცდილებას.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი. აქცია



# სოხუმი და სუპერლიგა ბავშვებთან

სუპერლიგის ხელმძღვანელობა და „სოხუმის“ მოთამაშეები ბავშვთა სახლ „მომავლის გზას“ ესტუმრნენ და სახლის 25 აღსაზრდელს წინასააღდგომოდ ტკბილეული, კვერცხი, საკალათბურთო ბურთები და სხვა საჩუქრები გადასცეს. აღსაზრდელებმა „სოხუმის“ ბიჭებთან ერთად კალათბურთიც ითამაშეს და სამახსოვროდ მოთამაშეებისგან გუნდის მაისურები და ხელმოწერებიც მიიღეს.

„მომავლის გზის“ ბავშვთა სახლისთვის სააღდგომო საჩუქრები კომპანია „ბორჯომმა“, კვერცხის კომპანია „თბილისი31-მა“, საკონდიტრო კომპანია „ბელამ“ დააწესეს.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია და სუპერლიგა მსგავს საქველმოქმედო აქციებს მომავალშიც განახორციელებს.

**გიორგი ზაბახიძე** (სუპერლიგის და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი):

- დიდი მადლობა საკალათბურთო კლუბ „სოხუმს“, რომელმაც გამონახა დრო და ფედერაციასთან ერთად სააღდგომოდ ბავშვებს საჩუქრები გადასცა. სასიამოვნოა, რომ „სოხუმის“ ბიჭებმა დიდი ყურადღება და სითბო გამოიჩინეს და საკუთარი მაისურები უსახსოვრეს პატარებს. „სოხუმმა“ დღეს კიდევე ერთხელ დაამტკიცა რომ ეს კლუბი კალათბურთის განვითარებაზე ფიქრობს.

**დავით კინწურაშვილი** („მომავლის გზა“, დირექტორი):

- კალათბურთის ფედერაცია რამდენიმე წელია ჩვენთან თანამშრომლობს, გვაქვს ძალიან მეგობრული ურთიერთობა. ის ეხმარება „მომავლის გზას“ და ჩვენს ფონდს. დღევანდელი ღონიძიება მისასალმებელია, რადგან ეს ბავშვები არიან უზომოდ გახარებულნი და ბედნიერები. დღეს მათ თვალები უბრწყინავთ. მათ უყვართ სპორტი და სპორტსმენებთან ურთიერთობა, თუმცა ამით ხშირად არ არიან განებივრებულნი და ვისურვებდი, რომ მსგავსი აქციები და ღონისძიებები კიდევ უფრო ხშირად იმართებოდეს. იმედია, სხვა სპორტსმენებიც მიბაძავენ კალათბურთელებს, რადგან ამ ბავშვებისთვის ეს არის სულიერი საზრდო , რომელიც უმნიშვნელოვანესია. დღეს ეს გააკეთა კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ და წინასააღდგომოდ უდიდესი სიხარული აჩუქა პატარებს, შედგა ნამდვილი დღესასწაული, რისთვისაც დიდი მადლობა ყველას.

**ირაკლი ჩლაიძე:**

- ძალიან კარგი დღე იყო, დიდი მადლობა ფედერაციას, იმისთვის რომ მოგვიწყო ეს დღე და შეგვახვედრა ბავშვებს, რომლებსაც საჩუქრები გადავეცით. პატარებთან ერთად ჩვენც საკმაოდ ვიხალისეთ. ვპასუხობდით მათ შეკითხვებს და ჩვენც ვერთობოდით. მათგან ჩვენც ბევრი რამე ვისწავლეთ. მადლობა ასეთი სასიხარულო დღისთვის და და იმედია კიდევ არაერთ დღეს გავულამაზებთ ბავშვებს.

www.gbf.ge

ჰოკეი

# ჰოკეი ქუთაისელთა დომინირებით

**ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოში ბალახის ჰოკეის ფუძემდებლის თეიმურაზ არჩაიას სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ინდორ ჰოკეიში მამაკაცთა და ქალთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში 44 გუნდი მონაწილეობდა.**

კაცებში პირველობისთვის „ქუთაისი“, „თბილისი“, „აჭარა“ და „აბაშა“ იბრძოდნენ, ქალთა შორის კი ტურნირში „ქუთაისი“, „აჭარა“ „აბაშა“ და გიუმრის გუნდი (სომხეთი) მონაწილეობდნენ. მამაკაცებშიც და ქალებშიც გამარჯვება ქუთაისელმა ჰოკეისტებმა მოიპოვეს. კაცთა შორის გადამწყვეტ შეხვედრაში „ქუთაისმა“ 6:2 დაამარცხა „თბილისი“. წინა მატჩებში კი რიონისპირელებმა 5:4 მოუგეს „აბაშას“ და ფრე 5:5 ითამაშეს „ბათუმთან“, რომელიც მეორე ადგილის მფლობელი გახდა. მესამე ადგილზე „თბილისი“ გავიდა.

ქალთა შორის საჩემპიონო შეხვედრა „ქუთაისსა“ და „აბაშას“ შორის გაიმართა და ტურნირის მასპინძელთა გამარჯვებით 6:3 დასრულდა. ქუთაისელებმა წინა დღეებში გამართული შეხვედრებიც მოიგეს „გიუმრისთან“ - 12:0, „ბათუმთან“ - 5:0 და ჩემპიონობა უდანაკარგოდ მოიპოვეს. მეორე ადგილზე „აბაშა“ გავიდა, ბრინჯაოს მედლებს კი ბათუმელი ჰოკეისტები დაეუფლნენ.

ტურნირის ბოლოს გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული სპორტსმენები. საუკეთესო მეკარის პრიზი ქუთაისელ **თორნიკე შალიკიანს** გადაეცა. საუკეთესო მცველად ბათუმელი **დავით დავითაძე** აღიარეს, საუკეთესო თავდამსხმელად „თბილისის“ ფორვარდი **გურამ ხონელიძე** დასახელდა. საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი ქუთაისელ **დავით გულუას** გადაეცა.

ქალთა შორის პრიზების მფლობელები გახდნენ: **თეონა ჩიხელიძე** (საუკეთესო მეკარე, ქუთაისი), **სალომე ჩაგანავა** (საუკეთესო მცველი, აბაშა), **მარინა კახაძე** (საუკეთესო თავდამსხმელი, აჭარა), **თამარ სუპატაშვილი** (საუკეთესო მოთამაშე, ქუთაისი).

*„შეჯიბრება ქუთაისის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა დააფინანსა. თამაშები საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა, განსაკუთრებით დაძაბული მატჩები მამაკაცთა გუნდებს შორის იყო. რა პერსპექტივა აქვს ჰოკეის საქართველოში? ნელ-ნელა წინ მივიწევთ, გუნდების დონეც გაიზარდა, გვყავს რამდენიმე მაღალი კლასის მოთამაშე, რომლებსაც ევროპის გუნდებშიც თავისუფლად შეუძლიათ ითამაშონ. დიდი სურვილი გვაქვს, რომ მომავალ წელიწადს ინდორ ჰოკეიში ევროპის „ჩელენჯ კაპის“ გათამაშებას ქუთაისმა უმასპინძლოს. ევროპის ჰოკეის ფედერაციაში გადაგზავნილი გვაქვს ყველა მონაცემი და დადებითი პასუხის იმედი გვაქვს. ქალთა შორის უკრაინის საუკეთესო გუნდ „სუმთან“ გვაქვს მჭიდრო კავშირები, მათ გამოთქვეს ინიციატივა, რომ თუ ევროპაზე ვიასპარეზებთ ოთხ გამოცდილ მოთამაშეს დაგვახმარენ, რაც ძალიან გააძლიერებს ჩვენს გუნდს,“* - ღნიშნა საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ხელმძღვანელმა **ავთანდილ თევდორაძემ.**

დავით კორხეიძე
ქუთაისიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი



ყაზბეგის ზვავი-თბილისის აკადემია

# თიბისი თსუ უმაღლესლიგელია

**საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში დასკვნითი ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურილა დარჩა. თუმცა, უკვე გაირკვა უმაღლესი ლიგის მომავალი ბინადარის ვინაობა. ეს თბილსის „თიბისი თსუა“, რომელმაც მთელი სეზონი დაუმარცხებლად განვლო და მისი ფავორიტობა წამითაც არ დამდგარა ეჭვის ქვეშ.**

ჯერ კიდევ მიმდინარეობს ბრძოლა მეორე ადგილისთვის. აქ ბოლო ტურის წინ უკეთეს პოზიციაში ქუთაისის „ბაგრატი“ იმყოფება. ის 12 ქულით სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზეა. თუმცა, გასვლითი მატჩი აქვს „თიბისი თსუსთან“. ქუთათურებს ოთხი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზე გასვლის შანსს ინარჩუნებს თბილისის „დინამო“.

შეგახსენებთ, რომ მეორეადგილოსანი გადათამაშებაში დაუპირისპირდება უმაღლეს ლიგაში ბოლოსწინა ადგილზე გასულ გუნდს.

ერთი ტურით ადრე გაირკვა პირველ ლიგაში დამრჩენთა ვინაობაც. მომავალ წელს ისევ ამ ლიგაში ითამაშებენ თბილისის „ხულიგანა“ და „სტუ“. მეორე ლიგაში მოუწევთ გადაბარგება ოზურგეთის „არწივებს“ და საჩხერის „ჯრუჭს“.

## პირველი ლიგა

### გადასასვლელი

#### III ტური

ბაგრატი-დინამო 26:15, თიბისი-რაინდები 35:15

#### სატურნირო მდგომარეობა

1. თიბისი თსუ - 21 ქულა, 2. ბაგრატი - 12, 3. დინამო - 8, 4. რაინდები - 2.

#### IV ტური

რაინდები-დინამო, თიბისი თსუ-ბაგრატი

### დასარჩენი

#### III ტური

ხულიგანა-ჯრუჭი 23:17, არწივები-სტუ 5:17

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ხულიგანა - 17 ქულა, 2. სტუ - 14, 3. არწივები - 9, 4. ჯრუჭი - 1.

#### IV ტური

სტუ-ჯრუჭი, არწივები-ხულიგანა

პირველი ეტაპი დასრულდა ჭაბუკთა B ლიგის გათამაშებაში. ერთწრიანი ტურნირის შემდეგ ჯგუფებში ორ-ორი საუკეთსო დასავლეთ და აღმოსავლეთ ზონებში გადანაწილდა. ორივე ზონაში ორ-ორი ჯგუფი შეიქმნა, რომლებშიც პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები პლეი ოფში განაგრძობენ ბრძოლას.

აღმოსავლეთ ზონაში ითამაშებენ: არმია, ხარები (რუსთავი), ხულიგანა (თბილისი), თსუ (თბილისი), არმაზი (თბილისი), ჯვაროსნები (თბილისი), ნიქარა (თბილისი) და ლელო (თბილისი).

დასავლეთ ზონაში გეოგრაფია უფრო ვრცელია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რვა გუნდიდან ოთხი ქუთაისისაა. ესენი არიან: აია 1, აია 2, აია 3, აია 4, ტაო (ახალციხე), პონტო (ქობულეთი), ლეგიონი (ხაშური) და ადიგენი.

## ჭაბუკთა B ლიგა

### A ჯგუფი

არმია-ჯიქები 28:12, ყაზბეგი-არმაზი 0:48

#### სატურნირო მდგომარეობა

1. არმია - 18 ქულა, 2. არმაზი - 14, 3. ჯიქები - 11, 4. ლოკომოტივი 2 - 5, 5. ზვავი - 0.

### B ჯგუფი

მერანი-ჯვაროსნები 17:19, ხარები-ყოჩები X:0

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ჯვაროსნები - 18 ქულა, 2. ხარები - 15, 3. მერანი - 11, 4. მუტრუკები - 5, 5. ყოჩები - 1.

### C ჯგუფი

აკადემია-ხულიგანა 5:22, იუნკრები-ნიქარა 15:34

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ხულიგანა - 18 ქულა, 2. ნიქარა - 15, 3. იუნკრები - 8, 4. აკადემია - 4, 5. ვეფხვები - 1.

### D ჯგუფი

ლოკომოტივი-ლელო 12:36, თსუ-ტორნადო 94:5

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ლელო - 20 ქულა, 2. თსუ - 14, 3. ლოკომოტივი - 9, 4. ჩოხოსნები - 5, ტორნადო - 0.

### H ჯგუფი

აია 4-არწივები 44:15, სჯიხა-ჯრუჭი 26:0

#### სატურნირო მდგომარეობა

1. აია 4 - 17 ქულა, 2. ტაო - 11, 3. ჯიხა - 10, 4. ჯრუჭი - 4, 5. არწივები - 4.

### II ეტაპი

#### აღმოსავლეთი ზონა

**A ჯგუფი:** არმია, ხარები (რუსთავი), ხულიგანა (თბილისი), თსუ (თბილისი)

**B ჯგუფი:** არმაზი (თბილისი), ჯვაროსნები (თბილისი), ნიქარა (თბილისი), ლელო (თბილისი).

#### დასავლეთი ზონა

**A ჯგუფი:** აია 1, აია 2, აია 3, ტაო (ახალციხე)

**B ჯგუფი:** პონტო (ქობულეთი), ლეგიონი (ხაშური), ადიგენი, აია 4.

● U-16

# ეროვნულმა აკადემიამ ვატერლოოსთან გაიმარჯვა

თბილისს ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრების გასამართად ბელგიური კლუბის, „ვატერლოოს“ 17-წლამდელთა გუნდი ეწვია, რომელმაც ერთი საკონტროლო შეხვედრის ჩატარება უკვე მოასწრო.

ბელგიელების მეტოქე ეროვნული სარაგბო აკადემიის 16-წლამდელთა გუნდი იყო, რომელსაც **ზვიად ცუხიშვილი** და **გიორგი ენუქიძე** წვრთნიან. თამაში ჩვენი მორაგბეების სრული უპირატესობით წარიმართა და სტუმრები დიდი ანგარიშით 55:0 დავამარცხეთ.

მომდევნო შეხვედრა ამ გუნდებს შორის „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ 19 აპრილს გაიმართება.

### სარაგბო აკადემია

**დავით ივანოვი (რაინდები), ლევან პაპიძე (ლელო), გიორგი კვირიკაშვილი, არსენ მაჩალაძე, დავით კლდიაშვილი (აია), გიორგი ვაშკლევიჩი, სანდრო კალმახელიძე, არდაშ დარბოევი, შოთა ხავთასი, სანდრო ნახუცრიშვილი (არმია), მერაბ ცერცვაძე (იმერეთი), შოთა ხონელიძე, ირაკლი ტრაპაიძე, თორნიკე ვახანია (ხულიგანა), გელა აფრასიძე, ლუკა დვალიშვილი, ნიკა კაპანაძე, გივი რომელაშვილი (თსუ), რატი ნანსყანი (არმაზი), გიორგი თოთლაძე (ჯვაროსნები), ირაკლი სარიშვილი (მერანი), გიოგი ნიკლაური (ჯიქი), ლაშა პაპიძე (ბათუმი), გიორგი ნარიმანიძე (ხარები).**

● მეტოქე

# რუმინეთი ნატურალიზაციის გზას დაადგა

**2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში 20 გუნდიდან მხოლოდ სამი იყო ისეთი, რომლებსაც შემადგენლობაში ნატურალიზებული მორაგბე არ ჰყავდა. ესენი არიან: საქარველო, არგენტინა და რუმინეთი. ამ ქვეყნების ეროვნული გუნდის კვართით მხოლოდ იქ დაბადებული მორაგბეები ასპარეზობენ.**

2015 წელს, ინგლისში გასამართ მსოფლიოს თასზე ასეთი გუნდების რაოდენობა, როგორც ჩანს, ორამდე შემცირდება. ახალხან, რუმინეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტმა **ალინ პეტრაჩემ** დაადასტურა, რომ აპირებენ აირჩიონ რამდენიმე უცხოელი მორაგბე, რომლებიც უკვე სამი წელიწადია რუმინეთის ჩემპიონატში ასპარეზობენ და უფლება აქვთ, თუ მოქალაქეობის მიღებას დათანხმდებიან, რუმინეთის ეროვნულ გუნდში ითამაშონ.

რუმინეთის ნაკრებში ეს ჯერჯერობით უცნობი მორაგბეები პირველი უცხოლები არ იქნებიან. 2012 წელს „სტეუარის“ კვართი შერკინების ქართველმა კვაჭმა **ოთარ ტურაშვილმა** მოირგო. მან რამდენიმე შეხვედრა გამართა რუმინელთა გუნდში, თუმცა ერთა თასზე თამაშის საშუალება არ მისცემია და, სავარაუდოდ, უელსელი **ლინ ჰოულსი** მას არც ინგლისში იახლებს.

რუმინული ბანაკიდან ჯერ ჭორის დონეზეც არ გამოსულა, ვის დამატებას აპირებენ ეროვნულ გუნდში, თუმცა გარკვეული წიაღსვლების შემდეგ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰოულსმა თვალი შემდეგ სამ უცხოელ მორაგბეს დაადგა.

ახალზელანდიელი მგეზავი **მაიკ ვირინგი** და სამხრეთაფრიკელი მეორეხაზელი **იოჰან ფან ერდენი** „ბაია მარეში“ თამაშობენ, ტონგელი შუამარბი **პაულა კინიკინილაუ** კი „ტიმიშოარას“ ღირსებას იცავს. მათ უკვე ითამაშეს „ბუქარესტის“ შემადგენლობაში „ემლინ ჩელენჯ კაპის“ წლევანდელ გათამაშებაში, რათა რუმინელ მორაგბეებთან ინტეგრირება და შეთამაშება უმტკივნეულოდ მოხდეს.

უცხოელების ეროვნულ ნაკრებებში თამაში ყოველთვის დავას იწვევდა. თუმცა, ამჟამად ყველა წამყვანი სარაგბო ქვეყანა იყენებს ნაკრების გაძლიერების ამ მეთოდს. მაგალითად, ირლანდია ძალებს არ იშურებს რათა თავის რიგებში **ჯერარდ პეინი** იხილოს. შოტლანდიამ უკვე აიყვანა **ტიმ ვიზერი** და მსოფლიოს თასის დაწყებამდე **ჯოშ შტრაუსსა** და **ვი პი ნილს** დაიმატებს.

რუმინეთის ნაკრებს რეალურად აქვს სერიოზული პრობლემა მგეზავის პოზიციაზე. თავად განსაჯეთ, ერთა თასის წლევანდელი გათამაშების ხუთი მატჩიდან ოთხში მგეზავად ცხრა ნომერმა **ვალენტინ კალაფეტეანუმ** ითამაშა. მაიკ ვირინგი რუმინეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მექულეა და ყველა რუმინელ მგეზავს ერთი თავით სჯობია.

არანაკლებად პრობლემურია „სტეუარიში“ შუამარბის პოზიცია. სწორედ ამიტომ, ტონგელ მორაგბეს კარგი შანსი აქვს მსოფლიოს თასზე ითამაშოს. ცოტა რთულადაა სამხრეთაფრიკელი ერდენის მდგომარეობა. მეორე ხაზში მას სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუწევს.

საგულისხმოა, რომ რუმინელთა ახალ თაობაში ნიჭიერი მოთამაშეების დეფიციტია. ასაკობრივი ნაკრებები ისეთ დონეზე დაეცნენ, რომ პორტუგალიისა და ესპანეთის ნაკრებებს ველარ უმკლავდებიან. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ მიმართა რუმინეთის რაგბის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების გაძლიერების ამ უკიდურეს ზომას. რამდენად წაადგება ეს რუმინული რაგბის შემდგომ განვითარებას, ამას მომავალი გვიჩვენებს.



ბურთით პაულა კინიკინილაუ

● მსოფლიოს ალაფა

# ალაფა ჰონგ კონგში, თბილისში?

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა, რომელიც ჰონგ კონგში მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე ასპარეზობს, რაგბის საერთაშორისო საბჭოსა და აზიის რაგბის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა.**

ქართველ მორაგბეებთან ერთად იაპონელმა, ამერიკელმა და ტონგელმა მოთამაშეებმა სპეციალური ვარჯიში გამართეს უნარშეზღუდული სკოლების ბავშვებთან. აღსანიშნავია, რომ ჰონგ კონგის რაგბის კავშირი ამ სკოლებს 2009 წლიდან პატრონობს და ყოველმხრივ ეხმარება. საერთო ჯამში ღონისძიებაში სამოცდაათამდე ბავშვმა მიიღო მონაწილეობა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები 19 აპრილს მე-5 ადგილისთვის მატჩში ნამიბიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ამასობაში ვებ გვერდმა www.zapaday.com გაავრცელა ინფორმაცია, რომ მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის გათამაშება მომავალი წლის მაის-ივნისში თბილისში გაიმართება. ამ ცნობას კატეგორიულად უარყოფს საქართველოს რაგბის კავშირი.

*„ეს რომ სიმართლე იყოს ამის თაობაზე განცხადებას ჯერ კიდევ ექვსი თვის წინათ გავაკეთებდით და ახლა გამალებულ სამზადისში ვიქნებოდით. ეს ინფორმაცია არასწორია. რაგბის საერთაშორისო საბჭოდან მსგავსი შეტყობინება არ მიგვილია,“* - თქვა საქართველოს რაგბის კავშირის მედია მენეჯერმა **ალექსანდრე უჯმაჯურიძემ**.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA



პოლ პირსი

# ერთი დღე დარჩა

იმის გამო, რომ პლეი ოფის ყველა მონაწილე ჯერ კიდევ ორი დღის წინ გაირკვა, რეგულარულის დარჩენილმა მატჩებმა დაძაბულობა დაკარგა. თუმცა იმ 15 შეხვედრას, რომელიც გუშინ ღამით უნდა გამართულიყო, შეეძლო შეეცვალა სიტუაცია პლეი ოფში წყვილების გადანაწილების მხრივ.

გუშინ, „ბრუკლინს" აღმოსავლეთ კონფერენციაში მეხუთე ადგილის განაღდების შანსი ჰქონდა, მაგრამ ინერტულად ითამაშა „ნიუ იორკის" წინააღმდეგ, რომელმაც ტრავმირებული **კარმელო ენტონი** აკლდა. თუმცა „ნეტსს" კიდევ დარჩა მეხუთე ადგილის დაკავების შანსი - ამისთვის მას ბოლო სათამაშო დღეს „კლივლენდისთვის" უნდა მოეგო.

თუმცა „ნიუ იორკთან" მატჩში „ბრუკლინის" გულშემატკივრებს მაინც ჰქონდათ სიხარულის საბაბი. მაგალითად, **მირზა ტელეტოვიჩის** მეუღლემ ტყუპი გააჩინა (ამ მიზეზით არ უთამაშია „ნიქსის" წინააღმდეგ ბოსნიელს), **პოლ პირსმა** კი მატჩის მეორე წუთზე სამქულიანი გამოიყენა და სეზონში ჯამური მონაგარი 1000 ქულამდე აიყვანა. ერთი შეხედვით, დიდი ვერაფერი შედეგია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვეტერანმა ზედიზედ მეთხუთმეტედ გადალახა რეგულარულში ათასქულიანი ზღვარი, რაც აქამდე მხოლოდ ლიგის ლეგენდებს გაუკეთებიათ: **ქარიმ აბდულ-ჯაბარს** (19), **კარლ მელოუნს** (18), **ჯონ ჰავლიჩეკს** (16), **ელვინ ჰეიესსა** (15) და **რობერტ პერიშს** (15).

■ ■ ■

დღის მეორე მატჩის ბედი, ფაქტობრივად, სტარტზე გადაწყდა, როცა „კლიპერსი" 13:0 გაიქცა „დენვერის" წინააღმდეგ. მეორე ნახევარში სტუმრებმა შეძლეს 23-ქულიანი ჩამორჩენა 5 ქულამდე დაეყვანათ, მაგრამ **დოკ რივერსის** რეზერვისტებმა საფრთხე ძალიან მალე მოიგერიეს.

ამ წარმატების წყალობით, „კლიპერსმა" ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა - აქამდე ლოს ანჯელესურ კლუბს არასოდეს მოუგია რეგულარულში 57 მატჩი.

**ბრუკლინი–ნიუ იორკი 98:109**

18:29, 25:26, 24:28, 31:26

**ბ:** ტორნტონი (24), პლამლი (16+9 მოხსნა), პირსი (13), ჯონსონი (12+6 მოხსნა), უილიამსი (10).

**ნ-ი:** პარდუეი (16), სტაუდმაიერი (14), სმიტი (14+7 მოხსნა), ბრაუნი (14), ოლდრიჩი (13+13 მოხსნა), შამპერტი (11+3 ჩაჭრა).

**კლიპერსი–დენვერი 117:105**

38:26, 25:20, 25:34, 29:25

**კ:** გრიფინი (24+5 მოხსნა), პოლი (21+10 პასი), რედიკი (18), ჯორდანი (13+16 მოხსნა), კოლისონი (10).

**დ:** ფარიდი (21+6 მოხსნა), ბრუქსი (19+5 პასი), მოზგოვი (18+11 მოხსნა), ფოიე (11+7 პასი+4 ჩაჭრა), მილერი (11).

# საზოგადო მოღვაწე დენგი

„კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდი **ლუოლ დენგი** ჯეიმს უოლტერ კენედის სახელობის პრიზის მფლობელი გახდა. ეს ჯილდო კალათბურთელს მოედნის მიღმა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის გადაეცა.

დენგი არაერთხელ გამოვიდა მის მშობლიურ სამხრეთ სუდანში საომარი მოქმედებების შეწყვეტის მოწოდებით. ასევე კალათბურთელი აფინანსებს საკალათბურთო ბანაკების მშენებლობას აფრიკის კონტინენტზე. და კიდევ, დენგის გეგმებში შედის სკოლებისა და კლინიკების მშენებლობა.

წელს, ამ საპატიო პრიზზე პრეტენზიას აცხადებდნენ: **რეი ალენი, მეტ ბონერი, კევინ დურანტი, ამირ ჯონსონი, კაილ კორვერი, კევინ ლავი, სტივ ნეში, კრის პოლი** და სხვები.

■ ■ ■

ამასობაში, დენგის მომავალი „კლივლენდში" გაურკვეველია. ბრიტანელი ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდება და თუ „კავალიერზმა" ვერ შეძლო მისი შენარჩუნება, ფორვარდს მთხოვნელები არ მოაკლდება. თუ ამერიკულ პრესას ვერწმუნებით, ამ მხრივ, ყველაზე მეტად აქტიურობენ „ლეიკერსი" და „ფინიქსი".

შეგახსენებთ, რომ დენგი ამ სეზონში ტრეიდის მეშვეობით აღმოჩნდა „ჩიკაგოდან" „კლივლენდში". რეგულარულში მან 63 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 16.0 ქულა, 5.7 მოხსნა და 2.9 შედეგიანი გადაცემა დააგროვა.



დენგი აფრიკაზე ზრუნავს

● ჰოკეი

# იღბლიანი პანტერები

გუშინ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2014 წლის დრაფტის ლატარია გაიმართა. მასში იმ გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც სტენლის თასის გათამაშებაში ვერ მოხვდნენ.

ლატარიის შედეგად მომავალ დრაფტზე პირველი ნომრის არჩევის უფლება „ფლორიდა პანტერზმა" მიიღო. ლატარიამდე ამ გუნდის გამარჯვების შანსი 18.8 პროცენტს შეადგენდა. ყველაზე მაღალი შანსი (25 პროცენტი) ჰქონდა რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე უარეს გუნდს - „ბაფალო სეიბრზს". საბოლოოდ, ამ კლუბს მეორე ნომერი ერგო. მესამე არჩევანის უფლება მიიღო დასავლეთი კონფერენციის ბოლოადგილოსანმა „ედმონტონ ოილერზმა".

სულ გათამაშდა 13 არჩევანის უფლება. ლატარიაში არ მონაწილეობდა „ნიუ ჯერსი დევილზი". მას ბოლო, 30-ე ნომერი თავიდანვე მიანიჭეს. შეგახსენებთ, რომ ბოლო სამი წელი „დევილზი" ვერ ირჩევდა დრაფტის პირველ რაუნდში, რადგან კლუბი სახელფასო ბიუჯეტის ზედა ზღვრისთვის გვერდის ავლის გამო დასჯილი იყო.

ბოლოს „ფლორიდამ" დრაფტ-ლატარია 2003 წელს მოიგო, მაგრამ მაშინ კლუბმა გაცვალა პირველი ნომრის არჩევანი. 1994 წელს კი „პანტერზმა" პირველ ნომრად აირჩია მცველი **ედ ჯოვანოვსკი**.

ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალბედათა დრაფტი 27-28 ივნისს ფილადელფიაში გაიმართება. NHL-ის სკაუტთა ბიუროს შეფასებით, დრაფტის ფავორიტები ჩრდილოამერიკელებს შორის ფორვარდები **სამუელ ბენეტი, სემ რეინჰარტი** და მცველი **აარონ ეკბლედი** არიან, ევროპელებს შორის - ფორვარდები **კასპერი კაპანენი, უილიამს ნიულანდერი** და **კევინ ფიალა**.



# კანადას ჯერ მხოლოდ მწვრთნელი ჰყავს

მოახლოვდა ჰოკეიში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატი და მასში მონაწილე გუნდებმა შემადგენლობების დაკომპლექტება დაიწყეს.

გაირკვა, რომ კანადის ნაკრებს ბელარუსში **დეივ ტიპეტი** უხელმძღვანელებს. 52 წლის სპეციალისტი „ფლორიდას" მთავარი მწვრთნელია და ეს გუნდი პლეი ოფში ვერ გაიყვანა. პლანეტის პირველობაზე მისი თანაშემწე იქნება „პანტერზის" მეორე მწვრთნელი **პიტერ დებური**, აგრეთვე „ვინიპეგისა" და „ოტავას" მთავარი მწვრთნელები **პოლ მორისი** და **პოლ მაკლინი**.



ჯეიმს რაიმერი

ჯერჯერობით გაურკვეველია კანადის ნაკრების შემადგენლობის კონტურები. ცნობილია NHL-ის რამდენიმე მოთამაშე, რომელიც გუნდთან ერთად ბელარუსში გაემგზავრება. ეს არის მცველი **რაიან ელისი** „ნეშვილიდან", **ერიკ გუდბრანსონი** „ფლორიდადან", აგრეთვე „ვაშინგტონის" ფორვარდები - **ტროი ბრიუერი** და **ჯოელ უორდი**.

გარდა ამისა, გუშინ გახდა ცნობილი, რომ ნაკრებში თამაშზე თანხმობა განაცხადა „ტორონტოს" დუეტმა - მეკარე **ჯეიმს რაიმერმა** და მცველმა **მორგან რაილიმ**. რაიმერს გააჩნია მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის გამოცდილება - მან 2011 წელს სამი მატჩი ჩაატარა კანადის ნაკრებში.

■ ■ ■

NHL-ის ათმა ჰოკეისტმა განაცხადა თანხმობა აშშ-ის ნაკრებში თამაშზე. მათგან სამი ჰოკეისტი შარშანდელ პირველობაზეც თამაშობდა, როცა ამერიკამ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ესენი არიან: **კრეიგ სმიტი** („ნეშვილი"), **ჯეფ პეტრი** („ედმონტონი") და **ჯეიკობ ტროუბა** („ვინიპეგი"). მათ დაემატებიან მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტები: **სეტ ჯონსი** („ნეშვილი"), **ჯეიკ გარდინერი** („ტორონტო"), **ბრუკ ნელსონი** („აილენდერსი"), **ჯონ გოდრო** („კალგარი"), **ვინსენტ ტროჩეკი** და **ჯიმი ჰეისი** (ორივე - „ფლორიდა").

● ფიგურული სრიალი

# კორეა რუსეთს უჩივის

სამხრეთ კორეამ მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირში ოფიციალური პროტესტი შეიტანა სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე რუსი **ადელინა სოტნიკოვას** შედეგთან დაკავშირებით. კორეის მოციგურავეთა კავშირი უკმაყოფილო დარჩა ქალთა შეჯიბრში მსაჯების შემადგენლობით. ეს ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ერთ-ერთი მსაჯი - **ალა შეხოვცევა** რუსეთის ფიგურული სრიალის ფედერაციის გენერალური მდივნის **ვალენტინ პისეევის** მეუღლეა. გარდა ამისა, ჟიურიში იყო უკრაინელი **იური ბალკოვი**, რომელიც 1998 წელს, ნაგანოს ოლიმპიადაზე სამსაჯო სკანდალის ფიგურანტი გახლდათ. ეს მსაჯი ჩამოშორებული იყო სამუშაოს იმის გამო, რომ ცეკვების შეჯიბრში საბოლოო შედეგებზე გავლენის მოხდენა სცადა.

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის სადისციპლინო კომიტეტის შეფმა **ფოლკერ ვალდეკმა** დაადასტურა კორეული მხარის მიერ პროტესტის შეტანა. მან განაცხადა, რომ უახლოეს სამ კვირაში მიიღებენ გადაწყვეტილებას - განიხილება თუ არა ეს საქმე კავშირის ან სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

შეგახსენებთ, სოჭის ოლიმპიადაზე ქალების ასპარეზობა მოიგო ადელინა სოტნიკოვამ. მან 224,59 ქულა დააგროვა და ხუთი ქულით გაუსწრო კორეელ **იუნა კიმს**.

● ამბები

**ჰოკეი**

## დასწრების რეკორდი NHL-ში

ჰოკეის ეროვნული ლიგის 2013-14 წლების სეზონში რეგულარული ჩემპიონატის მატჩებს 21 758 902 გულშემატკივარი დაესწრო, რითაც NHL-ში დასწრების რეკორდი დამყარდა, - იტყობინება ლიგის ოფიციალური ვებგვერდი.

წინა რეკორდი 2008-09 წლების სეზონში დაფიქსირდა - მაშინ რეგულარულის მატჩებს 289 ათას ადამიანზე ნაკლები დაესწრო.

უნდა აღინიშნოს, რომ წელს ერთ მატჩზე დასწრების საშუალო მაჩვენებელმა 17 586 მაყურებელი შეადგინა. ჰოკეის დარბაზები გასულ რეგულარულში 96 პროცენტით ივსებოდა.

**ჩოგბურთი**

## სანქტ-პეტერბურგი ისრაელში გადავიდა

მამაკაცთა პროფესიული ტურის ტურნირი - St.Petersburg Open, რომელიც 1995 წლიდან იმართებოდა რუსეთის ქალაქ სანკტ-პეტერბურგში, ისრაელში გადადის. შეჯიბრის მფლობელებმა გადაწყვიტეს ტურნირი თელ-ავივის ახლოს მდებარე საჩოგბურთო ცენტრში ჩაატარონ, სადაც ჰარდისსაფარიანი ღია კორტებია. ჩატარების თარიღი 15-21 სექტემბერი იქნება.

ჯერჯერობით უცნობია, სანკტ-პეტერბურგის ტურნირი სამუდამოდ გადავიდა ისრაელში თუ ეს დროებითი ნაბიჯია.

**ფორმულა 1**

## მოსალოდნელია გაფიცვა

ფორმულა 1 გაფიცვის პირასაა. ბაჰრეინის გრანპრის დროს, პილოტებმა ხელი მოაწერეს ულტიმატუმს, რომელშიც იტყობინებიან, რომ აპირებენ გაფიცვის ინიცირებას დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. რამდენიმე პილოტი (**რომენ გროსჟანი, ადრიან სუტილი, ნიკო ჰიულკენბერგი, კამუი კობაიაში**) ადასტურებს, რომ არ მიუღიათ პრემიალური თანხები.

ევროპული პრესის ინფორმაციით, დოკუმენტისთვის ხელი არ მოუწერიათ **კიმი რაიკონენს** (ფინელი არ შედის GPDA-ის პილოტთა პროფკავშირში) და **ლუის ჰემილტონს**. არადა, რაიკონენმა შარშან სწორედ ამ მიზეზით დატოვა „ლოტუსი" და დღემდე ცდილობს ამ გუნდს გამოჰგლიჯოს კუთვნილი თანხა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი

# მონაკოს მასტერსი: TOP4-მა 11 გეიმი წააგო

მონაკოში მიმდინარე მასტერზე ორი დღეა, რაც ბრძოლაში ფავორიტები ჩაებნენ. ATP-ის რეიტინგის ტოპ-ოთხეულის წევრებმა პირველი მატჩები ჩაატარეს და ძალიან დამაჯერებლად გაიარეს მეორე წრის ბარიერი.

ორშაბათს **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** 45 წუთში გაანადგურა ესპანელი **ალბერტ მონტანიესი** - 6:1, 6:0, გუშინ კი გაგრძელდა ფავორიტების დომინირება.

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** ჩეხი ვეტერანი **რადეკ შტეპანეკი** არ დაინდო - 6:1, 6:2. რეიტინგის პირველმა ნომერმა **რაფაელ ნადალმა** რუს **თეიმურაზ გაბაშვილთან** პირველ სეტში 1:3 ჩამორჩენის შემდეგ 6:4, 6:1 მოიგო, რაც შეეხება მსოფლიოს მესამე ჩოგან **სტანისლას ვავრინკას**, მას ყველაზე რთული მეტოქე ჰყავდა ხორვატი **მარინ ჩილიჩის** სახით, მაგრამ შვეცარიელმა არ შეიმჩნია მისი წინააღმდეგობა - 6:0, 6:2.

საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ TOP4-ის წევრებმა მეტოქეებს ჯამში 11 გეიმი დაუთმეს. აქედან თითქმის ნახევარი ესპანელ რაფაელ ნადალზე მოდის.



რაფაელ ნადალი

# აზარენკა როლან გაროსს უმიზნებს


ვიქტორია აზარენკა

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** კვლავაც ტრავმებს ებრძვის და იმედი აქვს, რომ როლან გაროსისთვის მოასწრებს სპორტული ფორმის დაბრუნებას.

2014 წლის სეზონში ბელარუსმა ჩოგბურთელმა მხოლოდ სამ ტურნირში ითამაშა: ბრისბენში ფინალში გავიდა, სადაც ამერიკელ **სერენა უილიამსთან** წააგო, ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალამდე მიაღწია, ინდიან უელსის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე კი პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას - სენსაციურად დათმო შეხვედრა ამერიკელ **ლორენ დევისთან**. სწორედ ამის შემდეგ აზარენკამ პაუზის აღება გადაწყვიტა ტრავმების სამკურნალოდ. ახლა ბელარუსის მთავარი მიზანი - როლან გაროსია, რომელიც 25 მაისს აიღებს სტარტს.

*„მირჩევნია კიდევ მოვიცადო და მაქსიმალურად მაღალ დონეზე მომზადებული დავუბრუნდე ტურს. ჩემი ოცნება „დიდი სლემის" ტურნირის მოგებაა. სწორედ ამისთვის ვემზადები",* - ამბობს აზარენკა.

კრივი

# პაკიაოს ოჯახს არ უჯერებს

ფილიპინელი **მენი პაკიაოს** ოჯახის წევრებმა მოკრივეს კარიერის დასრულება სთხოვეს.

*„მიმაჩნია, რომ მენიმ ყველას ყველაფერი დაუმტკიცა - ის თავის ეპოქაში საუკეთესო მოკრივეა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. მაგრამ უკვე 35 წლისაა. ძალიან ვნერვიულობდი, როცა ხელჩართულ ჩხუბში მიდიოდა ბრედლისთან",* - ამბობს მოკრივის მეუღლე **ჯინ პაკიაო**.

თავად ფილიპინელი ჩემპიონი არ გეგმავს კრივიდან წასვლას. ბრედლისთან რევანშის შემდეგ, პაკიაომ განაცხადა, რომ მზად არის მოლაპარაკებები აწარმოოს ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან**.

საერთოდ, მენის მომავალი მეტოქის საკითხი აქტუალური იქნება. ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესთან** რიგით მეხუთე ბრძოლა, თუმცა თავად მექსიკელი ამ პერსპექტივას დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდება. ის დარწმუნებულია, რომ პაკიაომ აქცენტი ფლოიდ მეივეზერთან ბრძოლაზე უნდა გადაიტანოს.



მენი პაკიაო

*„გულშემატკივრებს სურთ იხილონ მენისა და ფლოიდ მეივეზერის ჩხუბი. ეს ის არის, რასაც კრივის მოყვარულები ითხოვენ. მე უკვე ოთხჯერ ვიჩხუბე პაკიაოსთან და ვფიქრობ, საზოგადოებას მენისა და ფლოიდის ჩხუბის ხილვა ურჩევნია, ვიდრე ჩვენი მეხუთე ბრძოლის,* - ამბობს მარკესი. - *თუ გამოკითხვას ჩავატარებთ, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა სწორედ ამ შეხვედრას დაუჭერს მხარს. მე კი ალვარადოსთან ბრძოლისთვის ვემზადები და სხვა შეხვედრები არ მაინტერესებს".*

ყველაზე მდიდრები

# მეივეზერი და დანარჩენები




ESPN-ის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2013 წლის შედეგების მიხედვით ყველაზე მდიდარი სპორტსმენების ტოპ-ოცეული. რეიტინგში პირველ ადგილზე გავიდა ამერიკელი მოკრივე **ფლოიდ მეივეზერი**, რომელმაც გასულ წელს 73.5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

მსოფლიოს უმდიდრეს სპორტსმენთა ოცეულში ჭარბობენ ბეისბოლისა და ამერიკული ფეხბურთის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ რეიტინგის შედგენისას ESPN-ის ანალიტიკოსები ითვალისწინებდნენ მხოლოდ სპორტული კონტრაქტებით მიღებულ შემოსავალს და მხედველობაში არ მიუღიათ სარეკლამო ხელშეკრულებები. ამიტომაც ვერ ვხედავთ ტოპ-ოცეულში პროფესიული ტურის წამყვან ჩოგბურთელებს.

| TOP 20 | |
|---|---|
| 1. ფლოიდ მეივეზერი (კრივი) | 73.5 მლნ |
| 2. კრიშტიანო რონალდო (ფეხბურთი) | 50.2 მლნ |
| 3. ლიონელ მესი (ფეხბურთი) | 50.1 მლნ |
| 4. აარონ როჯერსი (ამერიკული ფეხბურთი) | 40.0 მლნ |
| 5. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ფეხბურთი) | 35.0 მლნ |
| 6. მეტიუ სტეფორდი (ამერიკული ფეხბურთი) | 31.5 მლნ |
| 7. ტომ ბრეიდი (ამერიკული ფეხბურთი) | 31.0 მლნ |
| 8. კობი ბრაიანტი (კალათბურთი) | 30.5 მლნ |
| 9. მეტ რაიანი (ამერიკული ფეხბურთი) | 30.0 მლნ |
| 9. ჯო ფლაკო (ამერიკული ფეხბურთი) | 30.0 მლნ |
| 11. ზაკ გრაინკი (ბეისბოლი) | 28.0 მლნ |
| 12. ფერნანდო ალონსო (ფორმულა 1) | 27.5 მლნ |
| 13. ლუის ჰემილტონი (ფორმულა 1) | 27.5 მლნ |
| 14. ტონი რომო (ამერიკული ფეხბურთი) | 26.5 მლნ |
| 15. უეინ რუნი (ფეხბურთი) | 26.0 მლნ |
| 16. რაიან ჰოვარდი (ბეისბოლი) | 25.0 მლნ |
| 16. კელვინ ჯონსონი (ამერიკული ფეხბურთი) | 25.0 მლნ |
| 16. პეიტონ მენინგი (ამერიკული ფეხბურთი) | 25.0 მლნ |
| 16. კლიფ ლი (ბეისბოლი) | 25.0 მლნ |
| 20. რობინსონ კანო (ბეისბოლი) | 24.0 მლნ |
| 20. პრინს ფილდერი (ბეისბოლი) | 24.0 მლნ |
| 20. ვლადიმირ კლიჩკო (კრივი) | 24.0 მლნ |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

ერთვნული ბიზლიოთეკა

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ევერტონი-კრ. პალასი | 2:3 |
| მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი | 2:2 |
| **იტალიის თასი** | |
| **Lega Pro** | |
| სალერნიტანა-მონცა | 1:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ბარსელონა-რეალი | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ინგოლშტადტი II-ვიურცბურგი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ოლდენბურგი-კლოპენბურგი | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ს–დ)** | |
| კაიზერი II-მანჰაიმი | 2:1 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ბაიერნი-კაიზერი | 5:1 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| გინგამი-მონაკო | 1:1 დ.დ. 3:1 |
| **ბელგია** | |
| ბრიუგე-გენკი | 2:0 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ბენფიკა-პორტუ | 3:1 (0:1) |
| რიუ ავე-ბრაგა | 2:0 (0:0) |
| **დანია** | |
| ვიბორგი-ოლბორგი | 0:2 |
| **შვედეთი** | |
| ჰაკენი-ჰალმსტადი | 3:0 |
| ნორჩოპინგი-მიალბიუ | 1:1 |
| ერებრო-მალმიო | 1:2 |
| იურგორდენი-აიკ | 2:3 |
| **ფინეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ჰონკა-კუოპიო | 0:3 |
| ინტერი-მიუპა | 3:0 |
| იუვიასკიულა-ტურკუ | 1:0 |
| ჰამეენლინა-მარიეჰამნი | 2:4 |
| ვაასა-ლაჰტი | 0:1 |
| ჰიკ-როვანიემი | 2:0 |
| **ავსტრიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| პელეტსი-ზალცბურგი | 0:6 |
| **შვეიცარია** | |
| არაუ-ლუცერნი | 1:2 |
| გრასჰოპერსი-თუნი | 0:5 |
| ბაზელი-ციურიხი | 4:2 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| პანათინაიკოსი-ოფი | 1:0 დ.დ. 3:0 (0:1) |
| პაოკ-ოლიმპიაკოსი | 1:0 (1:2) |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ბურსა-გალათასარაი | 2:5 (2:2) |
| **რუსეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ცსკა-კრასნოდარი | 0:1 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-ჩერნომორეცი | 3:2 |
| მეტალურგი (ზ)-გოვერლა | 0:1 |
| კარპატი-ილიჩივეცი | 0:1 |
| დინამო-შახტარი | 0:2 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| არკა-ზაგლებე | 0:0 (0:3) |
| **ხორვატია** | |
| დრაგოვოლიაცი-ჰაიდუკი | 4:1 |
| ლოკომოტივა-ისტრა | 3:2 |
| სპლიტი-დინამო | 0:3 |
| **სლოვენია** | |
| ტრიგლავი-კრკა | 1:1 |
| დომჟალე-მარიბორი | 1:2 |
| ზავრცი-ოლიმპია | 3:1 |
| გორიცა-პუბლიკუმი | 5:0 |
| რუდარი-კოპერი | 0:2 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| მტკ-უიპეშტი | 0:0 |
| **რუმინეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ასტრა-პეტროლული | 2:1 (0:0) |
| **ბულგარეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| ბოტევი-ლოკომოტივი (ს) | 3:1 |
| ლუდოგორეცი-ლოკომოტივი (პ) | 2:0 |
| **ლატვია** | |
| BFC დაუგავა-დაუგავა | 3:2 |
| ვენტსპილსი-იურმალა | 3:1 |
| სკონტო-მეტა | 3:1 |
| მეტალურგსი-იეგლავა | 2:3 |
| **ლიტვა** | |
| ატლანტასი-ეკრანასი | 2:2 |
| სუდუვა-დაინავა | 5:0 |
| **ბოსნიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ჟრინსკი-სარაევო | 1:3 (0:0) |
| შიროკი ბრიეგი-სელიკი | 1:0 (0:2) |
| **მაკედონიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ბრეგალნ.-რაბოტნიჩ. | 2:0 პენ. 4:5 (0:2) |
| მეტალურგი-ტეტეკსი | 1:0 (0:0) |
| **ისრაელის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| მაკაბი (ფ-თ)-მაკაბი (ნ) | 1:2 |
| ირონი (ძ-შ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:1 |
| **არგენტინა** | |
| ატ. რაფაელა-როსარიო | 2:3 |
| ესტუდიანტესი-რივერ პლეიტი | 0:0 |
| ნიუელსი-კოლონი | 0:1 |
| **პარაგვაი** | |
| 3 დე ფებრერო-ნასიონალი | გადაიდო |
| **გვატემალა** | |
| მუნისიპალი-დეპ. მალაკატეკო | 1:0 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ალ რაიიანი-ალ ჯაზირა | 2:3 |
| ალ შაბაბი-ესტეგლალი | 2:1 |
| ბუნიოდკორი-ალ ფათეჰი | 3:2 |
| ფოოლადი-ალ ჯაიში | 3:1 |
| სერეზო-პოჰანგი | 0:2 |
| ბურირამი-შანდონგი | 1:0 |
| სენტრალ კოუსტი-სეული | 0:1 |
| ბაიჯინგი-ჰიროშიმა | 2:2 |
| **სინგაპური** | |
| ნიიგატა-უორიორსი | 0:4 |
| ჰუგანგი-ბრუნეი | 0:1 |
| **ს. აფრიკა** | |
| ფრი სტეიტი-უნივერსიტი | 1:0 |
| ბიდვესტი-მოროკა | 2:1 |
| ლამონტვილი-ბლუმფონტეინი | 1:1 |
| მამელოდი-მპუმალანგა | 1:0 |
| პლატინუმი-ამაზულუ | 1:0 |
| პოლოკვანე-კაიზერ ჩიფსი | 0:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ცსკა-პანათინაიკოსი | 77:74 (ო) |
| მილანი-მაკაბი | 99:101 (ო) |
| **გერმანია** | |
| ბონი-ოლდენბურგი | 84:79 (ო) |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მონაკო** | |
| ლოდრა-**როსოლი** | 4:6, 4:6 |
| ბაუტისტა აგუტი-**ფონინი** | 6:7, 4:6 |
| ლუ-**რაონიჩი** | 7:6, 2:6, 1:6 |
| ანდუხარი-**სეპი** | 6:7, 7:5, 4:6 |
| შტეპანეკი-**ფედერერი** | 1:6, 2:6 |
| **რობრედო**-ბენეტო | 4:6, 6:0, 6:1 |
| **ნადალი**-გაბაშვილი | 6:4, 6:1 |
| **დიმიტროვი**-რამოსი | 4:6, 6:3, 6:4 |
| მაუ-**ალმაგრო** | 6:7, 3:6 |
| **გარსია ლოპესი**-დოლგოპოლოვი | 6:1, 7:5 |
| **ვავრინკა**-ჩილიჩი | 6:0, 6:2 |
| მონფილსი-**კარენო ბუსტა** | 3:6 ,6:7 |
| **WTA. კუალა ლუმპური** | |
| გატო მონტიკონი-**დიასი** | 1:6, 4:6 |
| კიჩენოკი-**ლინეტი** | 1:6, 2:6 |
| **ციბულკოვა**-ოზგენი | 6:1, 6:3 |
| კოვინინი-**მეირი** | 4:6, 6:3, 1:6 |

# მიდიოდნენ, რათა დაბრუნებულიყვნენ



ჯორჯ ფორმენი

15 აპრილს ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენის - ამერიკელი მოცურავის **მაიკლ ფელპსის** დიდ სპორტში დაბრუნების შესახებ გამოცხადდა. მისმა მწვრთნელმა **ბობ ბოუმენმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ 24-26 აპრილს, მაიკლი არიზონის ქალაქ მესაში სამ დისციპლინაში გამოვა - 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, აგრეთვე 100 მეტრზე ბატერფლაიში.

28 წლის ფელპსმა, რომლისთვისაც ბოლო ოფიციალური ტურნირი ლონდონის ოლიმპიადა იყო, გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო ვარჯიში და დაბრუნდა იმ სპორტსმენთა სიაში, რომლებსაც დოპინგზე ამოწმებს აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტო. ვარაუდობენ, რომ 18-გზის ოლიმპიური ჩემპიონი აქცენტს მოკლე დისტანციებსა და ესტაფეტებზე გააკეთებს.

რთული საქმელია, როგორი გამოვა მაიკლის ქამბექი, თუმცა სპორტის ისტორიას ახსოვს არა უბრალოდ კარიერის განახლების, არამედ ტრიუმფალური დაბრუნების არაერთი შემთხვევა. შესაძლოა, ქვემოთ მოყვანილი ისტორიების ნაწილი ბევრისთვის უცხო არ არის, მაგრამ ღირს მათი გახსენება...

## მარიო ლემიე

კანადელი ჰოკეისტის **მარიო ლემიეს** კარიერა - ორი დიდი სიისგან შედგება: დიადი მიღწევები და მძიმე ტრავმები თუ ავადმყოფობები. ის ორჯერ წავიდა და დაბრუნდა. ჰოჯკინის ლიმფომას გამო, მარიომ მთლიანად გამოტოვა 1994-95 წლების სეზონი, დაბრუნდა, 1997 წელს კი კარიერა დაასრულა. თითქოს სამუდამოდ. ლემიეს მეორე ქამბექი სამ წლის შემდეგ შედგა. იმ პერიოდში, როცა ის მოედანზე არ გადიოდა, „სუპერმარიომ" მოასწრო გაკოტრებისგან ეხსნა „პიტსბურგ პინგვინზი".

ყოველთვის, როცა ლემიე ბრუნდებოდა, იმაზე უკეთ თამაშობდა, ვიდრე წინა წლებში - ამას ყველა აღიარებდა. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებაში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოკეისტის კვლავ საქმეში ხილვისგან გამოწვეული სიხარული ჭარბობდა. ტრავმები, ავადმყოფობა, კარიერაში იძულებითი პაუზები არასოდეს უშლიდა ხელს გოლების გატანაში, პასების დარიგებასა და ყინულზე სასწაულების მოხდენაში. მისი ერთ-ერთი მთავარი გამარჯვება იყო 2002 წლის ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქრო. მან ეს ჯილდო ჰოკეიში მეორედ დაბრუნების შემდეგ მოიპოვა.

## მოჰამედ ალი

*„არც ერთ ვიეტნამელს არ უწოდებია ჩემთვის ზანგი"*, - განაცხადა მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონმა **მოჰამედ ალიმ** და უარი თქვა აშშ-ის სახელით ვიეტნამში ბრძოლაზე. არც არავინ აპირებდა ჩემპიონის გაგზავნას ფრონტის წინა ხაზე, მაგრამ ალისთვის მნიშვნელოვანი იყო პრინციპი. შედეგად, მას სამი წლით ჩამოართვეს საკრივო ლიცენზია: მოჰამედი რინგის მიღმა დარჩა 1967 წლის მარტიდან 1970 წლის ოქტომბრამდე, 25 წლის ასაკიდან თითქმის 29 წლამდე.

სამწლიანმა პაუზამ ოდნავ დააზარალა ალის სისწრაფე, სამაგიეროდ, ოსტატობა, გამძლეობა და საჩემპიონო ხასიათი არსად გამქრალა. რინგზე დაბრუნების შემდეგ, მან სამი ბრწყინვალე ბრძოლა ჩაატარა **ჯო ფრეიზერთან** (აქედან ორი მოიგო) და დიად გამარჯვებას მიაღწია **ჯორჯ ფორმენთან** ბრძოლაში, რომელსაც „ჯუნგლებში ჩხუბი" უწოდეს. ასეთი ჩხუბი, რომელიც ალიმ და ფორმენმა ზაირში მოაწყვეს, ჯუნგლებს არც მანამდე და არც მერე არ უნახავთ.

## ჯორჯ ფორმენი

ალისთან კინშასაში წაგებულ ფორმენს თავისი უნიკალური დაბრუნება ჰქონდა. 1977 წელს, **ჯიმი იანგთან** წაგების შემდეგ, მოკრივემ გულის შეტევა გადაიტანა და ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ფორმენის თქმით, სიკვდილ-სიცოცხლეს შორის მყოფი ისეთ ადგილას აღმოჩნდა, რომელიც ორი სიტყვით ხასიათდება: „არაფერი" და „სასოწარკვეთა". მოკრივემ ღმერთს შესთხოვა დახმარება და მანაც გაუწოდა დახმარების ხელი, ოღონდ სანაცვლოდ ცხოვრების სტილის შეცვლა მოსთხოვა.

ფორმენი რელიგიაში გადავარდა და დიდი ხნით დაივიწყა რინგი. ჯორჯმა კრივი მხოლოდ ათი წლის შემდეგ გაიხსენა - 1987 წელს, 1994-ში კი ნოკაუტში გაგზავნა მსოფლიოს ჩემპიონი **მაიკლ მურერი**. ეს გამარჯვება მან 45 წლის ასაკში მოიპოვა და კრივის ისტორიაში მძიმე წონაში ყველა დროის ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი გახდა. მისთვის ამ რეკორდის წართმევას **ევანდერ ჰოლიფილდი** აპირებდა, მაგრამ უშედეგოდ.

## მონიკა სელეში

**მონიკა სელეშმა** კარიერაში „დიდი სლემის" ცხრა ტიტული მოიგო. მოგებათა რიცხვი, შესაძლოა, მეტიც ყოფილიყო, რომ არა გერმანელი **შტეფი გრაფის** შეშლილი გულშემატკივარი. 1993 წლის აპრილში, მონიკა ჰამბურგის ტურნირზე თამაშობდა. ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას, ეს არანორმალური ქომაგი კორტზე შევარდა და დანით ზურგში დაჭრა ჩოგბურთელი. დანა სანტიმეტრნახევრით შევიდა სელეშის სხეულში.

მონიკა სერიოზულ ჭრილობას გადაურჩა, მაგრამ მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამონახა საკუთარ თავში კორტზე დაბრუნების ძალა. სავარაუდოდ, მართლები იყვნენ ისინი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეს აღარ იყო ძველი მონიკა. მაგრამ 1996 წელს მან შეძლო „დიდი სლემის" მეცხრე ტურნირის მოგება - ავსტრალიის ღია პირველობაზე აჯობა ყველას. 2011 წელს, ჟურნალმა „თაიმმა" სელეში 30 ლეგენდარულ ქალ ჩოგბურთელს შორის შეიყვანა.

## მეჯიქ ჯონსონი

მიზეზები, რის გამოც სპორტსმენები იძულებულნი არიან კარიერაში პაუზა აიღონ, ხშირად უსიამოვნო ხასიათისაა, მაგრამ ის, რაც დაემართა ამერიკელ კალათბურთელს **მეჯიქ ჯონსონს** - განსაკუთრებული ისტორიაა. 1991 წელს, როცა მეჯიქი უკვე NBA-ის ხუთგზის ჩემპიონი იყო და თავისი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნეოდა, ცნობილი გახდა, რომ ის შიდსის იყო ინფიცირებული.

ჯონსონმა სპორტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა, მაგრამ ამის მიუხედავად, გულშემატკივრებმა ის „ყველა ვარსკვლავის მატჩზე" დასავლეთი კონფერენციის სასტარტო ხუთეულში აირჩიეს. მეჯიქი მოედანზე გავიდა და ისე ითამაშა, რომ MVP-ის სტატუსი მიიღო. 1992 წელს, ის აშშ-ის ნაკრებში (ლეგენდარული „დრიმ თიმი") შეიყვანეს, რომელმაც ბარსელონის ოლიმპიადა მოიგო. მეჯიქმა NBA-ში კარიერის განახლებაზე უარი განაცხადა, მაგრამ 1995-96 წლებში კიდევ ერთი ქამბექი ჰქონდა - 32 მატჩი ჩაატარა „ლოს ანჯელეს ლეიკერსში". ამის შემდეგ, ჯონსონი საბოლოოდ წავიდა. როგორც თავად თქვა - საკუთარი პირობებით.



მაიკლ ჯორდანი

## ჯეიმს ბრედოკი

1933 წელს, ამერიკელი **ჯეიმს ბრედოკი** იძულებული გახდა დაეტოვებინა რინგი ხელის ტრავის გამო. მაშინ აშშ-ში დიდი დეპრესია მძვინვარებდა და მოკრივეს ოჯახის გამოსაკვებად დოკებში მტვირთავად მუშაობა მოუწია. ფული მაინც არ ჰყოფნიდა და ყოფილი სპორტსმენი იძულებული გახდა სახელმწიფოსგან სოციალური დახმარება მიეღო, რაც განსაკუთრებით ეხებოდა მის თავმოყვარეობას.

1934 წელს, ბრედოკმა რინგზე ფულის შოვნის შანსი მიიღო. ის **კორნ გრიფინის** წინ დააყენეს და ივარაუდეს, რომ ჯეიმსი უბრალოდ წააგებდა და ჰონორარს მიიღებდა. ბრედოკმა გრიფინი მესამე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო, ერთი წლის შემდეგ კი მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონს **მაქს ბერს** შეხვდა. ბრწყინვალე ფილმში - Cinderella Man (მთავარ როლში **რასელ ქროუ**), ბერი უხეშ და ცუდ ადამიანად არის გამოყვანილი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ბრედოკმა დაამარცხა ბერი ცხოვრებაშიც და კინოშიც და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ტიტული კი მას თვით ლეგენდარულმა **ჯო ლუისმა** წაართვა.

## მაიკლ ჯორდანი

**მაიკლ ჯორდანი**, მარიო ლემიეს მსგავსად, ორჯერ მიდიოდა და ბრუნდებოდა. პირველ ჯერზე მან კარიერის დასრულების შესახებ 1993 წლის ოქტომბერში გამოაცხადა - მამის მკვლელობიდან რამდენიმე თვის შემდეგ. მაიკლმა ბედი ბეისბოლში სცადა, რადგან მამამისი ოდესღაც ოცნებობდა, რომ ვაჟი სწორედ ბეისბოლისტი გამოსულიყო. 1995 წლის მარტში ჯორდანმა გამოუშვა პრესრელიზი სათაურით - I'm back. ასე შედგა მისი პირველი დაბრუნება.

დაბრუნების შემდეგ, მაიკლმა ტიტულების რიცხვი გააორმაგა (სამიდან ექვსამდე), 1999 წლის იანვარში კი ისევ გამოაცხადა წასვლის შესახებ. ამჯერად, მაიკლმა კალათბურთის გარეშე ორწელიწადნახევარი გაძლო და დაბრუნდა არა მშობლიურ „ჩიკაგო ბულზში", არამედ, „ვაშინგტონ უიზარდში". იქ მან თითქმის ორი სეზონი ითამაშა, ხელფასს კი 11 სექტემბრის ტერაქტში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებელ ფონდში რიცხავდა.

**გია თვალაბეიშვილი**



მარიო ლემიე



მონიკა სელეში

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

# მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)

მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com;* მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:59 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**